ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge

№114 (175) 12-19 აპრილი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” გილოცავენ ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ბზარი 26-საუკუნოვან მეგობრობაში ბიზნესპროვოკაციის შედეგები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – დავით ბაქრაძის ვიზიტი ისრაელში, რომელიც მომავალ კვირას უნდა შემდგარიყო, გადაიდო. ვიზიტის გადადების მიზეზებზე პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მაკა გიგაურმა ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ქვეყნის სპიკერებს შორის სატელეფონო საუბარი არ შემდგარა და არც ოფიციალური წერილი მოსულა. ბაქრაძის ვიზიტის გადადება კი ორ გარემოებას უკავშირდება. კერძოდ, მომავალ კვირას ისრაელში დაგეგმილია მოლაპარაკებები პალესტინურ მხარესთან, ამავე პერიოდში ქნესეთში (ისრაელის პარლამენტი) უნდა გაიმართოს შიდა პოლიტიკური დებატები.

„აღნიშნული მიზეზების გამო, საქართველოს პარლამენტის ვიზიტს სათანადო ყურადღება ვერ დაეთმობოდა და, შესაბამისად, ბაქრაძის ვიზიტი გადაიდო, რაც დიპლომატიაში ჩვეულებრივი მოვლენაა“, – დასძინა გიგაურმა.

ებრაული მედია კი ბაქრაძის ისრაელში დაგეგმილი ვიზიტის გადადების სულ სხვა გარემოებებზე საუბრობს. ებრაული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარე რივენ რივლინმა ქართველ კოლეგა დავით ბაქრაძეს ისრაელში ვიზიტისგან თავის შეკავება და სტუმრობის გადადება სთხოვა.

რივლინის თქმით, ოფიციალური ისრაელი ამ ეტაპზე ამჯობინებს, ყოველგვარი კონტაქტი გადადოს საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რის მიზეზიც ქართული მხარის მიერ მოწყობილი პროვოკაციაა ებრაელი ბიზნესმენის – რონი ფუქსის წინააღმდეგ, რათა მისთვის არ დაებრუნებინათ მისი კუთვნილი 90 მლნ აშშ დოლარი.

იმავე ინფორმაციით, ისრაელის პოლიტიკურ და ბიზნესწრეებში არის მოსაზრება, რომ საქართველოსთან ყველა სახის საქმიანი და ოფიციალური კონტაქტი შეწყდეს მანამ, სანამ საქართველოს ხელისუფლება არ აღადგენს სამართლიანობას და ბიზნესმენებს – რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელს არ გაათავისუფლებს.

შეგახსენებთ, რომ ბიზნესმენები – ფუქსი და ფრენკელი – გასული წლის 14 ოქტომბერს დააკავეს ბათუმში. ბიზნესმენებს მაღალი თანამდებობის პირისთვის ქრთამის შეთავაზება ედებათ ბრალად. მათ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდეს. პატიმრობა შეუფარდეს მიმალვაში მყოფ იოანის კარდასოპოლუსსაც, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული. საქალაქო სასამართლოში ისრაელის მოქალაქეების საქმესთან დაკავშირებით მორიგი პროცესი დღეს, 11 მარტს, გაიმართება.

სახელისუფლებო საღდგომო „საჩუქარი„ საქართველოს მოსახლეობას

საქინფორმის რეგიონული კორესპონდენტი სამეგრელოში ლადო ქირია გვატყობინებს: „ზუგდიდში გარემოვაჭრეებს ასეულობით ლარის პროდუქტი წაართვეს“

„მიუხედავად წვიმიან-სუსხიანი ამინდისა, ზუგდიდის ცენტრში უკვე რამდენიმე დღეა, იკრიბებიან გარემოვაჭრეები, მაგრამ მათი განმკითხავი არავინაა.

ზუგდიდის ცენტრალური სუპერმარკეტის (ყოფილი საკოლმეურნეო ბაზარი) მიმდებარე ტერიტორიიდან ყველა გარემოვაჭრე აყარეს, რომელთაც ესეც არ აკმარეს და კუთვნილი პროდუქტებიც წაართვეს. გარემოვაჭრეთა განცხადებით, მათ ასეულობით ლარის ღირებულების კარტოფილი და სიმინდი წაართვეს, რომლებიც, თურმე, უმწეოთათვის განკუთვნილი სასადილოსთვის ჩაუბარებიათ. გარემოვაჭრეები, რომლებიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, პირველ რიგში, მოითხოვენ მათი კუთვნილი წართმეული პროდუქტების დაბრუნებას, შემდეგ კი – ვაჭრობის ნებართვას, რადგან მათ სხვა გამოსავალი არ გააჩნიათ ლუკმაპურის საშოვნელად. დაზარალებულთ ხელისუფლებიდან და ოპოზიციური პარტიებიდან არავინ გამოხმაურებია.

„ილორი“: თავისთავად გარე ვაჭრობის აკრძალვა მისასალმებელია, რადგან იგი უსუფთაობის ბუდედ არის მიჩნეული, მაგრამ პოლიციამ უნდა იცოდეს, რომ არავის, არავისათვის არაფრის წართმევის უფლება არ აქვს, სასამართლოს სათანადო დადგენილების გარეშე.

ინფლაცია 2,8%-ით გაიზარდა

საქსტატის ინფორმაციით, საქართველოში 2011 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაცია 2,8%-ით გაიზარდა. ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 6,0%-ით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 2,7% შეადგინა. ფასების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე – 18,1%, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე – 9,1%, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე – 8,7%, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე – 7,1%. ტრანსპორტზე ფასების მატების მაჩვენებელმა 2,0%-ს მიაღწია. მათ შორის, ფასების მკვეთრი ზრდა აღინიშნა საწვავზე – 5,2%.

2011 წლის თებერვალში, 2010 წლის თებერვალთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 13,7% შეადგინა.

საღდგომოდ სურსათი კიდევ გაძვირდება

მოსახლეობა სააღდგომოდ აგრარულ ბაზრებში პროდუქციის კიდევ უფრო გაძვირებას ელის. ამას არც ექსპერტები გამორიცხავენ. მათი თქმით, ასეთ სადღესასწაულო დღეებში ფასების მატება ჩვეული პროცესია. ფასების ცვლილება განსაკუთრებით აისახება კვერცხზე, ხორცსა და პასკაზე. საკონდიტრო კომპანიები ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ადასტურებდნენ, რომ პასკაზე ფასები შარშანდელთან შედარებით მომატებული იქნება.

„დღესასწაული სურსათის გაძვირების უმნიშვნელო სტიმულატორია. ფასის ზრდა ამა თუ იმ პროდუქტზე მოკლევადანია. დღესასწაულის ჩავლის შემდეგ ფასები ისევ ძველ ნიშნულს უბრუნდება ხოლმე, მაგრამ, ჩვენ შემთხვევაში, ეს ნაკლებად ხდება. წლიურმა ინფლაციამ თითქმის 14%-ს მიაღწია, რაშიც დიდი პროცენტული წილი სურსათის გაძვირებას უკავია. ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ ფასების ზრდა არა მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში, არამედ მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. აგრარულ პროდუქციაზე ფასების ზრდა მოსავლიანობის შემცირებამ და იმპორტის ზრდამ გამოიწვია. ეს პროცესი, ალბათ, კიდევ გაგრძელდება, რადგან სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული სტრატეგია, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. არასასურსათო პროდუქციის გაიაფება მოსახლეობისთვის შეღავათი არ არის, სურსათზე ფასების ზრდა გრძელდება და სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესებას უნდა ველოდოთ“, – აღნიშნავს სოფლის მეურნეობის ანალიტიკოსი გიორგი ბუხრაშვილი.

ილია მეორის მიერ ნაკურთხი ჯვარი აფხაზეთში გაიგზავნება

ყოვლადწმინდა სამების სამონასტრო კომპლექსის ხარების ტაძარში, ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საღრმთო ლიტურგია აღავლინა. უწმინდესმა მრევლს ხარების დღესასწაული მიულოცა და ღვთისაგან მათთვის სიხარული და სიყვარული ითხოვა. მანვე აღნიშნა, რომ თუ ადამიანს სიყვარული არ აქვს, არც სიხარული ექნება. პატრიარქმა ქადაგების დროს ბრძანა, რომ ავღანეთში 3 მოძღვარი გაიგზავნება, რათა იქ ქართველი ჯარისკაცებისათვის ლოცვა გაძლიერდეს და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნდნენ. ამ მიზნით მან ავღანეთში მსახურობისათვის სამი მღვდელმსახური აკურთხა, დეკანოზის ხარისხში აიყვანა და ოქროს ჯვრით დააჯილდოვა. ამასთან, ილია მეორემ ხის სამი ჯვარი აკურთხა და ბრძანა, ნაკურთხი ჯვრებიდან ერთი სამებაში დარჩენილიყო, მეორე აფხაზეთში გაგზავნილიყო, მესამე კი – აჭარაში. უწმინდესმა ქადაგებისას ახალ ტრადიციაზეც გაამახვილა ყურადღება, რომლის მიხედვით, ყოველ ორშაბათს, 19:00 საათზე, სამებაში ბავშვებისათვის პარაკლისი შესრულდება და მათი დალოცვა მოხდება.

სერგეი კრემლიოვი
ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

გური ოტროგაია 11
“ქაროჭყაქა”

5 დაგვიანებული პასუხი ბატონ გულბათ ტორაძეს

გარდამხდა
2 გარდასავალი...

ბზა მცენარე-ბზობა საუფლო დღესასწაული
8 ვაჟა მორგოშია

შენ ვისი ძმა ხარ, ოთარაშვილო?
7 ბორის დავითაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდამხდა გარდასავალი...

ოცი წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა!

თავისთავად ეს ფაქტი სასიხარულო და სიამაყის მომგვრელი უნდა იყოს, მაგრამ თუ ამ ოცწლიან წარსულს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სასიხარულოს და საამაყოს სწორედ მაშინ დავემშვიდობეთ, როცა ეს დამოუკიდებლობა ლოდივით დაგვეცა თავზე, რადგან, რაც ამ ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ჭირი და უბედურება დაატყდა, ალბათ თავისი უმძიმესი ისტორიის საუკუნეთა განმავლობაშიც კი არ დასტყდომია!

საერთოდ, დამოუკიდებლობა და თავისუფლება ფრიად ფარდობითი მცნება გახლავთ და იგი შეურაცხადის თავისუფლებასთან არ უნდა იყოს ასოცირებული. თავისუფლება და დემოკრატია ნებელობითი ფაქტორი უნდა იყოს და არა თავსმოხვეული ყალბი დემოკრატიული ღირებულებები, რითაც დღეს ქართველები კისრამდე ვართ ამოტენილები ამერიკელებისა და მისი დამქაში საქართველოს ხელისუფლების მიერ. მაგრამ, ეს ჭირი უცებ არ დაგეტყდომია თავს. იგი თანდათან, მედუზა გორგონას საცეცებივით გვეხვეოდა ყელზე და ისე მიგვიყვანა სულის ამოხდამდე, რომ ცოტაც და, ქართველ ერსა და საქართველოს ვედარაფერი უშველის!

როცა ქართველმა ერმა პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები ჩაატარა და ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია მოვიდა, ყველას ეგონა, რომ ერთიანი შრომითა და ძალისხმევით ქვეყანას მალე გამოვიყვანდით ეკონომიკური ჩიხიდან და ბედნიერ სახელმწიფოს ავაშენებდით. მაგრამ, არ ვიცოდით, რომ საქართველოს იყო დაპირისპირებული სატანური ძალა ამერიკელების სახით, რომელთაც, ბუნებრივია, ვერ გამონახეს საერთო ენა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასთან და მის ლიდერთან ზვიად გამსახურდიასთან.

ძირითადი უბედურება 1991 წლის დეკემბერში დაიწყო, როცა შევარდნაძის მიერ დაფინანსებულმა ბანდიტებმა ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება დაამხეს და საქართველოში ქურდული მენტალიტეტის ტრიუმვირატი გაამეფეს. შემდეგ ყველაფერი შევარდნაძისეული სცენარით განვითარდა და რამდენიმე თვეში იგი უკვე საქართველოს **“კანონიერ მეთაურად”** მოგვევლინა.

საქართველოს თავისი მდიდარი და საინტერესო წარსულის თითქმის ცხრა მეათედი პერიოდი გარე და შიდა მტრებთან ომებში აქვს გატარებული. ქართველთა გამუდმებული თავგანწირული ბრძოლა მომხვდურ ბარბაროსთა წინააღმდეგ მოტივირებული იყო მამულის, ენისა და სარწმუნოების დაცვით, სადაც, როგორც წესი, მუდამ ხმალშემართული ქართველი კაცი გამოდიოდა გამარჯვებული, რადგან, სწორედ შეუპოვრობისა და სიმამაცის წყალობით დღემდე მუხლმაგრად და მედგრად დგას საქართველო. ღიად მოსულ მტერზე გამარჯვებით კი ვიმარჯვებდით, მაგრამ ბუნებით რაინდ და პირში მთქმელ ქართველს ყოველთვის უჭირდა ბრძოლა იმ ქვემძრომ ფარულ მტერთან, რომელიც ჯერ სამხრეთელი მეზობლის – სომხების, შემდეგ კი ამერიკელების სახით უწყალობა მას ღმერთმა. სამწუხაროდ, საქართველოს არც **“შადიმანები”** – საკუთარი ქვეყნის მოღალატე და ანგარებიანი მმართველები აკლდა, რომელთაც პირადი ინტერესები ყოველთვის ერის ინტერესებზე მაღლა ეყენათ და სხვების სიცოცხლისა და კეთილდღეობის ხელყოფის გზით ახერხებდნენ საარაკო სიმდიდრის მოხვეჭას. მაგრამ ქართველებს არასოდეს არ ჰყოლიათ შევარდნაძის მსგავსი ბოროტი და საკუთარი მამულის მტერი **“მაოხარი გზირი”**, რომელიც ყოველნაირი ხერხებით ცდილობდა საქართველოს წაშლას მსოფლიოს გეოგრაფიული და პოლიტიკური რუქიდან, ნაწილ-ნაწილ ჰყიდდა საქართველოს და რომელმაც ნებისმიერ მტერზე დიდი და ლამის გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენს მრავალნატანჯ სამშობლოს.

თუმცა, არანაკლებ დიდი ზიანი მიაყენა მან საბჭოთა კავშირს – მოღალატე რუსებთან ერთად მან ჯერ გერმანია გაჰყიდა მილიარდობით დოლარის საფასურად, შემდეგ ზედ საბჭოთა კავშირის მიაყოლა და აღებული ფულით საქართველო **“მოივერაგა”**. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში **“მეორედმოსვლის”** სანაცვლოდ მან დამატებითი **“ხარჯიც”** გაიღო – საქართველოს დაუკარგა ძირძველი ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო. წინაპართა სამოსახლოებიდან აიყარა ასეულ ათასობით ადამიანი, რომელიც დევნილად იქცა საკუთარ სამშობლოში. მაგრამ ხშირად, ერთის გაჭირვება მეორეს დალხინებად შემოუბრუნდება ხოლმე და შევარდნაძემ და მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ ხელი კარგად მოითბეს დევნილთათვის გამოყოფილ მილიარდობით ჰუმანიტარულ დახმარებაზე.

შევარდნაძემ ხელისუფლებაში უკვე სახელმწიფოს მეთაურად მოსვლისთანავე ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ქვეყანა გაძარცვულიყო, გაღარიბებულიყო და გამათხოვრებულიყო, რადგან შემდეგ დამშეულ-დამცრობილი საქართველო იოლად დაემონებინა.

ამის დასტურად მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიშანდობლივ ფაქტს. როცა რუსმა სამხედრო მოსამსახურეებმა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელ მერიასთან განლაგებული სამხედრო-საავიაციო ბაზა დაცალეს, იქ დარჩა 22 ერთეული უნიკალური რუსული სამხედრო ვერტმფრენი, რომლის ფასი მილიონობით დოლარს აჭარბებდა. შემდეგში რომ გამოუსადეგარი გამხდარიყო, შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების წაყრუებით ჯართის მაძიებელმა უმუშევარმა ხალხმა ეს ვერტმფრენები რამდენიმე დღეში ერთიანად გაძარცვეს, სპილენძის ნაწილები დახსნეს და ჯართში ჩააბარეს, რამაც ვერტმფრენები პრაქტიკულად გამოუსადეგარ რკინის გროვად აქცია.

ასე ექცეოდა შევარდნაძის ხელისუფლება ყველაფერ ღირებულს, რაც შეიძლებოდა მომავალში გამოდგომოდა ქართველ ხალხს.

ედუარდ შევარდნაძემ სიყალბისადმი შემოქმედებითი მიდგომით იმდენად გახრწნა და დაადამბლავა ქართული პოლიტიკური სფერო, იმდენად გაათახსირა ახალგაზრდა ქართველ პოლიტიკოსთა მთელი თაობა, რომ საქართველოს ალბათ კიდევ დიდ ხანს არ ეღირება ნებისმიერ დონეზე ობიექტური არჩევნების ჩატარება და საქართველოში ვერცერთი წესიერად მოქმედი ბიზნესმენი ვერ გახდება წარმატებული, თუ იგი ბინძურ გარიგებაში არ შევა სახელისუფლებო სტრუქტურებთან. ამგვარი დანაშაულებრივი ქმედებებით შევარდნაძემ ხანგრძლივი ვადით გაყინა საქართველოს პოლიტიკური მომავალი. როგორც საერთაშორისო საფეხბურთო მაფიის მიერ ბინძური კორუფციის ბუდედ ქცეულ საფეხბურთო ტოტალიზატორის **“გადამკიდე”** მსოფლიო ფეხბურთს არასოდეს ეღირება ჭეშმარიტი მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონი, ისე აღარ ეღირება საქართველოს ხალხის მიერ გულწრფელად არჩეული ხელისუფლება, ვიდრე არჩევნები შევარდნაძის **“რეცეპტურით”** ჩატარდება.

სწორედ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ჟამს შეიქმნა საქართველოში ახალგაზრდა თაობის პოლიტიკოსთა და შემოქმედთა ის **“მეხუთე კოლონა”**, რომლებიც ყოველივე ქართული ეროვნულისა და ტრადიციულის განქიქების ტექნოლოგიის შესასწავლად შევარდნაძემ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლებლებში მიავლინა. ეს ახალგაზრდა **“შემოქმედები”** ახლა გულმოდგინედ ანგრევენ ქართულ სულიერებას და უცხოური სუროგატის დანერგვით ცდილობენ ქართველთა მეხსიერებიდან წაშალონ ლამაზი ისტორიული ტრადიციული წეს-ჩვეულებები.

შევარდნაძე ყოველთვის პატივს სცემდა შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელთა შემოქმედებით ორიენტირს წარმოადგენდა კუჭი და არა ზნეობა ან ჭეშმარიტი პატრიოტიზმი (იგივე შეიძლება ითქვას იმ ხალხზე, ვინც სააკაშვილისგან სიამოვნებით მიიღო საახალწლო საჩუქრად ინდაური). ამიტომაც, იგი ყოველთვის ეზიზღებოდათ ნამდვილ შემოქმედებსა და მამულიშვილებს, რომელთაც კარგად იცოდნენ, რომ საქართველო შევარდნაძისათვის მხოლოდ მისი პირადი კარიერის გაგრძელებისათვის გამიზნული პოლიგონი გახლდათ და არა დედა-სამშობლო, რომლის კეთილდღეობისათვის ბრძოლას უამრავი საამაყო მამულიშვილი შეეწირა.

ნებისმიერი პროფესიონალი მსახიობი სცენაზე საკუთარი როლის თამაშის შემდეგ წარმოუდგენლად იღლება, რადგან წარმოსახვით სამყაროში თუნდაც ორი საათით გადანაცვლება მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შევარდნაძემ მთელი თავისი სიცოცხლე პოლიტიკურ ავანსცენაზე გაატარა, მაგრამ ერთხელაც არ უგრძვნია დაღლა, რადგან იგი მხოლოდ წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობდა და ამა თუ იმ დროის შესაფერისი პოლიტიკური როლის თამაში მისი ცხოვრების წესი გახლდათ. მან საბოლოოდ აქცია ზურგი რუსეთს და საქართველოს ამერიკის ბინძურ საშოში უკრა თავი. რუსებს გავუდექით მაშინ, როცა ეს არ უნდა გაგვეკეთებინა, რადგან ამ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში უკვე მუსირებდა აზრი (საბედნიეროდ, ეს აზრი რუსეთში დღესაც არ არის ჩამკვდარი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე. რუსებს ზურგი ვაქციეთ მაშინ, როცა ისინი დავარწმუნეთ და შევარიგეთ იმ აზრს, რომ ქართველი ადამიანი არასოდეს დათმობდა **“ენას, მამულს და სარწმუნოებას”** და მტრისთვის მუდამ მრისხანე, მაგრამ მოკეთისათვის მუდამ ერთგული მეგობარი რუსეთი სწორედ ამ პოლიტიკური კონსტანტას გათვალისწინებით აპირებდნენ ჩვენთან ახალი კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ ეს არ შედიოდა იმ ამერიკელთა გეგმებში, რომლებიც მარიონეტად იყენებდნენ ედუარდ შევარდნაძეს და სწორედ ამ სატანის ძალისხმევით, ის რუსეთი, რომელმაც შეგვინარჩუნა **“ენა, მამული და სარწმუნოება”**, ჩვენს დაუძინებელ მტრებად შევრაცხეთ.

ვერავინ დამარწმუნებს, რომ რუსები ანგელოზის ფრთების ფართქუნით შემოფრთხიალდნენ საქართველოში და დღენიადაგ მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ. კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოში მათ უამრავი უკეთური საქმე ჩაიდინეს – დაწყებული მართლმადიდებლური ეკლესიების გადათეთრებით და დამთავრებული ქართულ ენასთან ბრძოლით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსებს 200 წლის განმავლობაში იმდენი სიბოროტე არ ჩაუდენიათ საქართველოში (განათლებაში, კულტურაში და ეკონომიკაში ჩადებულ მათ უდიდეს ღვაწლზე რომ აღარაფერი ვთქვათ), რაც ამერიკელებმა ჩაიდინეს საქართველოში 20 წლის განმავლობაში. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში განადგურდა ქართული ჯანდაცვის სისტემა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა განათლებაში კატასტროფული მდგომარეობაა, დაკნინებულია რელიგიურობა, სულიერება, ზნეობა, ქართული მდიდარი ეროვნული ტრადიციები, ერთ დროს მრავალის სახის მწარმოებელი საქართველო მხოლოდ მომხმარებლად გადაიქცა და ა.შ.

ცნობილი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვებით რომ ვთქვათ: **“ჩვენი დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობა (იგულისხმებიან შევარდნაძე და სააკაშვილი) დაჟინებით და სისტემატურად უნერგავდა ხალხს აზრს საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის, მისი მეზობელი სახელმწიფოებისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის გამონაკლისი მნიშვნელობის შესახებ, რის გამოც თითქოს საქართველო მალე შეეიცარიად გადაიქცევა, ხოლო ყოველი ქართველი ქუვეითის შეიხივით იცხოვრებს. ჩვენ თავს მოგვახვიეს სხვის კმაყოფაზე ყოფნის, მუქთახორის ფსიქოლოგია და ნელ-ნელა გადაგვაჩვიეს მუშაობას, საკუთარი ეკონომიკის შექმნისა და განვითარებისაკენ მისწრაფებას... დღემდე ჩვენ გვესმის: “ამერიკა დაგვეხმარება”, “თურქეთი გვიშველის”, “სავალუტო ფონდი კრედიტებს გამოგვიყოფს”, “ნავთობსადენი მილიონებს მოგვიტანს” და ა.შ.”.** ედუარდ შევარდნაძემ და მისმა ამფსონებმა იმდენად გამოაყეყეჩეს ქართველი ხალხი ამგვარი ილუზიური შეპირებებით, რომ მისი გადაშენებიდან რვა წლის შემდეგაც კი დღევანდელი ხელისუფლების ანალოგიური მოწოდებები დღესაც აქტუალურია და პირდაბჩენილი ხალხი სასოებით მოელის შველას იმ ძალებისა და ქვეყნებისაგან, რომლებიც ნელა აქუცმაცებენ და ინაწილებენ საქართველოს.

მუდამ კორპორატიული ინტერესებით მომქმედი ედუარდ შევარდნაძე, როგორც კი მან საკვანძო თანამდებობა ჩაიგდო ხელში, შესაშური ენერგიით შეუდგა ქართველი ხალხის მოტყუებასა და მისთვის თვალში ნაცრის შეყრას. მხოლოდ ერთხელ უთხრა მან ქართველ ხალხს სიმართლე, როცა, მაშინ ჯერ კიდევ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მიხეილს სააკაშვილი თბილისის ვაკის რაიონის ამომრჩეველს წარუდგინა:

– ეს იქნება საქართველოს მომავალი პრეზიდენტიო!

სთქვა, შეასრულა და მძიმე განაჩენიც გამოუტანა მთელ ქართველ ერს!

შევარდნაძემ რომ თავად მოაწყო **“ვარდების რევოლუცია”**, რათა ძალაუფლება იმ ხალხისათვის ჩაებარებინა, რომლებიც შემდეგ მას პასუხს არ აგებინებდნენ მის მიერ ჩადენილი უამრავი სიბოროტისა და მძიმე დანაშაულებებისათვის, ამაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს.

როცა ამერიკელებმა შეატყვეს, რომ შევარდნაძე დაბერდა და ენერგიულად ვეღარ ანგრევდა საქართველოს, შეიმუშავეს სცენარი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ხელისუფლებაში უნდა მოეყვანათ ახალგაზრდა ენერგიული დამანგრეველი ძალა. ასეთ ძალად კი, ეთნიკურ სომეხ ჟვანიას რეკომენდაციით, არჩევანი გაჩერდა ასევე სომეხ სააკაშვილზე, რომელსაც რჯულის კანონის შესაბამისად ხელი არ აუკანკალდებოდა საქართველოს დასანგრევად. სწორედ მაშინ გათამაშდა გულისამრევი **“ვარდების რევოლუცია”**, რის შედეგადაც კიდევ ერთხელ იქნა გატუტუცებული და გაცუცურაკებული ქართველი ხალხი, შევარდნაძე კი სააკაშვილმა ჩაანაცვლა. მაგრამ ამერიკელებმა კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის სათავეში ორ სომეხს ქართველი ხალხი ვერ მოითმენდა, ამიტომ, მათ **“ტექნიკურად”** მოიშორეს თავიდან უფრო აშკარა, მაგრამ თავშეკავებული და გაწონასწორებული სომეხი პოლიტიკოსი ზურაბ ჟვანია და მწვანე შუქი აუნთეს შედარებით შეფარულ სომეხს, პოლიტიკურად და პიროვნულად გაუწონასწორებელ, მერყევ და უმწიფარ, იოლად სამართავ მიხეილ სააკაშვილს. დაიწყო საქართველოს ენერგიულად ნგრევის პროცესი და ამ ნანგრევებზე ყველაზე მეტად ხელს სწორედ **“ნაციონალები”** ითბობენ.

და რაც მთავარია, სააკაშვილი და მისი **“ნაციონალური”** გარემოცვა ენერგიულად ახორციელებენ მრავალნაცად სომხურ პროგრამას – რაც შეიძლება მტრული და დაძაბული ურთიერთობა შეინარჩუნონ საქართველოსა და რუსეთს შორის. სწორედ ამ ურთიერთობათა ხელოვნურად დაძაბვის და 2008 წლის უაზრო ომის შედეგი გახლდათ ის რომ რუსებს ფაქტიურად ჩვენვე დავაკანონებინეთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, რამაც კიდევ უფრო დაგვაშორა საქართველოს გამთლიანების შანსს. სომხებს ხელ აძლევს კიდევ ერთი კონფლიქტი, რათა რუსების ხელით წაგვართვან ჯავახეთი, რაზედაც ისინი უკვე მეორე საუკუნეა თავხედურად აცხადებენ პრეტენზიას. ამიტომ, უპირველესად სწორედ სომხების გეგმაში არ შედის საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური თუ, უბრალოდ, მეზობლური ურთიერთობების დათბობა, რა დავალებასაც ბრწყინვალედ ართმევს თავს სომეხი მიხეილ სააკაშვილი.

ამიტომ, დიდი ჭკუა და სიფრთხილე გვმართებს ქართველებს!

ამრიგად, როგორც ხედავთ, საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლიდან მხოლოდ ერთი წელი – ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანა იყო საქართველოსათვის ქართული სულისა და ზნეობის აღორძინების პერიოდი, რაც, სამწუხაროდ, ზვიადთან ერთად დამარხეს ჯერ ედუარდ შევარდნაძემ და შემდეგ მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრე მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც დიდი ილია ამბობდა: **“რა გითხრათ, რით გაგახაროთ”.**

როლანდ ჯალაღანია,
საპატიო დოქტორი

კარგი იქნებოდა რუსეთთან ძველი, მათ შორის სამეცნიერო კავშირების, აღდგენა! ვფიქრობ, ოდესმე ეს რეალობად იქცევა...

ნატალია ორლოვსკაია:

აქ ბინის ყოფილი პატრონების ინდივიდუალური და განუმეორებელი სულია შემონახული. უნიკალური აურა და სიმყუდროვე, კომფორტის შეგრძნება და დღეს ასე იშვიათი სიმშვიდე... თბილისის ძველ რაიონში, **„იტალიურ ეზოში“** მდებარე ბინა არცთუ მცირე ხნისაა. მისი ამჟამინდელი მფლობელი სათუთად ინახავს ოჯახურ რელიკვიებს – ყველა კარადა, კომოდი, მაგიდა და სანათური ბინას თითქოს შორეული წარსულის ხმებით ავსებს. კითხვაზე – ამდენი წლის განმავლობაში ნუთუ არ გაგჩენიათ სურვილი, რაიმე შეგეცვალათ ინტერიერში? – პროფესორი ნატალია ორლოვსკაია უყოყმანოდ პასუხობს: არასოდეს! შემდეგ კი ფიქრიანად ადიარებს: **„ერთადერთი, რაც გავბედე, დიდი ბაბუის – კონსტანტინე ორლოვსკის მასიური საწერი მაგიდისთვის ადგილის შეცვლა იყო... მამაჩემის დროს ის სხვა ოთახში იდგა. მხოლოდ ეს შევძელი. რა გაეწყობა, მიყვარს ძველი დრო “**

ნატალია კონსტანტინეს ასული ორლოვსკაია ასაკს არ მალავს. არც სჭირდება. 90 წლის ასაკში იგი უწინდებურად მხნედ გამოიყურება და აქტიურად (!) მუშაობას განაგრძობს. მესამე მონოგრაფიას წერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის (1945 წლიდან!). ქალბატონი ორლოვსკაია მარტო ცხოვრობს, თუმცა, განა **„იტალიურ ეზოში“** იზოლირება შესაძლებელია?! იგრძნობა, როგორ უყვართ და აფასებენ აქ ჩვენს გმირს.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას მასთან დროდადრო მეზობლები შემოდიან, დაუკაკუნებლად, უბრალოდ! შემორბიან პატარებიც – საყვარელ მეზობელს – დეიდა ნატაშას რომ აკოცონ და ანგარიში ჩაბარონ: **„ჩემი მოსწავლეები არიან. მარტო რუსულ ენას კი არა, ბევრ სხვა რამესაც ვასწავლი!“** – იღიმის ნატალია კონსტანტინეს ასული.

სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე მდებარე ბინას, მისი დიასახლისივით, „ასაკი“ არ ეტყობა – ნათელი, მოვლილი, სუფთა და თბილია: თურმე, როცა მეზობლებს თავიანთ ბინებში ცენტრალური გათბობა გაჰყავდათ, არც ორლოვსკაია დავიწყებიათ. მადლობა ღმერთს, თბილისის სულისკვეთება ისევ შენარჩუნებულია!

– ნატალია კონსტანტინოვნა, თქვენთან სტუმრობისას ხვდები, რომ გენეალოგია უნდა გამოიკითხო.

– ჩემში იმდენად ბევრი სისხლია აღრეული – რუსული, ქართული, სომხური... მამის მხრიდან ჩემთვის ნაცნობი პირველი წინაპარი ჩეხი იყო – ივანე ანტონის ძე პრიბილი. რუსეთში სამხედრო ექიმად მსახურობდა, შემდეგ კი, პირველ პოლკთან ერთად, საქართველოში მოავლინეს. თბილისში 1808 წელს ჩამოვიდა და საბოლოოდ აქ დარჩა – თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის ერთ-ერთ დამაარსებლადაც იქცა. პრიბილი **„ქართული მედიცინის ისტორიის“** წიგნშიცაა შესული. ივანე ანტონის ძე ფართო პროფილის ექიმი იყო, ისევე, როგორც ბევრი სხვა იმ წლებში. აქ მან ცოლად ქართველი კარაევა შეირთო, რომელიც წარმოშობით ცნობილი ქართველი ექიმების ოჯახიდან იყო. მათი უფროსი ქალიშვილი კი პოლონელ კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვზე დაქორწინდა. ჩემი დიდი ბაბუაც აქ სამუშაოდ ჩამოვიდა პოლონეთიდან. ეტყობა, კარგად მუშაობდა, რადგან თბილისის გუბერნატორობამდეც მიაღწია. 1876 წელს დიდი ოჯახის გარემოცვაში გარდაიცვალა. მისი ვაჟი, ვალერიან კონსტანტინეს ძე, სანკტ-პეტერბურგის ერთობ პრესტიჟულ უმაღლეს იურიდიულ სასწავლო დაწესებულებაში – სამართალმცოდნეობის სასწავლებელში სწავლობდა. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და აქ სიცოცხლის ბოლომდე სპეციალობით იმუშავა. ბოლო წლებში მთელ კავკასიაში უმაღლესი სასამართლო ორგანოს – სასამართლო პალატის წევრადაც აირჩიეს. ვალერიან კონსტანტინეს ძე ღირსეულ ოჯახიშვილზე, ანა მიხეილის ასულ ალიხანოვაზე იყო დაქორწინებული. საგულისხმო ფაქტია – ალიხანოვას ძმა თბილისის მუსიკალური სასწავლებლის, შემდეგომში კი სახელმწიფო კონსერვატორიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. ანა მიხეილის ასულისა და ვალერიან კონსტანტინეს ძის ვაჟი – მამაჩემი – კონსტანტინე – პეტერბურგში სწავლობდა, სარკინიგზო მიმოსვლის ინსტიტუტი დაამთავრა და მთელი ცხოვრება თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სამმართველოში ინჟინრად მუშაობდა.

– დედათქვენი რუსი იყო?

– დედაჩემი, ტატიანა კონსტანტინეს ასული ნადეჟინა – ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა... დიახ, რუსია, მისი ოჯახი ძალიან დიდი ხნის წინათ დასახლდა კავკასიაში. მამამისი, ბაბუაჩემი კონსტანტინე ვასილის ძე, წარმოშობით იაროსლავის გუბერნიიდან იყო. მოსკოვში სწავლობდა, სამხედრო სასწავლებელში. ახალგაზრდა ოფიცერი თურქეთის 1877-1878 წლების ომში გაამწესეს. ფრონტზე დაჭრილი თბილისში მკურნალობდა და საბოლოოდ აქ დარჩა. როგორც ხედავთ, თბილისის დატოვება ვერც ერთმა ჩემმა წინაპარმა ვერ შეძლო! შემდგომში ბაბუა ყარსის ოლქში მსახურობდა, რომელიც ომის დასასრულს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. გენერლის ჩინს მიაღწია. 1914 წლის ომში კავკასიის ფრონტზე იბრძოდა. მისი მეუღლის – ანა ალექსანდროვას ოჯახი კი უფრო ადრე დამკვიდრდა კავკასიაში. ბებიამისი – ქალბატონი პოდტიაგინა, წარმოშობით მოსკოვიდან გახლდათ. 1812 წელს, როცა ნაპოლეონის არმია მოსკოვში შედიოდა, სხვა მოსკოველების მსგავსად, მან თავის ნათესავებთან ერთად დედაქალაქი დატოვა... ოჯახში ღიმილით იხსენებდნენ, რომ ფრანგი მონარქის გამო უმზითვოდ დარჩა. საქმე ისაა, რომ ნაჩქარევად გაქცევისას მზითვიანი ზანდუკი სადღაც სარდაფში დამარხეს! შემდეგ, გარკვეულ ხანს, ვორონეჟში ცხოვრობდნენ. მოსკოვში დაბრუნების საშუალება არ ჰქონდათ, რადგან მათი სახლი ცნობილი ხანძრისას დაიწვა. ვორონეჟში ანა ალექსანდროვას ბებია გათხოვდა და მეუღლესთან – ბუინოვთან ერთად თბილისში სამუშაოდ ჩამოვიდა. ჩამოვიდნენ და დარჩნენ... მათი ქალიშვილი ნატალია თევდორეს ასული აქ ოფიცერ ტრონოვზე დაქორწინდა. ტრონოვების ქალიშვილი გახლავთ სწორედ ბებიაჩემი დედის მხრიდან, რომელიც შემდგომში ნადეჟინს გაჰყვა ცოლად.

– ერთადერთი ქალიშვილი ხართ?

– ძმა მყავდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩვილი გარდაიცვალა. დიდი სიყვარულით გარემოცული ვიზრდებოდი, მანებივრებდნენ და თავს მევლებოდნენ! სამი წლიდან ვცხოვრობ ამ ბინაში, რომლის კედლებმაც ჩემი დედ-მამის ხმა შემოინახეს. ეს სახლი მთელი ჩემი ცხოვრებაა.

– ჩინებული განათლება მიგიღიათ!

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრე. ასპირანტურაშიც იქვე ვსწავლობდი. 1946 წელს საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი უილიამ თეკერეის შემოქმედებაზე. საკანდიდატო დისერტაცია აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით მოვამზადე. დიდი მეცნიერი ჩემს უფროს მეგობრად იქცა, ისევე, როგორც მთელი მისი ოჯახი. მოგვიანებით შალვას ქალიშვილმა თამარმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტი დაამთავრა და მამამისის თხოვნით, სწორედ მე გახლდით თამარ ნუცუბიძის ხელმძღვანელი. დღემდე მჭიდრო კავშირს ვინარჩუნებთ. სადოქტორო უკვე 1966 წელს დავიცავი თემაზე: **„საქართველო XVII-XVIII საუკუნეების დასავლური ლიტერატურის ისტორიაში“**. სხვათაშორის, დისერტაცია ერთი წლით ადრე წიგნად გამოიცა. მისი პირველი ნაწილი საქართველოს შესახებ მასალებს ეძღვნება, რომლებიც ევროპული ქვეყნების ლიტერატურაში მოვიძიე; მეორე ნახევარი კი ეხებოდა საკითხს, თუ რა ცნობები მოიპოვებოდა XVII-XVIII საუკუნეების ევროპაში ქართული ენის შესახებ.

– გვიცნობდნენ?

– თქვენ წარმოიდგინეთ, არცთუ ურიგოდ! მაგალითად, მე-17 საუკუნეში იტალიაში გამოიცა ქართული ანბანი, ლექსიკონი და გრამატიკა. ეს ნაშრომები კარგადაა ცნობილი. ჩემს წიგნში განხილულია იმ დროის მეცნიერთა დღემდე უცნობი მასალები, ასევე, კათოლიკე მისიონერთა ნაშრომები, რომლებმაც საქართველოში ყოფნისას ქართული ენის შესასწავლად დამხმარე სახელმძღვანელო შეადგინეს. სულ 200 სამეცნიერო ნაშრომი მაქვს დაწერილი და გამოქვეყნებული. ჩემი მეორე მონოგრაფია 1986 წელს გამოიცა, სახელწოდებით **„დასავლეთთან საქართველოს ლიტერატურული კავშირების საკითხები“**. ახლა ახალი მონოგრაფიისთვის მასალებს ვაწესრიგებ, ისიც ლიტერატურული ურთიერთკავშირების საკითხებს ეხება. როგორც უკვე მოგახსენეთ, 1945 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვასწავლი! რასაკვირველია, შტატში აღარ ვარ, საკონტრაქტო საფუძველზე ვმუშაობ. XVIII-XIX საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორიას ვკითხულობ ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ადრე რუსულ სექტორში საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსს ვასწავლიდი. ახლა ეს საგანი **„რატომღაც“** პროგრამიდან ამოიღეს... მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვარ, წოდება ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში მივიღე, ბოლო წლებში კი ღირსების ორდენით დამაჯილდოვეს.

– თქვენს ბინაში საპატიო ადგილი უკავია პიანინოს. უკრავთ თუ ეს წარსული მოდისთვის ხარკის გადახდაა?

– მეცნიერების შემდეგ ჩემი მეორე სიყვარული მუსიკაა. კონსერვატორია დავამთავრე, ფორტეპიანოს კლასი. დღემდე თითქმის ყოველდღე ვუკრავ, განწყობილების მიხედვით.

– ალბათ გასული დროის ბევრ საინტერესო პიროვნებასთან ურთიერთობდით...

– ყოველთვის საკმაოდ კარჩაკეტილად ვცხოვრობდი, ბევრს ვმუშაობდი, დედას ვუვლიდი, რომელიც ხანგრძლივად ავადმყოფობდა. საზოგადო მოღვაწეს ვერ მიწოდებ. მთელი ჩემი ცხოვრება მშვენიერი ურთიერთობები მქონდა კოლეგებთან, მეზობლებთან, გარშემომყოფ ხალხთან. ჩემი მეგობრების წრე მუდამ მრავალეროვნული იყო – რუსები, ქართველები, სომხები... ერთი ჩემი უახლოესი მეგობარი ელენე პავლეს ასული მეტრეველი გახლდათ. ერთ აივანზე გავიზარდეთ. ელენე ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, აკადემიკოსი იყო. დიდხანს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. სამწუხაროდ, დღეს ჩემ გვერდით აღარ არის...

ნაციონალიზმის არანაირ გამოვლინებას ჩემს ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია და ვერც ექნებოდა. პირადად ჩემ მიმართ, გამსახურდიას დროსაც კი, არანაირი მიკერძოებულობა არ მიგრძვნია. საქართველოში მუდამ თავისიანად მთვლიდნენ და, ყოველგვარი ცრუ მოკრძალების გარეშე ვიტყვი, პატივსაც მცემდნენ... კავშირი მქონდა რუსეთის სამეცნიერო ცენტრებთან, ვმონაწილეობდი მოსკოვის, ლენინგრადის, ოდესის, კიევის, მინსკის კონფერენციებში. სამწუხაროდ, ეს კავშირები დღეს გაწყდა... ასე რომ, ამჟამად სამეცნიერო კავშირები, ძირითადად, ქუთაისის უნივერსიტეტთან მაქვს.

რასაკვირველია, ძალიან მინდა რუსეთთან უწინდელი, მათ შორის, სამეცნიერო კავშირების აღდგენა! ვფიქრობ, ოდესმე ეს რეალობადაც იქცევა...

ესაუბრა
დიანა შერეშაშვილი

სუბელიანის საპარლამენტო აღსარება: „დევნილთა მდგომარეობა გარკვეულ ნაწილში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს“

როგორც ცნობილია, პარლამენტში მინისტრების კვირეულმა **„წარმატებით“** ჩაიარა. პარლამენტის წინაშე წარდგომამდე მინისტრები უკვე აკეთებენ კომენტარებს ჟურნალისტებთან. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ კობა სუბელიანის დღევანდელი კომენტარი, რომელიც ერთგვარ აღიარებას, გნებავთ, აღსარებასაც კი ჰგავდა.

„ჩვენ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაგვხვდა. ვიზიარებ იმ აზრს, რომ დევნილთა მდგომარეობა გარკვეულ ნაწილში ძალიან მძიმეა და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. სწორედ ამ საკითხის მოგვარებაა ჩვენი მთავარი ამოცანა, რაც ადვილად გასაკეთებელი საქმე არ არის“, – აღნიშნა სუბელიანმა.

მისივე თქმით, პარლამენტში გამოსვლისას მან, ისაუბრა იმაზე, თუ რა პრობლემების მოგვარება შეძლო დღემდე სამინისტრომ და რა დარჩა ჯერ კიდევ მოუგვარებელი.

რა სახის პრობლემების ჩამონათვალი იქნება უფრო გრძელი – მოგვარებულის თუ მოუგვარებლის, ქართველი კანონმდებლები და საზოგადოება მალე შეიტყობენ.

ბუნებრივ აირზე არსებული საგადასახადო ტარიფი 2020 წლამდე შენარჩუნდება

ეს განცხადება ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა, პარლამენტში საანგარიშო მოხსენებით გამოსვლისას გააკეთა.

„ბუნებრივი აირის მიმწოდებელ კომპანია „სოკართან“ გრძელვადიანი ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, რომლის საფუძველზეც, ბუნებრივი აირის ფასი 2020 წლამდე არ გაიზრდება და არსებული ტარიფი სტაბილურად შენარჩუნდება“, – განაცხადა ხეთაგურმა. შეგახსენებთ, რომ პარლამენტში სამთავრობო დებატები პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მოხსენებით დაიწყო. გუშინვე დეპუტატებმა ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას მოუსმინეს, რის შემდეგაც დებატები გაიმართა.

მინისტრების კვირეული საკანონმდებლო ორგანოში ორ კვირას გაგრძელდა. აი, შედეგზე კი, რა მოგახსენოთ!

ისრაელის მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის წინააღმდეგია

საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის წინააღმდეგ ისრაელის მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი შრაგა ბროში გამოვიდა.

სააგენტო **„იზრუს“** ინფორმაციით, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრ შალომ სიმჰონს მან საგანგებო წერილითაც მიმართა, რომელშიც ნათქვამია, რომ **„საქართველო ებრაელებისთვის საშიში ქვეყანა გახდა, ამიტომ ისრაელის ხელისუფლებამ ადგილობრივ მეწარმეებს ამ ქვეყანაში გამგზავრებისა და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი ბიზნესაქტივობისგან თავის შეკავება უნდა ურჩიოს“.**

აქვე აღნიშნულია, რომ ქართული მედია ისრაელსა და ბათუმს შორის ახალი ჩარტერული რეისების დანიშვნაზე წერს, თუმცა, **„იზრუს“** ცნობით, ისრაელის ტრანსპორტის სამინისტროში ამის შესახებ არც კი სმენიათ.

შეგახსენებთ: ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკიელი 2010 წლის ოქტომბერში ბათუმში დააკავეს. მათ სახელმწიფო მოხელისთვის ქრთამის შეთავაზება ედებათ ბრალად. თბილისის საქალაქო სასამართლომ რონი ფუქსს – შვიდი, ზეევ ფრენკიელს კი ექვსი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ფულადი ჯარიმა დააკისრა.



სერგეი კრემლიოვი

ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ბერიას სახელზე შედგენილ ათასობით წერილების, მოხსენებითი ბარათების, ოქმების, მოხსენებების, დადგენილებებისა და განკარგულებების და თავად ლავრენტი პავლეს ძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტებით რწმუნდები, თუ რაოდენ დიდი როლი ეკისრა ამ პიროვნებას საბჭოთა კავშირისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის – ატომური ბომბის შექმნის საქმეში, და რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია – საბჭოთა ატომური დარგის შექმნაში.

მისი ვიზები და შენიშვნები ცხადჰყოფენ, თუ როგორ ბრწყინვალედ ართმევდა ბერია თავს ამ ვეებერთელა საქმის წარმატებით დაგვირგვინების პროცესებს. და თან, ამას კიდევ ერთხელ ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით: **ყოველივე ადნიშნულს ბერია აკეთებდა ჟანდარმული შიშის დანერგვისა და რეპრესიების გარეშე!**

რა თქმა უნდა, სსრკ ატომური სპეკკომიტეტის დადგენილებებს და სხვა საქმიან დოკუმენტებს ადგენდნენ სხვები (ეს სტანდარტული პრაქტიკა გახლავთ). მაგრამ მასზე ხელმოწერა არ ხდებოდა მექანიკურად, რასაც მოწმობენ ამ დოკუმენტებზე ლავრენტი ბერიას ხელით მიწერილი შენიშვნები და რჩევები. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ საქმის როგორი განჭვრეტისა და სიღრმისეული წვდომის უნარი ჰქონდა ამ მართლაც გენიალურ პიროვნებას.

აი, მე ვფურცლავ ატომური პროექტის მეორე ტომის პირველ წიგნს, სადაც 242-243-ე გვერდებზე დაბეჭდილია სსრკ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 27 თებერვლის დადგენილების ოქმი და ვიწერ განსახილველი საკითხების ნუსხას და იმ ადამიანთა ჩამონათვალს, ვინც შეხებაში იმყოფებოდა ამ საკითხებთან.

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ, რომ გვარების თანმიმდევრობა მოცემულია არა იერარქიული სუბორდინაციის მიხედვით, არამედ მათი პასუხისმგებლობისა და საქმეში ჩართულობის შესაბამისად. მაგალითად, მეოთხე საკითხის №56 ოქმის მიხედვით **"მილოვანი ფილტრების დამზადების შესახებ"**, პასუხისმგებლებად მითითებული არიან ამხანაგები ბერია და პერვუხინი, მე-5 საკითხის ოქმში კი **"კოროზიაგამძლე მასალების წარმოების აწყობის შესახებ"** უშუალო პასუხისმგებლებად მითითებული არიან პერვუხინი და ბერია.

და ვაფრთხილებ მკითხველს, რომ ქვემოთ მომყავს პირველი და არა უკანასკნელი საკმაოდ მოსაწყენი ჩამონათვალი. მაგრამ, რას იზამ?! თუ ჩვენ გვინდა გავეცნოთ ბერიას როლს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში, მაშინ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა გავეცნოთ ობიექტურ მოწმეებს – **დოკუმენტებს**! ან...

მაგრამ, არა მგონია ამ წიგნის მკითხველთა შორის აღმოჩნდეს ვინმე ისეთი, რომელსაც მოსაწყენად მოეჩვენება წიგნის ეს ნაწილი. მაშ ასე, თარიღისა და ნომრების მითითების გარეშე გაგაცნობთ სპეკკომიტეტის სამი რიგითი სხდომის მასალებს:

– მე-11 საკონსტრუქტორო ბიუროს სამუშაო გეგმის შესახებ (ამხ. ხარიტონი, ზერნოვი, მახნევი, ალექსანდროვი, მალენკოვი, ვოზნესენსკი, პერვუხინი, *ბერია*).

– 1948 წელს ჩასატარებელი სპეციალური სამუშაოების გეგმათა შესახებ (ამხანაგები ბორისოვი, მალენკოვი, *ბერია*, პერვუხინი, ზავენიაგინი, ვოზნესენსკი, კრუგლოვი, მახნევი, ჩერეპენიოვი).

– 1948 წელს კოსმოსური სხივების კვლევის სამუშაოთა უზრუნველყოფა (ამხანაგები *ბერია*, მალენკოვი, ვავილოვი, პერვუხინი, კრუგლოვი, ბორისოვი).

– №817 კომბინატის სარეჟიმო ზონიდან გამოყოფის შესახებ (ამხანაგები როდიონოვი, *ბერია*).

– სსრკ თავდაცვის სამინისტროს №2 სასწავლო პოლიგონის საზღვრების შეცვლის შესახებ (ამხანაგები *ბერია*, პერვუხინი, მახნევი).

– სსრკ თავდაცვის სამინისტროს №2 სასწავლო პოლიგონზე კვლევების ჩატარების ოპერატიული გეგმის შემუშავების შესახებ (ამხანაგები *ბერია*, პერვუხინი).

– სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცმშენებლობების დაფინანსების წესის შესახებ (ამხანაგები ზავენიაგინი, *ბერია*, ვოზნესენსკი, კრუგლოვი).

– სსრკ ელექტრომრეწველობის სამინისტროს ვაკუუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის მაღალვაკუუმური დანადგარების წარმოების საქმეში დახმარების ღონისძიებათა შესახებ (ამხანაგები ბორისოვი, კომაროვსკი, მეშეჩერიაკოვი, *ბერია*).

– პირველი მთავარი სამმართველოსათვის 1948 წელს უცხოური ვალუტის გამოყოფის შესახებ (ამხანაგები ბერია, ვოზნესენსკი, პერვუხინი).

– №544 ქარხნისათვის ტურბოგენერატორის გამოყოფის შესახებ (ამხანაგები ჟიმერინი, კლოჩკოვი, ზავენიაგინი, პერვუხინი, *ბერია*).

– სსრკ ფინანსთა სამინისტროში სპეციალური სამმართველოს შექმნა, რომელიც მკაცრ კონტროლს დააწესებს ფინანსების, სპეციალური სახსრების, იშვიათი და ძვირფასი ლითონების ხარჯვაზე (ამხანაგები *ბერია*, ვოზნესენსკი).

– №817 კომბინატის და №813 ქარხნის კადრებით დაკომპლექტების შესახებ (ამხანაგები პერვუხინი, *ბერია*, ვანნიკოვი, ვოზნესენსკი, პრონინი, კრუგლოვი, მეშჩიკი, კურჩატოვი, ზავენიაგინი).

– მაღალცეცხლგამძლე მასალების წარმოების შესახებ (ამხანაგები ვოზნესენსკი, *ბერია*, თევოსიანი, ვანნიკოვი, მიტრაკოვი, ბორისოვი).

– 1948 წელს **"მს"** დანადგარის დასამონტაჟებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების შესახებ (ამხანაგები კურჩატოვი, *ბერია*).

– დანადგარ **"მ"**-ის აღჭურვის შესახებ (ამხანაგები მინცი, *ბერია*, კაბანოვი, ვანნიკოვი, მახნევი).

– სსრკ შინსახკომის **"იაკუტოქროს"** ტრესტის ტერიტორიაზე მდებარე თორიუმის მოპოვების მაღაროების დამუშავების შესახებ (ამხანაგები *ბერია*, მალენკოვი, კრუგლოვი, მამულოვი, მელიქ-სტეპანოვი, ლომაკო, მალიშევი, ვანნიკოვი).

– ჰიდროქსილინის (დეიტერიუმი, იგივე მძიმე წყალი) დაცვის ღონისძიებათა შესახებ (ამხანაგები პერვუხინი, *ბერია*, კრუგლოვი).

– რეპატრიანტებისა და სპეციალურად გადასახლებულ პირთა პირველი მთავარი სამმართველოს ობიექტების მშენებლობაზე გამოყენების შესახებ (ამხანაგი *ბერია*).

_ P-9 მადნის (ურანის კოდური სახელწოდებაა) პოლონეთის ტერიტორიაზე მოპოვების შესახებ (ამხანაგები *ბერია*, ზავენიაგინი).

– საბჭოთა სააქციო საზოგადოება **"ბისმუტში"** არსებული დარღვევების თაობაზე შემოსულ ანონიმურ წერილში მოყვანილი ფაქტების გადამოწმების შესახებ (ამხანაგები მეშჩიკი, ვოზნესენსკი, მალენკოვი, *ბერია*).

ამრიგად, სპეკკომიტეტის თვალთახედვის არეში არსებული ყველა პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტაში ჩართული იყო ბერია. ამიტომ, ჩვენ უფლება გვაქვს, უფრო სწორედ, ვალდებულები ვართ აღვნიშნოთ, რომ ატომური პრობლემის გადაწყვეტასა და ამ ახალი დარგის შექმნაში მონაწილეობდა ასეულ ათასობით ჩვენი თანამემამულე: სწავლული, ინჟინერი, მზვერავი, მშენებელი, მრეწველობის დარგის მუშაკი, მაგრამ, ამ საქმეში ბერიას მაორგანიზებელი როლი აშკარად ფასდაუდებელია.

მას შეეძლო მასების ერთ მუშტად შეკვრა და გაფანტული ძალების მობილიზება. და ის, რომ საბჭოთა კავშირმა აღკვეთა ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მონოპოლია, ამაში სწორედ ბერიას განუმეორებელმა ტალანტმა ითამაშა დიდი როლი.

ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მონოპოლიის ლიკვიდაცია მაშინ მართლაც რუსეთის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახლდათ! უკვე 1949 წელს, როცა ჩვენი პირველი ატომური ბომბი პოლიგონზე აფეთქდა, სტალინმა ვიწრო წრეში განაცხადა: ჩვენ რომ წელიწადნახევრით მაინც დაგვეგვიანებინა ატომური ბომბის შექმნა, მის მოქმედებას საკუთარ თავზე **"გამოვცდიდითო"**. ეს უტყუარი ჭეშმარიტება გახლავთ!

1946 წლის 22 თებერვალს საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების დროებითმა რწმუნებულმა ჯორჯ ქენანმა მოსკოვიდან დეპეშა გაუგზავნა ამერიკის სახელმწიფო მდივანს. იგი ცნობილია როგორც ქენანის **"ვრცელი დეპეშა"**. იგი 1947 წელს გამოაქვეყნა ამერიკულმა ჟურნალმა **"Foreign Affairs"**-მა რუბრიკით **"საბჭოთა კავშირის საქციელი"**. წერილს ესვა იდუმალი გრიფი **"X"**. წერილში ქენანი მოსკოვს ბრალს სდებდა **"განსჯის ლოგიკასთან"** შეუთავსებლობაში და ამტკიცებდა:

"თუ ადგილი არ ექნება რაიმე პროვოკაციას, ძირგამომთხრელ საქმიანობას და შეურიგებლობას, "კაპიტალისტურ" სამყაროს თავისუფლად შეუძლია სოციალისტურ რუსეთთან თანაცხოვრება".

1946 წლის 27 სექტემბერს კი, საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკაში ნ. ნოვიკოვი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრ მოლოტოვის მოთხოვნით გამოგზავნილ წერილში საპირისპირო რამეს იუწყებოდა:

"ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, რომელიც იმპერიალისტური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უფრო და უფრო ემსახურება ამერიკის მიერ მსოფლიოზე ბატონობის მოპოვების დაუოკებელ ჟინს..."

უკანასკნელ სიტყვებს მოლოტოვმა ხაზი გაუსვა, რადგან იგი უტყუარად ასახავდა არსებულ სინამდვილეს. საბჭოთა კავშირზე პირველი ატომური შეტევა **"ტოტალიტი"** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიმუშავეს ჯერ კიდევ 1945 წლის მიწურულს. 20 ატომური ბომბი უნდა ჩამოგდოთ 17 ქალაქში: მოსკოვში, გორკში, კუიბიშჩევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ომსკში, სარატოვში...

შემდეგ კი შედგა გეგმა **"პინჩერი"** (მარწუხი), რაც ითვალისწინებდა 50 ატომური ბომბის ჩამოგდებას ქალაქებში მოსკოვი, ბაქო, ურალის სამრეწველო რაიონი და სხვა. ეს უნდა განხორციელებულიყო 1946-1947 წლებში.

1948 წელს შემუშავდა გეგმა **"სიზლი"** (დამფერფლავი სიცხე), რომელიც უნდა განხორციელებულიყო 1948 წელს, რაც უკვე გულისხმობდა 133 ბომბის ჩამოგდებას 70 ქალაქში (მოსკოვში – 8 ბომბი, ლენინგრადში – 7 ბომბი და ა.შ.).

ასე რომ, ამერიკელებს მადა თანდათან ემატებოდათ. და ყველა ამ ინფორმაციას სსრკ უშიშროების მინისტრ აბაკუმოვის დაზვერვა მაგიდაზე უწყობდა სტალინს. ამავე ინფორმაციებს ასევე მუდმივად იღებდა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სპეკკომიტეტის უფროსი ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

1947 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპას შესთავაზე ე.წ. **"მარშალის გეგმა"**, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის ქვეყნების მიბმას ამერიკის ეკონომიკაზე. რუსეთმა ეს წინადადება უარყო, რადგან იმ გეგმაზე, რომლის გზაც **ნატო**-სკენ მიდიოდა, საბჭოთა კავშირს საუბარიც კი არ სურდა.

1950 წლის დასაწყისში შტაბების უფროსების გაერთიანებულმა კომიტეტმა შეიმუშავა გეგმა **"DropShot"**-ი (**"მომენტალური დარტყმა"**), რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს ლიკვიდაცია. ოპერაცია ოთხ ეტაპად უნდა ჩატარებულიყო.

პირველი ეტაპი გულისხმობდა საბჭოთა კავშირის 200 ქალაქზე 300 ატომური ბომბის ჩამოგდებას და საბჭოთა კავშირის სამრეწველო პოტენციალის 75 პროცენტის განადგურებას. მკითხველს ვთხოვ, წარმოიდგინოს, თუ რას დაემსგავსებოდა მაშინ ჩვენი სამშობლო.

ესე იგი, ურთიერთდაპირისპირება ჩამოყალიბდა საბოლოოდ, მაგრამ ეს რომ რუსებს დააბრალო, ან უტვინო უნდა იყო, ან ვიგინდარა.

რუსეთმა ხომ ახლახან დაამთავრა ასეთი ომი, თანაც როგორი!..

საბჭოთა კავშირის ომში მონაწილეობის ხუთი წელი, 1940 წელთან შედარებით, შეიძლება შემდეგი პირობითი ერთეულებით შევაფასოთ:

1941	1942	1943	1944	1945
ერთიანი ეროვნული შემოსავალი:				
92	66	74	88	83
ერთიანი სამრეწველო პროდუქცია				
98	77	90	104	92
მათ შორის შეარაღების სახეობები				
140	186	224	251	–
კაპიტალდანდებები სახ. მეურნეობაში				
86	53	53	72	89
სახელმწ. ბიუჯეტის შემოსავლები				
98	92	113	149	69

როგორც ხედავთ, ომის წლებში საბჭოთა კავშირში ძირითადად ვითარდებოდა სამხედრო მრეწველობა სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ხარჯზე. მაგრამ უმძიმესი ომი დამთავრდა. და ნუ ააღელვებს მკითხველს იმ ამბავი, რომ 1945 წელს მნიშვნელოვნად არის შემცირებული ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიკური მაჩვენებელი. ეს იყო კეთილისმმასწავებელი ვარდნა, რადგან მიმდინარეობდა სამხედრო წარმოებების პერმანენტული გადაიარაღება და ეკონომიკის ახალ რელსებზე გადაყვანა. და ეს ყველაფერი ციფრებში აისახა. მაგრამ, საბჭოთა კავშირის უდიდეს ეკონომიკურ პოტენციალს ჯერ კიდევ ნანგრევები ფარავდა.

1939 წელს ჩვენ ვაწარმოებდით 43,2 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 1945 წელში კი იგივე 43,3 მილიარდს. 12939 წელს ვადნობდით 17,6 მილიონ ტონა ფოლადს, 1945 წელს კი ეს მაჩვენებელი შეადგენდა 12,3 მილიონ ტონას. ასევე შემცირებული იყო 10 მილიონი ტონით ნავთობის მოპოვება, ხოლო თუ 1937 წელს მივიღეთ 97,4 მილიონი ტონა ხორბალი, 1945 წელს მოსავალმა შეადგინა მხოლოდ 47,3 მილიონი ტონა.

აბა, რომელ **"აგრესიულ"** რუსეთზე შიძლება იყოს საუბარი?

მაგრამ ჩვენ უნდა გვქონოდა საკუთარი ატომური ბომბი, და რაც შეიძლება მალე...

მხოლოდ კლასიკურმა **"დემოკრატმა"** ან ჟურნალისტმა, რომელსაც ცხოვრებაში კონიაკის სირჩისა და ქალის ქვედაბოლოზე მძიმე არაფერი აუწევია, შეუძლია გვარწმუნოს იმაში, რომ დიდი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განსახორციელებლად საკმარისია მხოლოდ ანდრეი სახაროვისა და ლევ ლანდაუს ტიპის გენიოსების ძალისხმევა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული პასუხი ბატონ გულბათ ტორაძეს

თქვენმა წერილმა **„ვუბრუნდები... დაუბეჭდავს“**, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** 30 მარტის ნომერში და იწყება სიტყვებით **„სენსაცია თუ ბლეფი“**, მკითხველ საზოგადოებაში გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს და თქვენი ცნობისმოყვარეობაც დავაკმაყოფილოთ, საჭიროდ ჩავთვალეთ, ჩვენის მხრივ, გიპასუხოთ შემდეგი:

როგორც წერილში აღნიშნავთ, თქვენ დიდად გაუხარებიხართ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** 2009 წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნებულ წერილს **„გადატრიალება ენათმეცნიერებაში“**, რომელიც იუწყებოდა, რომ გამოიცა შვიდტომეული, რომლითაც ამოხსნილია საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემა – ენის წარმოშობის საკითხი.

მაგრამ იმის გამო, რომ წერილი ხელმოუწერელი ყოფილა და მას გაზეთის რედაქციის რაიმე მინაწერიც არ ხლებია (?), გადაგიწყვეტიათ გაგეგოთ, რა აზრისა იყვნენ მის შესახებ ენათმეცნიერების ინსტიტუტში. აქ კი, თქვენდა გასაკვირად, თურმე არავის ჰქონია წაკითხული აღნიშნული სტატია. აი, რას წერთ თქვენ ამის შესახებ:

„გამოდის, რომ ქართულ გაზეთებს არ კითხულობენ არა მარტო ჩვენი ძალიან დაკავებული პოლიტიკოსები, არამედ ენათმეცნიერებიც!“(?)

„ის კი შევიტყვე, რომ ხსენებულ შვიდტომეულს გასცნობიან და პირველადი წარმოდგენაც შეუქმნიათ მის შესახებ. სწორედ აქ გავიგონე სიტყვა „ბლეფი“, რომელიც წერილის სათაურშია გამოტანილი“.

„კერძოდ, სკეპტიკოსებს, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულად მიაჩნიათ „მეგრული ენის ლექსიკის“ ავტორთა ესოდენ ფუნდამენტური დასკვნების გაკეთების მცდელობა. იგონებენ წარსულში მსგავს სენსაციურ „აღმოჩენებს“, მაგალითად, პირინეის (იბერიის) ნახევარკუნძულზე ქართველთა ვითომცდა გადასახლებისა და კელტურ-იბერიული წარწერების ქართულად წაკითხვის ამბავს, რაც სულ მალე საპნის ბუშტივით გასკდა და სხვა ამდაგვარებს...“

„მე კი შემექმნა შთაბეჭდილება, რომ, საზოგადოდ არავინ აპირებს რაიმე გამოხმაურებას ასეთი (ჩემი აზრით) დიდი მნიშვნელობის მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოვლენაზე, რაც ფრიად შემაშფოთებელია. „სირაქლემას მეთოდს“ ხომ არასოდეს და არავისთან გამოუღია კეთილი ნაყოფი და, საფიქრებელია, არც ამ შემთხვევაში გამოიღებს“.

„პატიცემულო, ღირსეულო და გამოჩენილო აკადემიკოსებო, პროფესორებო და დოქტორებო! ხომ წარმოგიდგენიათ, რომ, თუ საქმე მართლა ისეა, როგორც თქვენ ფიქრობთ (განა ყველანი ფიქრობენ ისე, როგორც ეს თქვენთან ვიღაცამ გააჟღერა? – მ. ძ.), რა ყალბი და, მაშასადამე, საშიში ინფორმაციის ტყვეობაში აღმოჩნდება ქართული საზოგადოება თქვენი გაჩუმების შემთხვევაში, რამდენი მოულოდნელი და უსიამოვნო კაზუსი შეიძლება მოყვეს ესოდენ გაზვიადებულ და მცდარ წარმოდგენებს ჩვენი განსაკუთრებულობის შესახებ“ (შვიდტომეული „ჩვენი განსაკუთრებულობის“ წარმოჩენის ცდას როდი ემსახურება. – მ. ძ.).

„თუ არა და, იქნებ, მთლად ისე არ არის საქმე, როგორც მე მომეჩვენა და თქვენ შორისაც აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც დადებითად შეაფასებენ (ღმერთმა ქნას!) შვიდტომეულის ავტორთა მიერ გაწეულ უზარმაზარ შრომას, თუნდაც მის ნაწილს მაინც.“

„ველით თქვენ პირუთვნელ, ობიექტურ და სამართლიან გამოხმაურებას ენათმეცნიერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე“. – ამთავრებთ თქვენ წერილს.

ბატონო გულბათ! ნათქვამია, გაგონილს საკუთარი თვალით დანახული სჯობიაო. ჩემის აზრით, უმჯობესი იყო, ვიდრე დაწერდით და გამოაქვეყნებდით საგაზეთო სტატიას სათაურით **„სენსაცია თუ ბლეფი“**, თქვენ თავად გაცნობოდით შვიდტომეულს. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, წერილში გამოხატული ეჭვები და შიში არ გაგინდებოდათ და სტატიაც სავსებით სხვა შინაარსისა, და სათუო კონტექსტებისაგანაც თავისუფალი აღმოჩნდებოდა. ეს ასევე იქნებოდა მაშინაც, რომ თქვენ გაცნობოდით ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ, ან თვით შვიდტოეულის ბოლოთქმებში (I და VII ტომებში) წარმოდგენილ რეცენზია-შეფასებებს, ასევე, სხვა დოკუმენტურ (მაგალითად, წიგნების პრეზენტაციების) მასალებს, ჩვენი შვიდტომეულისა და სხვა ნაშრომების შესახებ, ენის წარმოშობის საკითხზე, ანდა ყურადღება მიგექციათ იმისთვის, რომ წიგნის თავშივე გამოცხადებული რედაქტორ-რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები და აკადემიკოსები არიან, და ბოლოს, რომ გაგეთვალისწინებინათ ამგვარი რანგის სპეციალისტების შეფასებები, რაც თვით სტატიაში **„გადატრიალება ენათმეცნიერებაში“** არის წარმოდგენილი.

როგორ დავიჯეროთ, რომ ყოველივე ამათ სპეციალურად აარიდეთ თავი, შვიდტომეულში მეგრულის **„პრიორიტეტულობის“** წარმოჩენის ცდის დანახვით შეწუხებულმა, ანდა, იმ მიზნით, რომ მიგეცათ ბიძგი და საშუალება, ამგვარი ილუზიით შეპყრობილი რომელიმე არაკეთილგანწყობილი, ან სულაც მეგრელთმოძულე, შუბლუძარღვებო, ცრუპატრიოტი პოლიტიკანი კვაზიმეცნიერისათვის, რომ გამოხმაურებოდა თქვენს წერილს და წარბშეუხრელად განეცხადოებინა: **„კავკასიონი მთაგრეხილი კი არ არის, არამედ თივის ზვინია, თანაც ისე დამპალი თივისა, რომ ერთ შხაპუნა წვიმას შეუძლია გადარეცხოს და ზღვებსა და ოკეანეებში გააუჩინაროსო (ამგვარის განმცხადებელს რომ დამმოწმებლებიც აღმოუჩნდებიან ჩვენში, ესეც ხომ ახალი ამბავი არ გახლავთ).**

აღნიშნული ეჭვების საფუძველს იძლევა თქვენს წერილში ნახმარი სიტყვები: „მეგრულის პრიორიტეტულობის“, „ჩვენი განსაკუთრებულობის შესახებ“ და მისთანანი, და კერძოდ ის, რომ ასეთი რამ, როგორც ამაზე წერილის წინათქმაში წერთ, თქვენს მიერ დანახულია თურმე ანზორ შონიას საგაზეთო სტატიაში საქართველოს საისტორიო საკითხებთან დაკავშირებით, და, რითაც აღელვებული, თქვენ, რატომღაც, ჩვენს შვიდტომეულში მოცემულ საენათმეცნიერო საკითხებს მათთან აიგივებთ („თითქმის ანალოგიური“-ო, აცხადებთ), და, რომ თურმე ამის გამო „მიუბრუნდით... დაუბეჭდავს“(?).

ენები ერთმანეთისაგან სწორედ მათი თავისებურებებით განსხვავდებიან. ასევეა მეგრულშიც. მეგრულის კვლევა-ძიებისას, რასაკვირველია, ვლინდება მისი დიდმნიშვნელოვანი თავისებურებები, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკის განსაკუთრებული სიმდიდრე, რაც ზოგიერთებს, სამწუხაროდ, მეგრულის პრიორიტეტულობის წარმოჩენის ცდად ელანდებათ, ან სულაც შეგნებულად სურთ ასეთად წარმოსახონ. ჩანს, მათ მეგრული ქართველურ ენად არ წარმოუდგენიათ, იგი ქართულ სივრცეში უცხო სხეულად, უცხოურ ენად, თანაც, მიუღებელ უცხოურ ენად, ესახებათ. არადა, რაზე უნდა აღიზიანებდეთ მეგრულის ან რომელიმე სხვა ქართველური ენის რეალური თავისებურებების, თუნდაც პრიორიტეტულის, გამოვლინება-წარმოჩენა?

თქვენთვის უცნობი არ იქნება ამგვარი გარემოების არსებობა ჩვენში, ბატონო გულბათ? ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გვიკვირს, რატომ მიაწოდეთ მკითხველს, შეუმოწმებლად, ასეთი დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეფასებები: **„სენსაცია თუ ბლეფი?“**, თუნდაც კეთილგანზრახვით? ამით თქვენ ხომ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეთ დიადაც საკაცობრიო მნიშვნელობის (ეს მხოლოდ ჩვენი შეფასება როდია) შვიდტომეული?!.

არაპირდაპირობა და სიცრუე უზნეობის უპირველესი ნიშნებია, რაც უთუოდ არ მახასიათებს. ამიტომაც არ დაგიმალეთ თქვენი წერილის (და, კერძოდ, მისი საგაზეთო შესავლის) არაერთხელ წაკითხვით მიღებული ეს სათუო მოსაზრებანი.

აქვე გეტყვით: გულღრძო ადამიანი სულაც არ გახლავართ. განცდილი ვთქვი, და... მორჩა. არც ავჩქარებულვარ. არადა, შემეძლო, საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხის წარმომჩენი ნაშრომების დისკრედიტაციისა და მათი ავტორებისადმი მორალური ზიანის მიყენებისათვის, შესაბამისი ორგანოების წინაშე დამეყენებინა საკითხი, შეფასება **„ბლეფი“**-ს ავტორგამყიდერებლის სათანადო პასუხისმგებლობის შესახებ. თუმცა, გვიანი არც აწი იქნება, თუ ასეთის აუცილებლობა დადგება, და მაშინ ამ შეფასების ავტორის დასახელებაც მოგიწევთ, რაც აქამდე არ მომითხოვია. დაველოდე, იქნებ გამოგხმაურებოდათ, თქვენს დამაეჭვებელ თუ წამქეზებლურ წერილზე, ავტორი შეფასებისა **„ბლეფი“**, მაგრამ რაკი სოროში იმალება დამნაშავე ტურასავით და კულისებში ნაცრუპენტელევის აშკარად გამოხატვას ვერ ბედავს, ისე ამღვრევს ანკარა წყაროს, იძულებული ვარ, მკითხველს დავანახო რამდენად სამართლიანი და კეთილსინდისიერულია მისი საქციელი.

შვიდტომეულში **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**, და მის წინამავალ ფუძემდებლურ ნაშრომებში, ჩვენს მიერ წარმოჩენილი საკითხი მსოფლიო მნიშვნელობის საკითხია. ამიტომაც, ეს ნაშრომები არა მხოლოდ მისი ავტორების, საქართველოსა და ქართველი ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა კუთვნილებაა (ამას, თავის დროზე, ყველა დაინახავს), და მათი ხელყოფის ან გაუფასურების უფლება არავის აქვს. ამიტომაც, გეხმაურებით, ჩვენვე, და, უწინარეს ყოვლისა, აი, რას გაუწყებთ:

არიან, ძალიან მრავლად არიან, შვიდტომეულისა და მისი წინამავალი და ფუძემდებელი ჩვენი სხვა ნაშრომების **„სხვაგვარად“**, ანუ ობიექტურად, ჭეშმარიტად შემფასებლები, რისი დასტურია შემდეგი ფაქტი: ჩვენ, მამა-შვილ თანაავტორებს – მამანტი და ცირა ძაძამიებს ამ ნაშრომებთან დაკავშირებით მიღებული გვაქვს 200-ზე მეტი რეცენზია-შეფასება და მიძღვნა, – ლექსების, მოლოცვის წერილების, სამახსოვრო წიგნებზე წარწერების და სხვათა სახით, რაც, ერთად გამოქვეყნებისას, ერთ მსხვილ წიგნს შეადგენს (მათი გარკეული ნაწილი შვიდტომეულის პირველი და მეშვიდე ტომების ბოლოთქმებშია წარმოდგენილი). თუმცა, ვიდრე ამაზე უფრო კონკრეტულად ვიტყოდეთ, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

მოგეხსენებათ, რომ ენის წარმოშობის საკითხი ყველაზე საინტერესო და საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემური საკითხია. მისი შესწავლით ადამიანი ოდითგანვე იყო დაინტერესებული.

ენის წარმოშობის საკითხზე, ძველთაგანვე, წარმოიშვა მრავალი თეორია. მათ შორისაა: ჟესტ-მიმიკის თეორია, შორისდებულების ანუ წამოძახილების თეორია, ხმბაძვითობის თეორია, შრომითი წამოძახილების თეორია, მარქსისტული შრომითი თეორია და სხვა.

ვინაიდან ენის წარმოშობა უკავშირდება საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებას, საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები გაერთიანდა ორ ძირითად თეორიაში. ესენია: 1) საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის ბუნებითობის თეორია; 2) საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის შეთანხმების (იგივე, პირობითობის) თეორია. პირველი მათგანის მიხედვით საგანს სახელი დაერქვა მისი ბუნების საფუძველზე, ხოლო მეორის მიხედვით საგანს სახელი დაერქვა შემთხვევით და ნებისმიერ საფუძველზე.

ამგვარ თეორიებს შორის გაჩაღებული მწვავე ბრძოლის 2600-წლოვანი ისტორიის მანძილზე ვერც ერთი მათგანის დამტკიცება ვერ მოხერხდა. ისინი, სათითაოდ, უარყოფილ იქნენ სხვა, საპირისპირო თეორიების მიერ.

მათ შორის, საგნის საახელდებისა და ენის წარმოშობის ბუნებითობის თეორია, და კერძოდ, ხმაბაძვითობის თეორია უარყოფილ იქნა შემდეგი მოტივებით: 1. **„საგანს რომ სახელი მისი ბუნების, და კერძოდ, ხმაბაძვითობის მიხედვით ერქვას, არ გვექნებოდა ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა სახელი სხვადასხვა ენაში, ანუ არ გვექნებოდა სხვადასხვა ენა: 2. ხმაბაძვითი სიტყვები ენის ლექსიკაში შეადგენს მცირედ და პერიფერიულ ნაწილს და ენის წარმოშობაში მათ რაიმე მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს“.**

ენის წარმოშობისა და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა ასეთი შეხედულებები: **„ენის ლექსიკის უდიდესი ნაწილი არაფრითაა მოტივირებული, იგი შემთხვევითია და ნებისმიერი“**; **„თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალიც კი არ არის დარჩენილი, მის შესახებ რაიმე ჩანაწერი არ არსებობს, ამიტომაც შეუძლებელია ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლა, მის შესახებ მხოლოდ ვარაუდების წამოყენება შეიძლება“; „ენის წარმოშობის საკითხი ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია“.**

ასეთ პირობებში, ჩვენ, მამა და შვილმა თანაავტორებმა, მამანტი და ცირა ძაძამიებმა, ერთ-ერთი უმწერლობო ქართველური ენის – მეგრულის ლექსიკის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე, ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემული ნაშრომით **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“**, პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში, წარმოვაჩინეთ, რომ საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველია საგნისავე ბუნებითობა, კერძოდ, ხმაბაძვითობა. ხოლო რაც შეეხება ე. წ. „წმინდა წყლის“ პირობით ნიშნებს (სიტყვებს), ისინი მეორეული მოვლენაა ენაში.

ახალი, დამატებითი არგუმენტებით სრულად წარმოვაჩინეთ ენის წარმოშობის საფუძვლები ნაშრომში: **„სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის სფუძველი“** (2003).

სრული საბუთიანობით – გამოკვლევის ობიექტის, მეგრული ენის ლექსიკის სრულად მოხმობით (ამჯერად, ვლ. ვახანიას თანაავტორობით) და მთელი ამ ლექსიკის სიტყვათწარმომავლობის ანუ ეტიმოლოგიის წარმოჩენით – წარმოვადგინეთ ენის წარმოშობის საფუძვლები შვიდტომეულში: **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** (2007).

ამ უკანასკნელ ნაშრომს წინ უძღოდა ჩვენი (მამა-შვილის, მამანტი და ცირა ძაძამიების) ერთობლივი 2600-მდე საენათმეცნიერო (გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი) ნაშრომი, მათ შორის, 10 მონოგრაფია, რომლებმაც, ძირითადად, ასახვა ჰპოვეს შვიდტმეულში.

ჩვენთვის ცნობილი ენებიდან ერთ-ერთი უმწერლობო ქართველური ენა – მეგრული ენა გამოკვლევის ძირითად ობიექტად გამოყენებულ იქნა შემდეგი გარემოების გამო: ამ ენაში აღმოჩნდა ხმაბაძვითი სიტყვების განსაკუთრებული სიუხვე. ამასთან, აქ აღმოჩნდა 500-მდე ხმაბაძვითი თანხმოვნური (მხოლოდ თანხმოვნებისაგან შედგენილი) სიტყვა, ერთადერთი ემფატიკური ნახევრადხმოვანი) ბგერით (საერთაშორისო ტრანსკრიპციით ə) გახმოვანებული სახით. ასე, მაგალითად, **ჯღრრრჯღრრრ** შორისდებულის სახით გვესმის, ჩვენ, დღემდე, ძახილი ერთ-ერთი ფრინველისა, და მისი მეგრული სახელწოდებაა ფორმა **ჯღ)რჯღ)** (ქართ. ჩხართვი); ასევე გვაქვს ხმაბაძვითი სიტყვები: **შქრტ)** ქრება, **სქრ)** შრება და ა. შ.

რაც ყველაზე მთავარია, აღმოჩნდა შემდეგი: მეგრული ენის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი, კერძოდ, 99,2 პროცენტი მიღებულია ხმაბაძვით (ზოგადად, ბუნებით) საფუძველზე; პირველყოფილი სიტყვები, – ეს იყო ხმაბაძვითი შორისდებულებისაგან მიღებული თანხმოვნური სიტყვები-ბგერისეული გახმოვანებით; თანხმოვნურ ფორმათა გახმოვანება (გასრულხმოვანება) და აფიქსაცია-გრამატიზაცია კი მეორეული მოვლენაა ენაში.

დადგინდა ისიც, რომ იმთავითვე, თვით ერთი და იმავე საგნის სხადასხავგვარად სახელდება და სხვადასხვა ენის წარმოშობა განპირობებულია სხვადასხვა ადამიანების (ადამიანთა ჯგუფების) მიერ თვით ერთი და იმავე საგნის მიერ გაღებული ბგერების რამდენადმე განსხვავებულად აღქმა-გამოხატვით, სმენადობაში არსებული განსხვავებების გამო, რასაც მოჰყვა საწარმოთქმო ჩვევების ანუ საარტიკულაციო ბაზისის განსხვავებულად ჩამოყალიბება-განვითარება. ასე, მაგალითად, ის ბგერა, რომელიც ჩვენ, ქართველური რასის ადამიანებს, ისტორიულად გვესმოდა და გვესმის ჭ-თი, ეროვნებით რუსს (სლავებს, ინდოევროპელებს) ესმოდათ და ესმით ჩ-თი. ამიტომაც: **„ჭიკჭიკი“, „ჭიჭიკო“**, – ვამბობთ ჩვენ, მაგრამ **„ჩირიკანიე“, „ჩიჩიკო“**, – ამბობს ხოლმე რუსი. ანალოგიურ საფუძველზეა მიღებული შესატყვისობანი: გუგული (ქართ.), გუგუკ (თურქ.) კუკუ (ფრანგ.), კუკუკ (გერმან.) კუკულო (იტალ.), კუკო (ესპან.) კუკუშკა (რუს.), კუკუჩკა (ჩეხ.), და ა. შ. მაგრამ არახმაბაძვით საფუძველზეა მიღებული იმავე ფრინველის სახელწოდებანი: ზოზულია (უკრ.), ხოტოტოგისუ (იაპ.), დუძიუან (ჩინ.) და ა. შ.

აღნიშნული გარემოებანი და კერძოდ ის ფაქტი, რომ მეგრულის ლექსიკის 99,2 პროცენტი მიღებული აღმოჩნდა ხმამიბაძვის საფუძველზე, ყოველგვარი სხვა მტკიცებულებების გარეშეც სავსებით ასაბუთებს ენის წარმოშობის ხმაბაძვითი (აქამდე, უარყოფილი) თეორიის ჭეშმარიტებას. მაგრამ ჩვენ ამითაც არ დავკმაყოფილებულვართ.

ვინაიდან ენები, ჩვეულებრივ, შედგება ერთი საერთო მასალისაგან – ბგერებისაგან (ამათგან კი შედგება სიტყვები), უწინარეს ყოვლისა, შევისწავლეთ ზოგადად ანუ საერთოდ ბგერის რაობა, და, ბუნებაში მოცემული სხვადასხვა სახის ბგერების, მათ შორის, არაცოცხალ და ცოცხალ, უსულო და სულიერ საგანთა მიერ გაღებული ბგერების და თვით ადამიანური სამეტყველო ბგერების რაობა, მსგავსება და განსხვავებანი მათ შორის, მათი წარმოშობის საფუძვლები, დანიშნულება და ა. შ.

მამანტი ძაძამია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

“ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი”

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ნოველებს მწერალ რაფიელ გელანტიას ამავე სახელწოდების წიგნიდან

მშობლიური ხიბლი

სამწუხაროდ, ომებს ყოველთვის აჩაღებენ ხალხის სახელით და ხალხის კეთილდღეობის ლოზუნგით. ადამიანთა უმეტესობა, რატომღაც, ყოველთვის იჯერებს ამ ზღაპარს, იცვამს ჯარისკაცის ფარაჯას და მონაწილეობს ხორცსაკეპში, საიდანაც, როგორც წესი, არ ბრუნდებიან. ასე იყო ძველად, ასეა ახლაც.

ვიღაც-ვიღაცეებს დასჭირდათ და ქართველებმა და აფხაზებმა ბრიყვულად დავდგარეთ ერთმანეთის სისხლი.

და მაინც, ცალკერძ აფხაზს და ცალკერძ ქართველს ერთმანეთთან გასაყოფი რომ არაფერი აქვთ, ეს დრომ დაადასტურა.

ამის ცოცხალი მაგალითია საქართველოს გარეთ სამი ჩვეულებრივი შეხვედრა, რომლებიც, თუ არა ომი, არც კი შემორჩებოდა ჩემს მეხსიერებას.

რა მოგენატრა აფხაზეთიდან?

ომის ბოლო დღეებში ახლომახლო ჭურვი აფეთქდა და ორი ფერადი სვეტი გამიჩნდა მარცხენა თვალის არეში, მაგრამ ამისათვის მაშინ ვის ეცალა. შემდეგ ზუგდიდში ძმათამკვლელმა დაპირისპირებამ ჩამკეტა ორი თვე და მხოლოდ იანვრის პირველ ნახევარში შევძელი თბილისში ჩამოსვლა.

თვალის ბადურის ჩამოცილება დაუყოვნებლივ ოპერაციას მოითხოვდა, მაგრამ საამისოდ ფული იყო საჭირო. იმ მძიმე დროშიც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სხვისი ტკივილი საკუთარი ტკივილისგან არ ჰქონიათ გამორჩეული: ზურაბ ერქვანიამ, ლონდერ ცაავამ, ბაკურ გულუამ, გოდერძი ბუკიამ, მერაბ დვალმა, ვახტანგ ყოლბაიამ, ელგუჯა ბერიამ, დალილა ხორავამ, ზურაბ გეგეჭკორმა, ავთანდილ მარგიანმა თავისი ზნეობრივი ვალი მოიხადეს ჩემი, ანუ ერთ-ერთი რიგითი აფხაზელის წინაშე.

თბილისში, რუსეთის სამხედრო ჰოსპიტალში პირველი ოპერაცია უშედეგო გამოდგა. მოსკოვისკენ გზა ადვილი არ იყო, მაგრამ ამ კეთილი ადამიანების თანადგომით მოხერხდა, თუმცა მოგვიანებით.

ერთ საღამოს მორიგე ექთანი გოგონა წვრილად მეკითხება აფხაზეთსა და ჩემზე. გამიკვირდა, მაგრამ გულახდილად დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა. მერე დაამატა, სამედიცინო ისტორიაში გიწერია, მაგრამ დეტალები ერთ ჩვენს პაციენტს აინტერესებს, რომელსაც, თუ ნებას დართავ, შენს სანახავად უნდაო მოსვლა. ექთანს ავუხსენი, სტუმრის მისაღებად არ ვვარგივარ, მაგრამ სტუმარი ღვთისაა და შეეხვდები-მეთქი.

როცა „მკვდარი საათი“ გამოცხადდა და უკვე ყველას ეძინა, მორიგემ დააკაკუნა, სტუმარი მოგიყვანეო. ვიგრძენი, რომ სტუმარი ფეხაკრეფით შემოვიდა, მოკრძალებით მომესალმა, მომიკითხა რუსულად და რაღაცები დააწყო მაგიდაზე. მერე სკამი გამოსწია, წვეთოვანი გაასწორა და დაჯდა.

– მე აფხაზი ვარ, მეომარი. ოჯახს გვიან მოვეკიდე, ამიტომაც ერთადერთი ვაჟიშვილის ნაცვლად ავიღე იარაღი ხელში.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– გალელებმა, როგორც წესი, რუსული ცუდად იცით, ქართულად ან მეგრულად ხომ არ ვილაპარაკოთ?

შეკითხვა მოულოდნელი, მაგრამ მეტად კეთილშობილი იყო.

აფხაზურად მივესალმე, (სამწუხაროდ, მხოლოდ მისალმება და რამდენიმე თბილი სიტყვა ვიცი), შემდეგ დავამატე, როგორც უფრო მოსახერხებელი იყოს თქვენთვისმეთქი.

მალე სამოცის გავხდები, გუდაუთაში ვცხოვრობ, ვსწავლობდი თბილისში, განაწილებით ვმუშაობდი ჭიათურაში, ტყვარჩელში, ოჩამჩირეში მეფრინველეობის კომბინატის მშენებლობაზე. შენ კარგად იცი, რომ თუ ქართული არ იცი, იქ მაინც ისწავლი.

– ცუდი ამბავი მოგვივიდა, სამარცხვინო, ვინ იფიქრებდა, რომ აქამდე მივიდოდა საქმე. თქვენ მეცოდებით, აფხაზები მეცოდება, არ მინდა შვილს არეული ქვეყანა დავუტოვო.

– მინდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, ვინ იცის რა იქნება ხვალ, მთებიც ხვდებიან, მინდა მეგობრები გავხდეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. გვიან იმიტომ შემოვედი, რომ აქ მარტო არა ვარ, ვინ იცის კიდევ ვინ რას ფიქრობს, რა უდევს გულში. როცა თვალბანდს მოიხსნი, საღამოობით შევხვდეთ სასეირნო მოედანზე. თუ ყველაფერი კარგად მოგვარდა, გუდაუთაში ჩემი სტუმარი იქნები, არც მე გამიჭირდება გალში ჩასვლა.

ესამე დღეს შევხვდით, სასეირნო მოედნამდე ექთანმა მიმიყვანა. ღამის ორ საათზე გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. ხელში ჩურჩხელა შემაჩეჩა, სახვევს რომ მოგიხსნიან, სხვა რამეც ნახე მაგიდაზეო.

ერთი კვირა ვხვდებოდით ერთმანეთს, როგორც წესი, რუსულად ან მეგრულად ვსაუბრობდით.

ორშაბათს გაწერეს. წინა კვირას შემოვიდა ბოთლი არაყით და წვრილი თხილით ხელში.

ალკოჰოლის მიღებისთვის საავადმყოფოდან აძევებდნენ პაციენტებს, ამიტომ კარები ჩაკეტა, ორ ჭიქაში ცოტაოდენი აფხაზური ჭაჭა ჩაასხა, ერთი მე გამომიწოდა.

– ამით ჩვენს აფხაზეთს გაუმარჯოს. თქვა და დალია. მეც იგივე გავაკეთე.

– ამით ჩვენს შვილებს და ოჯახებს გაუმარჯოს, რისთვის და ვისთვის გვინდა აფხაზეთი თუ დავხოცეთ ერთმანეთი? მეც გავიმეორე და დავლიე.

– ამით უაზრო ომში დაღუპულთა ხსოვნა იყოს, დაჭრილებს გამოჯანმრთელება ვუსურვოთ, ჩვენც ხომ მათს რიგებში ვართ! მშობლებს გამაგრება ვუსურვოთ, შენ იცი, ისინი სანამ ცოცხლები არიან, შავებში იქნებიან. ვავა ჩქიმი ცოდა!

ტელეფონის ნომერი მომცა, შემატყობინეო შენი ამბავი.

მთხოვა არ გამეცილებინა, მის წასაყვანად სამხედრო ფორმიანი ბიჭები მოვიდნენ.

მე-14 სართულიდან დიდხანს ვაყოლებდი თვალს აფხაზეთში მიმავალს.

მისი წასვლით რაღაც ჩამწყდა გულში, რა თბილი და მშობლიური იყო. ასე მეგონა, თვალის გარდა კიდევ რაღაც ამომაჭრეს ექიმებმა. წავიდა, მაგრამ მშობლიური სურნელი დატოვა.

დამიტოვე ტელეფონის ნომერი

ლიმიტის მოსაპოვებლად მაიკომ თბილისის კონკურსში გაიმარჯვა და სექტემბრის დასაწყისში მოსკოვის ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის ასპირანტურაში ამოყო თავი.

ამ სასწავლებელს უფრო ქალაქი – ქალაქში შეეფერება სახელად. აქ თუ რუქა არ გაქვს, ლაბირინთში უნდა წარმოიდგინო თავი.

ამ სასწავლებელში ლამის ნახევარი მსოფლიოს ახალგაზრდებს შეხვდებით.

მაიკოს ოთახი გამოუნახეს კიდევ ორ სტუდენტთან ერთად.

საჭირო საბუთების შეკრება ქალაქში გასვლას, მრავალი წინააღმდეგობის დაძლევას მოითხოვდა, რაც პირველად ამხელა ქალაქში მყოფი ახალგაზრდასთვის ადვილი არ იყო.

საღამოს 9 საათისათვის კარებზე დააკაკუნეს. მაიკო მარტო იყო, შეეშინდა. კარებში ორი კავკასიური გარეგნობის მერცხალივით მოქნილი ქალიშვილი იდგა.

– ჩვენ ქართველ გოგონას ვეძებთ, რომელიც ამ დღეებში ჩამოსულა კავკასიიდან, იკითხეს გოგონებმა.

– ქართველი მე ვარ, იქნებ თქვენ სხვა ვინმეს ეძებთ, გულუბრყვილოდ უპასუხა მაიკომ.

– მაიკომ თავისი გვარი და სახელი უთხრა, თავი გააცნო.

გოგონები სკამებზე ჩამოსხდნენ.

– ჩვენ ერთმანეთის გაცნობას მერეც მოვასწრებთ, ახლა მოვედით, რათა შენი მობილური ტელეფონის ნომერი ჩავიწეროთ, ჩვენსაც დაგიტოვებთ, რათა თუ ქალაქში გზა დაგებნა, ან რაღაც გაგიჭირდა, უმალვე შენთან გავჩნდეთ. გვენდე, ჩვენც იქიდან ვართ, ომამდე შენი პატარა თანატოლები და მეგობრები. ახლა წავედით, არ დაგვივიწყო!

მაიკომ მადლობა უთხრა. გოგონებმა თავიანთი სახელები დატოვეს და ტელეფონის ნომრები, აგრეთვე საოცრად თბილი ღიმილი.

მაიკო გათენებამდე ფიქრობდა სოხუმსა და აფხაზეთზე, იმაზე რაც იქ მოხდა.

– ვერ წარმოიდგენთ რა საყვარლები და მშობლიურები არიან სოხუმელი და ტყვარჩელელი მზეთუნახავები, იმ წუთებში მეც თავი მშობლიურ სახლში მეგონა, თქვა მაიკომ სევდანარევი ხმით.

ცერა თითი

1993 წლის ივლისში რუსეთის უმაღლეს სამხედრო ეშელონებში შემუშავდა სოხუმის აღების ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის გარშემო არსებული სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩაგდებას და შეტევისთვის ხელსაყრელი პლაცდარმის შექმნას.

გააქტიურდა დაზვერვა სოხუმის რაიონის სოფლებში: ახალშენი, გუმა, შრომა, კამანი. ინფორმაციის მოსაპოვებლად სამხედრო დაზვერვის ჯგუფები, რომელთაც ენისა და სოხუმის, წარმატებით აღწევდნენ ქალაქში, სამხედრო შენაერთებშიც კი.

2 ივლისს აფხაზური ქართულენოვანი სამკაციანი სადაზვერვო ჯგუფი, საღამოს სოფელ შრომის მაღალმთიან დასახლებაში შეიპარა. ბუჩქებში ჩაწვნენ, შებინდებას დაელოდნენ. საიმედო ოჯახში მისასვლელად გადაცმა, იარაღის შენახვა და გზააბნეული ქართველების როლის თამაში იყო გადაწყვეტილი. ადგილობრივ ენას კარგად ფლობდნენ, თუმცა გუდაუთელიაფხაზები იყვნენ, ამასთან დოკუმენტებში მათი ნამდვილი, კოლხური გვარები ეწერათ და საიმედო ალიბიც მოფიქრებული ჰქონდათ.

უცებ აფეთქებამ შესძრა იქაურობა, ექო ფერდობებს შეეჯახა და უფრო ძლიერი და გაწელილი დაბრუნდა უკან.

მზვერავები ჩაწვნენ, შამილმა, ჯგუფის მეთაურმა დანარჩენებს, საჭიროების შემთხვევაში, ცეცხლით მხარდაჭერა დაავალა, და გვიმრიანით ღელესკენ გაემართა.

ღელის საკმაოდ მოზრდილი, ქაფიანი მორევის გაღმა, მაღალ ნაპირზე 10-12 წლის, სისხლით მოთხუპნული ბიჭი ფართხალებდა. ეტყობოდა, რომ დინამიტი აუფეთქდა ხელში.

მზვერავებმა ღელე გადალახეს და ბავშვთან აღმოჩნდნენ. იგი სუნთქავდა, მაგრამ სახიდან, მკერდიდან, კიდურებიდან სისხლი სდიოდა. შამილი არც დაფიქრებულა, ბავშვს თავი აუწია, ფრთხილად გაუხილა თვალები. მარაოსებრი წამწამებს მიღმიდანშეშინებული შავი თვალები შველას ითხოვდნენ. ბავშვი ხელში აიყვანა და დაფიქრდა: აქ მალე ქართველი სამხედროები მოვიდოდნენ და ტყვედ ჩავარდნა არ ასცდებოდათ, ან ბავშვი უნდა მიეტოვებინათ. ჯგუფის წევრებმა დაჭრილის დატოვება და იქაურობის გაცლა ურჩიეს, მაგრამ ბავშვის სისხლით მოსვრილმა შამილმა სხვა არჩევანი გააკეთა: ბავშვი უსაფრთხო ადგილას გაეყვანათ, პირველი დახმარება გაეწიათ, დანარჩენზე შემდეგ ეფიქრათ.

ასეც მოიქცნენ. რამდენიმე ათეული მეტრი გაიარეს, ვიტალმა შენიშნა, რომ აფეთქებას ბიჭისთვის ცერა თითი წაეგლიჯა, საჩვენებელი და შუა თითი კი კანზე ეკიდა. ვიტალი ძუნძულით დაბრუნდა უკან, მალევე წამოწია; მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა იცოდა, რომ თითის მიკერება და გადარჩენა შეიძლებოდა. ცერა ცელოფანში ჩადო, შემდეგ ცელოფანის ტოპრაკში, რომელშიც წყალი ჩაასხა. წყალს შეძლებისდაგვარად ცვლიდა.

ახლომახლო დასახლება არ ჩანდა. სისხლის დენის შესაჩერებლად ბიჭს დეცინონისორი ამპულა და რაღაც ანტიბიოტიკი გაუკეთეს, ჭრილობები შეუხვიეს, ხელის მტევანი შეუფუთეს.

შუაღამე გადასული იყო, დასახლება, სადაც ბიჭს დატოვებდნენ, არ ჩანდა, მისი მდგომარეობა კი უარესდებოდა: შუბლი უხურდა, სუნთქვა აუჩქარდა, გულისცემა დაუსუსტდა, თვალებს ვერ ახელდა, მკვდრის ფერი ედო.

გზატკეცილზე გავიდნენ, უკვე სამშვიდობოს იყვნენ. ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ექიმი გააღვიძეს, მდგომარეობა აუხსნეს. სამხედრო ექიმმა ზედაპირულად გასინჯა, რაღაც ნემსი უჩხვლიტა და დაუყონებლივ გუდაუთაში გადაყვანა ურჩია.

„ურალის“ ძარაზე აიყვანეს, იატაკზე ფრთხილად დააწვინეს. თენდებოდა. ბიჭს უკეთესობა ეტყობოდა, სუნთქვა თანაბარი გაუხდა. შამილმა გამოლაპარაკება სცადა, ბავშვი დუმდა.

შამილი არ ეშვებოდა, ბიჭმა რუსულად უპასუხა: კობა მქვია, გვარად ახალაია, დედა თბილისელი ზოიძეა, ბებია მამის მხრიდან, ოჩამჩირელი აფხაზი. შამილს ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ბიჭი ქართველი იყო.

თანამებრძოლებს ეს საუბარი გამორჩათ, ეძინათ.

გუდაუთის საავადმყოფოში საოპერაციოდ მოემზადნენ. შამილმა თავისი და, რომელიც ამ საავადმყოფოში მუშაობდა, გააღვიძა, მომხდარზე მოუყვა და სთხოვა ბავშვის ქართველობა არ გამჟღავნებულიყო.

ჯგუფი შრომაში დაბრუნდა და დავალების შესრულება განაგრძო.

კობას სხეულზე მინის უამრავი ნამსხვრევი აღმოაჩნდა, მათი ამოღება და ნაკერების დადება გაჭიანურდა. მტევნის ძვლები გადამსხვრეული და ბუდეებიდან ამოვარდნილი იყო, ეტყობა ნარკოზიც შესუსტდა და, როცა ექიმი თითების დამუშავებას შეუდგა, კობამ **„ვაი დედაო“**, დაიგმინა.

ექიმს და ექთანებს ხელები აუკანკალდათ, ქართველი პაციენტი ომის დაწყებიდან აქ არ ჰყოლიათ. შამილის დამ იმარჯვა: ბიჭს ქართველების ტყვეობაში გონია თავი და გამოსავალს ეძებსო. შემდეგ ბიჭის თავთან დადგა და აფხაზურად უხსნიდა, რომ ის თავისიანებში იყო და არ შეშინებოდა. საოპერაციოში მოხერხდა საჩვენებელი თითის და შუა თითის დაფიქსირება, მაგრამ ცერა თითის მიკერება ვერავინ იკისრა. თითი მაცივარში მოათავსეს.

შამილის და, ლუდა, რომელსაც სახელი რუსი დედის პატივსაცემად დაარქვეს, სახლში დაბრუნდა და მამას, კაც თარბას, გუდაუთაში და მის გარეთ ცნობილ კაცს, ყოველივე წვრილად მოუყვა.

ო, ეს შამილი, მუდამ როგორ არის ხიფათსა და პრობლემებში, გამოსცრა კბილებიდან ოჯახის უფროსმა და მეუღლეს სთხოვა რუსებთან გადასულიყო, ვერტმფრენი **„ეჩალიჩა“**, რათა ბავშვი სოჭში გადაეყვანათ.

დღის 12 საათზე თავპირშეხვეული კობა და კაც თარბა სოჭში დაეშვნენ. ქირურგებმა კობას ცერა თითი თავის ადგილზე დააბრუნეს. ხარჯი შამილმა გადაიხადა.

5-9 ივლისს სოხუმის ირგვლივ მდებარე სიმაღლეები ქართველებმა დაკარგეს, ბევრი ახალგაზრდა აფხაზი, ისევე როგორც ქართველი, შეეწირა ამ ოპერაციას. გუდაუთაშიც კიდევ ბევრმა დედამ ჩაიცვა ძაძა.

გამარჯვების ეიფორიაში შამილის ჯგუფის ინციდენტით მაშინ არავინ დაინტერესებულა, თუმცა, მოგვიანებით შამილს მოსთხოვეს პატაკი დაეწერა.

ახლა კობა სტუდენტია, მამა სოფელ შრომის დაცემის დღეებში დაიღუპა. იგი, თავის ცერა თითს **„აფხაზურს“** უწოდებს, ცდილობს ხმა მიაწვდინოს შამილის ოჯახს და აფხაზ ქალიშვილზე დაქორწინებას აპირებს.

რაფიელ გელანტია

ზუგდიდი, 5 ივლისი, 1999 წ.

ქართველური გვარ-სახელ-სიმღერები და შუმერ-ეგვიპტელ ღმერთთა სახელები

(გაგრძელება. დასაწყისი – "ილორი" № 110, 111)

გვარები: შავდია, აშორდია, სორდია, შესაძლებელია, უძველესი გაქვავებული, **დია**-ს შემცველი – **შა-ო-დია, ო-შორ-დია, სორ** (შორ)-დია კი არ არიან, არამედ **და** სუფიქსალური თანხმოვნით დაბოლოებული პირის სახელი შავდი, აშორდი, სორდიდ-საგან არიან მიღებული, ოღონდ მათი ამოსავალი, შესაბამისად: **შა-ო, ო, შორ** მზისადმი მიმართვის შერწყმა, ან თავად მზის სახელია.

არის გვარ-სახელები, სადაც დია (დედას) არსებობა ვერ უარიყოფა: **დია-სამ-იძე**. აქ **დია** დედაა, **სამ** კი – **შამ** მზე ღმერთი. უმშვენიერესი პირსახელი **შორ-ენაც** იგივე **შორ**-ნენა ანუ **შორ დედაა**.

მეგრულში გვაქვს გამოთქმა – **დია-შური**, რომელიც ზუსტი შესატყვისია ქართული დედა-ღმერთის და იგივე სიტუაციაში წარმოითქმის. ცხადია, **შურ** აქ მზეა და შესატყვისია **დია-სამ**-იძის **სამ** ფრაგმენტისა.

მაშასადამე, პირსახელი **შორენა** გვარის ფუძე **დიასამი**, გამოთქმა **დიაშური** შუმერთა **შამაშ** მზე ღმერთის ხნოვანების არიან.

დიდებულ ლოტბარს პოლიკარპე ხუბულავას დამუშავებული აქვს სიმღერა **"სამარგალოშ ჭიჭე გემი"**, რომელსაც მღერის ზუგდიდის ვეტერანთა გუნდი. მასში ასეთი სიტყვებია: **"მუთ გოცქვანა ბჟას სკიებს, ეთი საქვარს მიანჭეთ"** (**"რაც გშვენით მზის შვილებს, იმ საქმეს ესწრაფვოდეთო"**). **ბჟას სკიეფ**-ად, ანუ **მზის შვილებად** მიაჩნია მეგრელს თავი, რაც უძველესი წარსულის გამოძახილია და ჩამოთვლილ პირ-გვარ-სახელებთან ერთად ისეთივე კოსმოგონური შედეგი გახლავთ, როგორიც **"ბჟა დიდა რე ჩქიმი"...** ცნობილი არქაული ლექსი.

მკვლევარი გ. ბედოშვილი გვარ **არო-ში-ძეს** ფუძე **არო**ში-ს პირსახელი **არო** პლიუს **შ**(ი) ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან შემდგარად თვლის. უნდა დავძინოთ, თავად პირსახელი **არო** მზისადმი ვედრების გამომხატველი **ორო**-დანაა. ანუ, ეს ვედრება არსებობდა როგორც **ო, რა**, აგრევე **ო, რო** ალომორფული ფორმითაც, რომლებიც შემდგომ ასევე ალომორფული მზის სახელები გახდნენ (შორისდებულისა და სახელის შერწყმის შერწყმა ზემოთ მრავალგზის ვნახეთ).

ფენომენალურ კახურ სიმღერაში ო-რო-ვე-ლა **ორო** მზის სახელია. ვფიქრობ, აქ **ელა** წარმომავლობის სუფიქსია, რომლის წინ **ვ** განვითარდა ხმოვანთმეზობლობის შორის, როგორც ეს ხშირად ხდება (ყიფშიძე, უთურგაიძე, ახვლედიანი, ცხადაია). იქნებ აქ მეტი განმარტებაა საჭირო მაგრამ მთავარია: **ორო** აქ მზეა. იგივეა მეგრული ჩრდილის გამომხატველი სიტყვა **ორო**. თითქოს **ორო**-ჩრდილი მზის საპირისპირო ცნებაა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩედილი მზის გარეშე არ არსებობს, ამიტომ, სახელდება კანონიერია.

"ეგვიპტური ჰორ-ჰრა-რა იგივე მზეა (რამზეს – მზეთამზე), შესაძლოოა ამას უკავშირდებოდეს ქართული სვანური სიტყვა რიჰო, "განთიადი", განთიადის (ღვთაების უძველესი საგალობელი)" (ა. გელოვანი).

უფრო მეტიც, ვაკეთებ სენსაციურ განცხადებას: ეგვიპტურ-ლათინურ-ბერძნული **ჰოროსი** კოლხური **ო, რა** გახლავთ სახეცვლილი!!!

მარტვილელები დილას **ორდოს** ეძახიან. იგი უძველეს **ორო**-დანაა მიღებული, რომლის წინ **დ** განვითარდა, შემდეგ კი სიტყვის შუაში გადაინაცვლა: **დორო-ორო**.

დ-ორო აღდგენილ ფორმაში ერთგვაროვანმა ხმოვნებმა მოახდინეს კვეცა და მივიღეთ ქართული – დრო! რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად, ეს პროცესი უადრესად ლოგიკურია, რამეთუ **ორო**-დან მიღებული **დორო** დილაა მნიშვნელობით, მაგრამ იგი ხომ დროის მონაკვეთია და აზროფორმა გაფართოვდა უფრო დიდ, აბსტრაქტულ დროის მნიშვნელობად. ეს ერთი, მეორეს მხრივ კი ქართველური სიტყვა **ჟამი** მიღებულია მზის აღმნიშვნელი სიტყვა ბჟასაგან (ვლ. ალფენიძე). ეს პარალელი კი უეჭველს ხდის ზემორე გაკეთებულ დასკვნებს. ჟამი ჩვენი წინაპრების მონაგარია!..

მეგრული **ორდო** (დილა) და რუსული **უტრო** (დილა) თითქმის ერთიდაიგივე სიტყვაა, რა თქმა უნდა, რუსული **უტრო**-ა ოდნავ ცვლილი **ორდო**, ოღონდ, ესეც სენსაციაა.

სომხურ **ვალ-ორდ-აინშ**-იც (დილაადრიანად) **ორდ** გახლავთ ძირი. ამის შემდეგ განა საეჭვოა ქართული **დილა** იყოს მიღებული ზემოთ აღნიშნული **დორო**-დან.

ამგვარად, ქართული **დილა**-ს, რუსული **უტრო**-ს, სომხური **ორდ** ძირის, ლათინური **ჰოურ**-სის, ეგვიპტური **წრ**-ს, ბერძნული **ჰორა**-ს, სვანური **რიჰო**-ს და მეგრული **ორდო**-ს დედამშობელი **ო, რო** იგივე **ო,რა** მზის საგალობელია.

საოცარია, მაგრამ ყველაზე ღრმა ბგერითი ცვლილებები ქართულმა **დილა**-მ განიცადა, თუმცა არა იმდენი, რომ მისი წარმომავლობის დადგენა გაჭირდეს. **ორდო**-ს წინა ფორმა **დორო** და **დილა** ექვივალენტური ბგერებისგან შედგებიან: **რ** შეცვალა **ლ** ლატერალმა და **ო** ხმოვანი **ი** გახდა: **დორო-დირა-დილა.**

კვლავ სენსაცია: რაკი **რ** სონორის **ლ** მისდაგვარივეთი შეცვლა ხდება, უეჭველია სვანური მზის დიდებული საგალობელი **ლილე** წინათ **რირე** იყო და **რა**-მზე ღმერთს ეძღვნებოდა.

ედემ იზორია

შენ ვისი ძმა ხარ, ოთარაშვილო?

არ ვაპირებ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა შორის სამარცხვინო დავაკამათზე აზრის გამოთქმას, რადგან ამაზე საკმაოდ ითქვა და დაიწერა. ჩემი განსჯის საგანია ამ დავა-დაპირისპირებაში გამოვლენილი იმ ფაქტის აღნიშვნა, რარიგ „ცენზურას" უწყობენ მავანნი მეგრულ ენას.

ნათქვამია, საქციელი ზრახვის ნაყოფიაო.

დიდი ხანია, ერის კორიფეებმა (ივ. ჯავახიშვილი, ვ. თოფურია, ნიკო მარი, გრ. ყიფშიძე და სხვები) არაორაზროვნად ამცნეს საზოგადოებას სვანური და მეგრული ენების რაობაზე და ამით წერტილი დაუსვეს დილეტანტთა გაუთავებელ ვარაუდს (ენაა თუ დიალექტი). ამ თემაზე არა ერთი თვალსაზრისი დაიბეჭდა პრესაში და მოეწყო სატელევიზიო დებატები. ცხადზე უცხადესია, მეგრული და სვანური არასამწერლობო ენებია.

რადგან ზოგიერთნი კვლავაც გამოთქვამდნენ უმართებულო, მაქილიკებელ მოსაზრებებს, სხვებთან ერთად გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე წერილი (გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2007 წელი, 2.01, **„ენა სამყაროს თავისებური მოდელია, მისი სიკეთილი უბედურებაა"**; გაზეთი **„მრწამსი"**, 2006 წელი, 15.02, **„პასუხი მიტროპოლიტ ანანიას"**).

მწერალთა კავშირის გამომცემლობის დირექტორმა ვ. ოთარაშვილმა თავს უფლება მისცა, **„პროზის ანთოლოგიაში"** არ შეეტანა არდაშელიასა და თორიას მოთხრობები, იმის გამო, რომ ნაწარმოებში ნახმარია რამდენიმე მეგრული სიტყვაკაზმული.

„ცენზორის" მოქმედება აღმაშფოთებელია.

ოთარაშვილი ხმამაღლა ბრალს სდებს **„სხვებს"** ბოლშევიკურ გადმონაშთში. თავად კი ყველაზე მეტად ავლენს ისეთ რამეს, რაც არც დამპყრობრუსებსა და არც კომუნისტებს უკადრებიათ. მკითხველი დამერწმუნება, რა იქნებოდა კ. გამსახურდიას, ლ. გოთუას, ჭ. ამირეჯიბის, ლ. ქიაჩელის, ტ. გრანელისა და სხვათა ნაშრომები მეგრული ენის მარგალიტების გამოყენების გარეშე. მეგრული ენა ჩვენთვის დედის რძესავითაა და მას უდიდესი ძალა აქვს.

ვ. ოთარაშვილი იკვეხნის, ილ. ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატი ვარო. სამწუხაროდ, ამ **„პრემირებულმა"** არ იცის, ერის მამამ სამეგრელოში ჩამობრძანებისას რომ ბრძანა: **„სამეგრელოში ვიყავი და საქართველო ვიხილეო"**. ეტყობა, არც გოგებაშვილის სიტყვები წაუკითხავს: **„ძველ საქართველოს აყვავების ხანაში, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს, ქართული განათლების საქმის ინიციატივა და ხელმძღვანელობა მთელს საქართველოში სწორედ სამეგრელოდან მოდიოდა, რადგან სამეგრელოს, ჭყონდიდის მიტროპოლიტთან განუყოფლად დაკავშირებული იყო საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოვალეობა"**.

ვწუხვარ დიდად, რომ ლიტერატურაში გათვითცნობიერებული **„მოღვაწე"** მენტალურად ჩამორჩენას ავლენს. არც კი გაუგია და წაუკითხავს დიდი მგოსნის აკ. წერეთლის სიტყვები **„მეგრული სალაროა ქართული სიტყვების"... მეგრულ ენაში შემონახულია ოქროს მარგალიტებად ძველი სიტყვები, ჩვენ ვურჩევთ მწერალმწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ ამოკრეფილი სიტყვებით შეავსონ მათი შელახული ქართული ლექსიკონი".**

დიახ, ბატონო ვაჟა და თქვენებრ მოფიქრალნო, მეგრული ენა ჩვენთვის უფლის ძღვენია და ულევი განძი, რომელიც ლინგვისტური და სხვა მონაცემებით აღემატება სხვა ენებს. ამიტომ გირჩევთ, დღეში სამი საათი მაინც დაკავდეთ იმისთვის, რომ გაერკვეთ სვანური და მეგრული ენების მრავალფეროვნებასა და სიღრმეში. იგი მართლაც ოქროს მარგალიტია, სწორედ ამ ენაზე აღიზარდნენ აკაკი ხორავა, ილია ვეკუა, ამბროსი ხელაია, არნოლდ ჩიქობავა, ჟიული შარტავა და სხვები, რომლებმაც საკუთარი არსებობა ამ ქვეყანაზე დედასაქართველოს მიუძღვნეს.

პატარაა საქართველო, მრავალეთნიკური და მისი სიძლიერე და სიმშვიდე სწორედ ამ მრავალფეროვნებაშია. მიაფურთხეთ ეშმაკს და ევედრეთ უფალს, რომ მიგეტევოთ. მოიქეცით ისე, როგორც წერილის დასაწყისში ნახსენები კაცები იქცეოდნენ, რომ მოიქცეთ კაცურად, ბევრი თვისება უნდა გამკობდეთ. ნუ უარყოფთ იმას, რაც მარადიულია და ასეულმა საუკუნემ გამოსცადა.

რადგან უმწიფარი მოზარდივით იქცევით, მსურს, კიდევ ერთი ამონარიდი წაგიკითხოთ გრ. ყიფშიძის ბრძნული ნააზრევიდან „ლაზურ-მეგრული და სვანური შუქს ჰფენს ჩვენს საერთო და საზოგადოდ ქართულის იმ პერიოდს, როცა ჩვენი ერის ისტორია ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო".

მართლაც, რა სჭირს მეგრულ და სვანურ ენებს დასაწუნი. იქნებ, მრავალთაგან ერთი ამონარიდი კიდევ წაგიკითხოთ. აკადემიკოს ნიკო მარის ნააზრევიდან: **„მეგრული ენა ლინგვისტურად არ არის კილო, არც დიალექტი... მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულთან, ქართული ენის ძმა არის და ქართული ენის შესასწავლად დიახაც საჭიროა მეგრულის გამოწვლილვა".**

შენ ვისი ძმა ხარ, ოთარაშვილო?

ნებისმიერი ენა წარმოადგენს სამყაროს თავისებურ მოდელს, ბუნებრივ ქმნილებას, ამიტომ მისი უარყოფა, მისადმი უდიერი მოპყრობა დანაშაულია ხალხისა და ღვთის წინაშე.

გულს მიწურავს საშინელი ფიქრი იმაზე, ხელისუფლებას ოთარაშვილის მსგავსი, შებრუნებული აზროვნების ადამიანები რომ დაეუფლონ, რა მოელის სვანურ, აფხაზურ, ოსურ, მეგრულ ენებსა და კულტურა-ტრადიციებს, ხომ ჩაინთქება უფსკრულში საუკუნეებით ნადუღაბარი და ნასათუთევი ჩვენი ეროვნული სიდიადე. დავიჯერო, რომ თქვენ და „ძმანნი თქვენნი" ისე ხართ შეშფოთებულები და ფრთხიხართ, მეგრულის პატივმიგებით ზიანი მიადგება დედა ქართულს?

მტრებმა ბევრჯერ სცადეს შულლისა და უთანხმოების დათესვა, ჩვენი ურთიერთობის ხიდის ჩამსხვრევა, მაგრამ ამისგან არაფერი გამოვიდა. არც არასოდეს გამოვა, რადგან ჯერ კიდევ ქრისტეს-შობამდე ფარნავაზმა და ქუჯიმ ჩაყარეს ისეთი ბალავარი, რომლის გაცამტვერება შეუძლებელია.

მაშინ რა საჭიროა შხამის დანთხევა?

რა აუცილებლობაა სიძულვილის გამოვლენა?

როცა სულმნათ ილიას მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონისკენ მიასვენებდნენ, პროცესიას წინ მიუძღოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული, თეთრ ჩოხიანი ვალერიან გუნია. სამეგრელოს პატივსაცემად იმერელმა პოეტმა გიორგი ქოჩაქიძემ ფსევდონიმად ჭალადიდელი აირჩია, რომანტიკოსი პოეტის ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილი, ეკატერინე, სამეგრელოს დედოფალი გახლდათ. ანტ. ფურცელაძე აღფრთოვანებით წერდა „მაცი ხვიტიას".

ბეჭდაუდებელმა ნესტორ ესებუამ ოთხჯერ დაამარცხა თბილისელი კულა გლდანელი, მაგრამ ავადმყოფი ნესტორი სამკურნალოდ დედაქალაქში რომ ჩავიდა, გლდანელმა უპატრონა, გარდაცვალების შემდეგ კულამ მცხეთამდე ატარებინა მისი კუბო ახალგაზრდა სპორტსმენებს და საოცარი პატივით მატარებლით გამოაცილა სამეგრელოში.

ულევია, დიახ ულევია ამ ურთიერთობის, სიყვარულის, ერთმანეთისთვის თავგანწირვის მაგალითები. ადამიანი სულია, რომელიც სხეულს მოიცავს. როცა საწინააღმდეგოდ იქცევა ვინმე, მას მხოლოდ შეცდომა არ ჰქვია. ბატონებო, ნუ „დარგავთ ისეთ ხეს", რომლის ნაყოფიც თქვენს შვილიშვილებსაც მოსჭრის კბილს.

სამი წელია, არ მივდივარ მწერალთა კავშირში. მაქვს ამის მიზეზი. ბოლოსწინა მწერალთა ყრილობა საოცრად მოუწესრიგებლად ჩატარდა. სამეგრელოში მცხოვრებ მწერლებს არ მოგვცეს აზრის გამოთქმის უფლება, არავინ აირჩიეს გამგეობასა და სხვა მმართველ ორგანოში.

დღეს, როცა ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების აკვნებისკენ მოშვერილია სახიფათო ლულა, როცა ჩვენი ქვეყნის სხეულზე გაჩენილია ღრმა იარა, როცა ჩონჩხებად ქცეული ჩვენი მოძმეთა ძვლები მოგველიან აფხაზეთსა და ოსეთში, მოგველიან გამარჯვებულს, როგორც 24 წიგნის ავტორსა და ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანებისთვის ბრძოლების მონაწილე შემომქმედს, მაქვს მცირედი უფლება, ყველა იმათ, ვინც ალმაცერად უყურებს სვანურ და მეგრულ ენებს, ვუთხრა: ცხოვრება იმიტომაა მშვენიერი, რომ იგი ერისა და უფლისადმია მიძღვნილი. ვინც მტვერს თესავს, გჯეროდეთ, მტვერს ქარი გაფანტავს და გამოჩნდება უღირსთა სახე.

ჩვენ კი, ვინც საქართველოს სხვადასხვა მხარეში ვცხოვრობთ და შესაძლებლობების ფარგლებში ვსაქმიანობთ, ვცდილობთ, წინა და მომავალ თაობებს შორის სიცარიელე შევავსოთ, ამით გული გავუთბოთ დედასამშობლოს. ლ. ტოლსტოი გვმოძღვრავდა: „კარგად იფიქრე და აზრები კეთილი საქმისათვის მომწიფდებაო".

ყველას გასაგონად ხმამაღლა მინდა ვიყვირო: ნუ სპობთ ძმობის ტაძრებს, ნუ ამოძირკვავთ ჩვენი ურთიერთობის ლამაზ ყვავილებს!

ბორის დავითაია,
მწერალთა კავშირის წევრი,
აკაკი წერეთლის პრემიის
ლაურეატი,
ღირსების ორდენის კავალერი

რეზო ჩხეიძე: Война не все спишет!

დიდი ქართველი ხელოვანი, საქვეყნოდ ცნობილი კინორეჟისორი, საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი რეზო ჩხეიძე ახლა მოსკოვშია და ამთავრებს კინოფილმ **"მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი"-ს** ქართულ ენაზე გახმოვანებას, რადგან საქართველოში საამისო თანხა **"ვერ მოიძებნა"**. და ეს მაშინ, როცა ქართული სულის დამახინჯებაში საქართველოს ხელისუფლება მილიონობით ლარს ხარჯავს. აღნიშნული ფილმი კანის ფესტივალზეა მიწვეული. ბატონ რეზოს მოსკოვში დაუკავშირდა ჟურნალისტი არმაზ სანებლიძე, რომლის მიერ მომზადებულ ინტერვიუსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

– ომის თემაზე შექმნილ თქვენს შესანიშნავ ფილმში "დიმილის ბიჭები" არის ერთი ემოციური მომენტი, როცა საბჭოთა მებრძოლი, რომლის როლსაც ზურაბ ქაფიანიძე განასახიერებს, გამწარებული და გაბოროტებული ლეწავს ყველაფერს მიტოვებულ სახლში და თავის ამ აფექტურ მოქმედებას ამართლებს არგუმენტით – Война все спишет! – ომი ყველაფერს ჩამოწერსო. მინდა გკითხოთ, ბატონო რეზო, მიგაჩნიათ, რომ ომი, მათ შორის, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომი, ჩამოწერს ყველაფერს? შეიძლება ომით რაიმეს გამართლება?

– ყველაფერს, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოწერს. ეს ფორმულა გაგონილი მქონდა იმ ომის დროს, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ მიმდინარეობდა. პირველი ორი წელიწადი კატასტროფულ მდგომარეობაში იმ ყოფებოდა ჩვენი სახელმწიფო. **Война все спишет!** თითქოს ამართლებდა ყველა იმ უგვანობას, მათ შორის, დეზერტირობასაც, რაც მაშინ ხდებოდა.

არ მიმაჩნია სწორად, როცა ამბობენ, რომ ქართველებისთვის ეს იყო სხვისი ომი. ხომ ცნობილია, რომ ის მსხვერპლი, რომელიც ამ ომში გაიღო ქართველმა ხალხმა, ამერიკის, ამ კოლოსალური სახელმწიფოს მიერ გაღებულ მსხვერპლს აღემატება. ასე მოხდა იმიტომ, რომ ქართველები ვაჟკაცურად იბრძოდნენ და არც უფიქრიათ სიმხდალე და დეზერტირობა გაემართლებინათ იმით, რომ ომი ყველაფერს ჩამოწერს, მათ შორის, ამგვარ სულმდაბლობასაც. ომი მიმდინარეობდა მსოფლიოსთვის შავბნელ ძალასთან როგორიც ფაშიზმია და ამიტომ იყო, რომ ისეთი ცივილიზებული ქვეყნები – ინგლისი, შეერთებული შტატები, საფრანგეთი აღდგა მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს შავბნელი ძალა მომდგარი იყო სოხუმთან, ვლადიკავკაზთან, რეალური საშიშროება იყო კავკასიონის უღელტეხილებით საქართველოში მისი შემოჭრის. ამ დროს მტკიცე ნებისყოფის, ვაჟკაცობის გამოჩენა ქართველების მხრიდან ისეთივე საამაყოა ჩვენთვის და ისეთივე პატივი უნდა მივაგოთ სამამულო ომის გმირებს, როგორც ლეგენდარული 300 არაგველის, ცხრა ძმა ხერხეულიძის, თუნდაც ცოტნე დადიანის და სხვათა და სხვათა გმირობასა და თავდადებას.

გამართლება არა აქვს ძეგლებისა და მემორიალების ნგრევას, მეშინია, რომ ის საომარი ჟინი და ვაჟკაცობა, რომელიც ქართველებს ახასიათებდა, შეიცვლება ფულის კეთების ჟინით, რაც, სამწუხაროდ, უკვე სახეზეა.

მორალური დაცემა-დაკნინება, რომელიც ამჟამად მთელ მსოფლიოს მოედო და არა მხოლოდ საქართველოს, ბუნებრივ კატაკლიზმებზე უარესი მოვლენაა. ირყვნება ადამიანის სული, მას აღარც ეკლესიის სჯერა, აღარც სამშობლოსთვის თავგანწირვის მოთხოვნილება აქვს. არადა, იმის მაგალითი, როცა კაცი მაღალი იდეალებისთვის თავს სწირავს, ქართველ ხალხს ძალიან სჭირდება, ძალიან სჭირდება. მე ასე ვფიქრობ.

ამიტომ **Война не все спишет.**

– მაშასადამე, ის ომი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში იყო, ვერ ჩამოწერს მაშინ დაშვებულ შეცდომებს?

– ვერ ჩამოწერს. ომის დაწყებაც და მისი იმ კონფლიქტად გადაქცევაც, რაც დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა, არასწორ პოლიტიკად მიმაჩნია, რომელიც საქართველოსთვის სასარგებლო არ არის. სხვა ქვეყნისთვისაა სასარგებლო და მომგებიანი, სხვა დიდი ქვეყნისთვის, ჩვენ ხომ ვიცით, ვისზეც ვლაპარაკობთ.

– ვიცით, ბატონო რეზო.

– ეს არ არის ეროვნული პოლიტიკა. მართალია, რუსეთს, რომელთანაც მეგობრობისა და თანადგომის არაერთი საფუძველი გვქონია, უნდა გაეთვალისწინებინა ეს ყოველივე და 2008 წლის აგვისტოში არ მოეხდინა საომარი დაპირისპირების ესკალაცია, მაგრამ ჩვენც უნდა დავფიქრებულიყავით პერსპექტივაზე.

თბილისიდან რომ გამოვდივარ და სამხედრო გზის გასწვრივ ლტოლვილთა დასახლებებს ვხედავ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩადებულია ჩვენი ადამიანების შრომა და სწრაფად აშენდა (დიდი მადლობა ამისთვის), მაინც საშინელებაა. სოფელი მოისპო და მის ნაცვლად სტანდარტული სახლები ჩადგეს. შეიძლება სხვა გზა არ იყო, მაგრამ აქამდე არც ჩვენ არ უნდა მივსულიყავით, არც მეზობელ სახელმწიფოს არ უნდა მივეყვანეთ.

უნდა ვიპოვოთ საერთო ენა. არ შეიძლება ასეთი დაპირისპირება და ამის შესახებ გვითხრა უწმინდესმა, როცა ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს დაუყოვნებელი მოლაპარაკებისკენ მოუწოდა.

არ უნდა ვიყოთ ბრმად მინდობილი სხვა სახელმწიფოს ძლიერებას. ჩვენ ჩვენი ძლიერება გაგვაჩნია – ჩვენი ხალხის გონებრივი ნიჭიერება, ბრძოლის უნარი, სულიერება, ზნეობა. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას შეუტიონ თუნდაც სხვადასხვა ამორალური და არაქრისტიანული აღლუმებით, რითაც მასობრივი უზნეობის დამკვიდრება აქვთ განზრახული.

– ტვინების გამორეცხვის პრობლემა, ბატონო რეზო?

– ამ თვალსაზრისით ძალიან მაფიქრებს ჩვენს სკოლებში შექმნილი ვითარება, განსაკუთრებით არაქართული ელემენტების იქ შეტანა.

მინდა გითხრათ, რომ დავამთავრე ქართული სკოლა და მიმაჩნია, რომ ჩემი სკოლა იყო ბრწყინვალე სასწავლებელი, აღმზარდა პატრიოტულად, ფსიქოლოგიურად, ზნეობრივად ისე, როგორც უმაღლესი კრიტერიუმები მოითხოვდა. ასევე იყო აღზრდილი მთელი თაობები. განათლების ამჟამინდელმა მესვეურებმა, როგორც ჩანს, არ უწყიან, რომ განათლების უწინდელი სისტემა საინტერესოდ იყო გადმოტანილი და ეფუძნებოდა ევროპული სკოლის მიღწევებს. ეს არ იყო ჩხოროწყუში გამოგონებული განათლების მიღების მეთოდი. ნუ დავუწყებთ მას ბრძოლას, რადგან მაღალი გრძნობებისა და იდეალების მატარებელი ახალგაზრდობა, რომელიც ჯერ კიდევ არის საქართველოში, არ უნდა დავკარგოთ.

რომ არა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მწყემსი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ზნეობრიობა და მაღალი სულიერება საერთოდ დაიკარგებოდა საქართველოში. საქართველოს ეკლესიაა ის მძლავრი კერა, საიდანაც პატრიოტული და სულიერი ამაღლების სიტყვები ისმის, რომელთაც ლოცვად აღავლენს ჩვენი სულიერი მამა ილია II.

ადამიანის სულიერება, მისი თვისებები ყოველდღიურ ცხოვრებაში ვლინდება. მახსენდება ერთი შემთხვევა, როცა ბევრი წლის წინათ უნივერსიტეტთან, ვარაზისხევის აღმართზე მგზავრებით სავსე ტროლეიბუსს მუხრუჭებმა უმტყუნა და დაგორდა. უბედურება გარდუვალი იყო. დაინახა ეს ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც თავისი მსუბუქი ავტომანქანით მოძრაობდა, სასწრაფოდ შემოაბრუნა მანქანა, წინ დაუყენა ტროლეიბუსს და განუწყვეტელი საყვირით – ხალხი და ტრანსპორტი რომ მოერიდებინა მართვადაკარგული ტროლეიბუსისთვის, გმირთა მოედნამდე ჩაიყვანა. გაჩერდა, გადმოვიდა მანქანიდან, ერთი კი დახედა მიჭყლეტილ საბარგულს და წავიდა.

მეორე დღესვე გაზეთი წერდა ამ შემთხვევის შესახებ, მაგრამ იმ ბიჭის სახელი და ამ შემთხვევის შესახებ, მაგრამ იმ ბიჭის სახელი და გვარი არც მაშინ იცოდა ვინმემ, არც შემდეგ გაურკვევია. ახალგაზრდა კაცი ასე თავის გამოსაჩენად არ მოქცეულა. ნორმა იყო, შინაგანი მოთხოვნილება მაშინ ასეთი.

მაშინდელი რესპუბლიკური გაზეთის – **"კომუნისტის"** მთავარ რედაქტორს, გიორგი ბედინეიშვილს ჰქონდა რედაქტორის სვეტი, სადაც წერდა ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც ყოველდღიურობაში, ჩვეულებრივ გარემოში ხდებოდა და ადამიანების მაღალზნეობრიობის გამოვლენით ხასიათდებოდა.

ასეთ მაგალითებზე იზრდებოდა ახალგაზრდობა.

ორ წელიწადზე მეტი გავიდა აგვისტოს ომიდან და დღემდე არაფერი გვინახავს გადაღებული, არაფერი წაგვიკითხავს დაწერილი იმ ომზე, სადაც უთუოდ ეტალონური სულიერი ღირებულებანი იყო წარმოჩენილი. დარწმუნებული ვარ, რომ არც ასეთ მაგალითებს ჩამოწერს ომი – ჰუმანიზმის მაგალითებს ომის დროს გამოვლენილს.

– თქვენი საუკუნის ფილმის – "ჯარისკაცის მამის" მთავარი მოქმედი გმირი გიორგი მახარაშვილი აგვისტოს ომის დროს სად დადგებოდა?

– მე მგონი, ამ პირობებში გიორგი მახარაშვილს საქართველოს მხარეზე უნდა ებრძოლა და, ამასთან, უნდა გამოენახა საშუალება, რათა არ დაგვეკარგა ჩვენს მეზობელთან მისასვლელი გზები. ჰუმანიზმი ორივე მხარეს უნდა გამოეჩინა. მე მგონი, ჯარისკაცის მამა ამ ომშიც ისევე გადაარჩენდა რუს ჯარისკაცს, როგორც ფილმში გიორგი მახარაშვილი – სერგო ზაქარიაძე გადაარჩენს რუს ჯარისკაცს. ეს ხომ ჩვენს ჯიშსა და გენშია. ხომ ყველას გვახსოვს **"ლექსი ვეფხისა და მოყმისა"**, უმაღლესი ჰუმანურობის გამოვლენა, მოყმის დედის მიერ გამჟღავნებული:

"იქნება ვეფხის დედაი,
ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბავსა,
მეც ვუთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა".

ამას ყველა ნაცია არ იტყვის! ამაშუკელის ქმნილებას, ამ ბალადის მიხედვით გამოქანდაკებულს რომ ჩავუვლი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გზების გასაყარზე, პირჯვარს გადავიწერ ხოლმე.

ეს გენიალური ხალხური ლექსი გვასწავლის, რომ ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების გზები უნდა ვეძებოთ არა პირდაპირი და ხისტი გადაჭრით, არამედ გმირობითაც, სამშობლოს დაცვითაც და შეწყალებითაც! რადგან ისტორიულად ასე მომხდარა ყოველთვის.

ვფიქრობ, რომ გიორგი მახარაშვილი იბრძოლებდა როგორც ლომი, მაგრამ იმ გზებსაც მოძებნიდა, რომ მეზობელი საუკუნო მტრად არ მოეკიდა. ამის გასაღების პოვნა, ალბათ, შეიძლებოდა.

– აკი, გამოამჟღავნა კიდეც თავისი მაღალი სულიერება, როცა გადათელვისგან ვაზის დასაცავად გადაუდგა **т-34**-ს და ახალგაზრდა ტანკისტს შემოჰკრა კიდეც: გერმანელ ბავშვს ხომ არ გადაუვლიდიო!

– Что я фашист, чтоли... – უპასუხებს ახალგაზრდა ტანკისტი.

ეგეც ხომ ცოცხალი არსებააო, ეტყვის მახარაშვილი ვაზზე, და - როგორ იმეტებო!

– ჭკუას არიგებს, როგორც მამა შვილს. ფილმის შემდეგი ეპიზოდი გახსოვთ? გიორგი მახარაშვილი საბარგო მანქანის ძარაში ზის ძალიან დაფიქრებული. გვერდით უზის რუსი სერჟანტი და ეკითხება, რამ ჩაგაფიქრაო? მახარაშვილი უპასუხებს, ჩემი შვილი კეთილი იყო, კეთილ კაცად აღზრდილი და, ვაითუ, გაბოროტდაო. ტანკის ეპიზოდის შემდეგ ეს სცენა ჩავსვი, ხალხს რომ ეგრძნო – გაბოროტება არ შეიძლება. ომმა არ უნდა გაგაბოროტოს, არ უნდა გავბოროტდეთ!

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე







ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ბზა მცენარე-ბზობა საუფლო დღესასწაული

“ტყე ყველა ქვეყანაში ეროვნული სიმდიდრეა, მაგრამ ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ტყე არა მარტო სიმდიდრე, მატერიალური ღირებულება, არამედ ისეთი საუნჯეა, რომელიც ინახავს ქვეყნის მრავალნაირ სასიცოცხლო საწყისს”, წერს დიდი ბოტანიკოსი ნიკო კეცხოველი (ნ. კეცხოველი, **“მცენარეული საფარი ერის საუნჯეა”**, გვ. 8).

საქართველოში ტყის ყადრი ძველი დროიდან იცოდნენ და იგი ასახული იყო სახელმწიფო კანონმდებლობაში. მეფე ვახტანგ VI-ის კანონებში წერის: **“ტყე, ბალახი და წყალი სახელმწიფოსია”**. მაგრამ ყოველივე ეს ხალხის კეთილდღეობისათვის საჭირო იყო და იმავე კანონში ეწერა: **“სამი რამ არ დაეჭირება კაცსა: “ტყე, ბალახი და წყალი”**.

ამ წერილის მიზანია შეხსენება რელიქტური და ენდემური მცენარის – ბზის და საუფლო დღესასწაულის – ბზობის. დიდმა ბოტანიკოსმა ნ. კეცხოველმა პირადად დააფიქსირა ბზა გასული საუკუნის 50-იან წლებში – მდინარე ტეხურის ხეობაში და შეიტანა 1961 წელს გამოცემულ ფოტოალბომში **“მცენარეული საფარი ერის საუნჯეა”**. ბზის კორომ **“ბზიანს”** და მდინარე ტეხურის ხეობას გასულ წლებში კიდევ ედირსა გულშემატკივარი მეცნიერის თვალი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის კათედრის მეცნიერ-მუშაკის მარინე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოეწყო 25-დღიანი ექსპედიცია ტეხურის აუზში. გასული საუკუნის 50-იან წლებთან შედარებით სურათი არსებითად შეცვლილია. წითელ წიგნში შეტანილი ბზა იჩეხება ან გაჩეხილია.

ბზა ორლებნიანი მარადმწვანე მცენარეა, გვხვდება ბუჩქების ან დაბალი ხეების სახით. იგი შეიცავს 70-მდე სახეობას, გავრცელებულია ზომიერ, სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონებში. კავკასიაში გვხვდება ბზის ორი სახეობა: კოლხური და პირკანული (თალიში, აზერბაიჯანი). კოლხური ბზა ბუჩქია, ან 8-10 მეტრი სიმაღლის ხეა, ცალკეული ეკზემპლარი 18 მეტრსაც აღწევს, იზრდება ბარისა და მთის ტენიან ხეობებში ღრმა კარბონატულ ნიადაგებზე, ქვიანსა და კლდოვან ადგილებში. მთის კალთებზე ქმნის კორომებს (ბზიანი), ფოთლოვან ტყეებში იზრდება ქვეტყედ. მთებში მისი გავრცელების არეალი 400-600 მეტრ სიმაღლემდე აღწევს ზღვის დონიდან. საქართველოში შემორჩენილია ბზის 4 უცხოური სახეობა. მარადმწვანე ბზას ფართოდ იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში, კარგად იტანს ყოველწლიურ გასხვლას და ვარჯის ფორმირებას, რგავენ ეულად, ჯგუფად ბორდიურად. ბზა ეულად დგომისას ნაყოფს 15 წლიდან იძლევა, ხოლო შეკრულ ხეთა დგომაში 40-60 წლიდან იზრდება ნელა, მერქანი მძიმეა, კარგად პრიალდება, იყენებენ სხვადასხვა ნაკეთობისათვის. ბზის ფოთლებისა და ტოტებისაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს, ქერქისა და ფოთლების ნაყენს იყენებენ მედიცინაში, განსაკუთრებით ფოთლები შეიცავს ალკალოიდ ბუქსინს, მის თესლში 37 პროცენტი ზეთია.

ვარაუდობენ, რომ უძველეს დროში მერქნის მდგრადობისა გამო საკმლის ხის, უთხოვარის ბზის მერქანი შუბის დასამზადებლად იყო გამოყენებული. ბზის მერქნის დამუშავების ტექნოლოგია დამახასიათებელია სოფელ სალხინოს მოსახლეობისათვის. ტრადიციას ახალგაზრდა თაობაც აგრძელებს. ამაზე მეტყველებს 1968 წლის ჟურნალ **“ძეგლის მეგობარი”** №16-ის 46-ე გვერდზე გამოქვეყნებული მასალა, სადაც ლაპარაკი სალხინოს საშუალო სკოლის მოსწავლეებზე: **“ჩვენი ეთნოგრაფიული სახელოსნოები”**-ს სექციის გულმოდგინე ბავშვებმა თავისი საქმიანობისა და ხელმარჯვეობის შედეგად თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. **“აქვე ჭრიალებდა ხის ჭურჭლის დამამზადებელი ჩარხი სახვეწელი, რომელიც გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს ნორჩ მხარეთმცოდნეებმა ჩამოიტანეს, ხის ხვეწას დაუფლებულნი დინჯად ჩარხავდნენ სანაყ ქვიჯას, ოსტატურად მუშაობდნენ ორნი “მხვეწელი” და “ღვედის მომწევი”**. უძველეს დროში ბზის მერქანი კოლხ კაცს სასიცოცხლო პროდუქტის შემოტანის საშუალებად ჰქონდა გამოყენებული. ბზის მერქანი ექვივალენტური წონით იცვლებოდა მარილზე, რომლის დეფიციტი დიდად აწუხებდა სამეგრელოს და სვანეთს (ცნობილია გამოთქმა: **“უმარილოდ შვიდ წელს იყვნენ სვანები”**).

მდინარე ოჩხომურას ხობიდან (სოფელი კურზუ) ბზის მერქნის გატანის შემთხვევასთანაა დაკავშირებული ხალხური მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლის აწგანსვენებული გაიოზ ბერულავას, როგორც სახალხო მკურნალის მოღვაწეობა (სპეციალობით ბიოლოგი-პედაგოგი, ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა – განსაკუთრებით ადამიანის ანატომიაზე). გასული საუკუნის 70-იან წლებში, კონკრეტულ აუცილებელ შეხვედრისას მიამბო: **“თურქეთიდან** (ლაზისტანიდან) **ჩამოსული ლაზები ოჩხამურის ხეობაში ბზის მერქანს ამზადებდნენ და გაჰქონდათ. ერთ წელს ნაადრევად დაზამთრდა დ ავერ მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება** (თუმცა, სამშობლოში არ იყვნენ?). **ისინი მთელი ზამთარი ბებუაჩემმა შეიფარა და კოლხურად უმსაპინძლა. როცა მიდიოდნენ ბებუამ გასამრჯელო არ გამოართვა, გაწეული პატივისცემის საპასუხოდ ადამიანის ძვლის მოტეხილობის განკურნებისთვის საჭირო მალამოს დამზადების საიდუმლოება ასწავლეს. განსწავლული ამ საიდუმლოებას ოჯახის ერთ მემკვიდრეს ასწავლიდა”**. როცა გაიოზმა ჯერის მიხედვით ისწავლა მალამოს დამზადება, მაშინ იგი 40 ნაერთისაგან შედგებოდა. გ. ბერულავა, როგორც განათლებული პიროვნება – ბიოლოგი – თვალყურს ადევნებდა საფთიაქო წამლების დინამიკას და შესაბამისად ხვეწდა მალამოს დამზადების ტექნოლოგიას.

ბოლო გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გ. ბერულავასაგან დამზადებული მალამო 12 ნაერთისაგან შედგებოდა, აქედან 8 იყო მცენარეული, ხოლო 9 – აფთიაქში შეძენილი. ამ ოთხიდან ერთი – გველის შხამი – ვიპრაკუნი – ყოველთვის დომინირებდა. როგორც ვხედავთ, ბზის მერქნის საზღვარგარეთ გატანის ერთმა შემთხვევამ, არაპირდაპირი გზით, სრულიად სასიკეთო სამკურნალო ტრადიცია დაამკვიდრა.

თქვენს დიდ საერთო ოჯახში – დედამიწაზე მდგრადი და დინამიურად ჩამოყალიბებული მრავალფეროვნება იყო, რომელსაც ადამიანი ჩარევით არღვევდა. დედამიწაზე არცერთი წერტილი და სულიერი არ არსებობს ზედმეტათ, მათ ყველას გარკვეული ფუნქცია აკისრიათ, როგორც ადამიანის თითოეულ ორგანოს. არ შეიძლება შეკითხვის ამგვარად დასმა: ჭიანჭველა უფრო საჭიროა თუ სპილო. ერთს რაც შეუძლია, ის მეორისათვის მიუწვდომელია. ამიტომაა საჭირო ადამიანმა – ბუნების გვირგვინმა – გონიერება გამოიჩინოს და მცენარეული საფარის მიმართ. მცენარე მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით გამოსაყენებლად არ უნდა ჩაითვალოს. ყველაზე დიდ თბურ ენერგიას საკმლის ხე (ვაშლოვანის ნაკრძალი) გამოყოფს. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ მისი მერქანი რკინის გამოდნობისას გამოიყენებოდა.

ბზა, როგორც ნელა მზარდი ძლიერი მაგარი მერქნის მქონეა. იგი საკმლის ხის შემდეგ მეორე ადგილზეა, რადგან საშეშედ გამოყენებისას დიდ თბურ ენერგიას გამოყოფს, რასაც ღუმელი ერთ ზამთარსაც კი ვერ უძლებს.

სოფელ სალხინოში შევხვედრივარ ოჯახს (გვარ-სახელს შეგნებულად არ ვაკონკრეტებ), რომელსაც ბზის 6-8-მეტრიანი მორები ჰქონდა საშეშედ მოტანილი. მან განმარტა: **“ღუმელში საშეშედ გამოყენება არ შეიძლება, ერთ სეზონში ღუმელს მწყობრიდან გამოიყვანს, რის გამოც ბუხარში ვიყენებო”**. ბზა დიდ თბურ ენერგიას რომ გამოყოფს, ვეთანხმები, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ პიროვნებამ არ იცის მსოფლიოში მდინარე ტეხურასა და აბაშის ანალოგი ბზიანი კორომი თითზე ჩამოსათვლელია.

ჩვენი მიზანია არსებული წყაროების მიხედვით შევეხოთ 12 საუფლისწულო დღესასწაულიდან ერთ-ერთ საუფლისწულო დღესასწაულს – ბზობას, როცა მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს უფლის უკანასკნელ მსვლელობას იერუსალიმში (2011 წელს ბზობა აღინიშნება 17 აპრილს).

ვიდრე იერუსალიმში შევიდოდა, იესომ თავის მოწაფეს უთხრა: **“წარვედით და ბარა მაგას, რომელიც არს წინაშე თქვენსა და მეყვსეულად ჰპოვოთ ვირი დაბმული და კვიცი მისთანა აღხსენით და მომგვარეთ”**. ეს ყოველივე გაკეთდა იმისათვის, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველის მიერ თქმული: **“არქუათ ასულსა სიონისასა, აჰა ესერა მეუფე შენის მოვალს შენდა მშვიდი და ზე ზის იგი ვირს”**-ო.

სახედარზე ამხედრებულ მაცხოვარს ხალხი დიდი სიხარულით შეეგება: ზოგი თავის სამოსელს უგებდა, ზოგიც პალმის ტოტებს. თან შესძახოდნენ: **“ოსანა ძესა დავითისა, კურთხეულ არს სახელითა უფლისათა, ოსანა! რომელი ხართ მაღალთა შინა”**.

მიუხედავად ასეთი შეხვედრისა, იესო მაინც სწუხდა. მან იცოდა, რომ ეს ხალხი ქვეყნიურ მეუფესა და მბრძანებელს ხედავდა მასში, რომელიც რომაელთა ბატონობისაგან იხსნიდა-გაანთავისუფლებდა. იესოს პირველი შესვლისას იერუსალიმში მან იხილა, რომ ეკლესიებში სასულიერო პირებს რელიგიასთან შეუსაბამო უღირსი საქმე ჰქონდათ გაჩაღებული – ვაჭრობდნენ. მან ეკლესიიდან გამოდევნა ვაჭრები და წმინდა ადგილი განწმინდა. აღნიშნულის გამო მართლმადიდებლური ეკლესია ამ დღეს აღნიშნავს როგორც საუფლისაწულო დღესასწაულს – **ბზობას.**

მეგრულში არის ასეთი გამოთქმა: **“აი რე, ბაი რე, ბაიაში სწორი თანაფა რე”**, ე.ი. **“ბზობის კვირისთავი აღდგომაა”**. ფაქტიურად ეს ყოველწლიურად ასეა. ბზობის დღესასწაულის კვირისთავი აღდგომაა და იგი კვირა დღეს ემთხვევა, რასაც მართლმადიდებლური ეკლესია 2011 წელს აღნიშნავს 17 აპრილს **“ბზობას”**, ხოლო 24 აპრილს **“აღდგომას”**.

ზემოთ აღინიშნა, რომ იესოს იერუსალიმში პირველ-შესვლისას პალმის რტოებს უფენდნენ. პალმის ყვავილი წვრილია და ყვითელი. ასეთივეა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე – ბაიას ყვავილიც. ბაია ლექსიკონის მიხედვით თვალის გუგას, ხოლო მეგრულში – ჩვილ ყრმას ნიშნავს. რაც შეეხება სარიტუალოდ გამოყენებულ ბზის ყვავილს, ისიც ყვითელია, წვრილი ფოთლის უბეში ხის და სურნელოვანია. სავარაუდო და სარწმუნოა, რომ პალმის რტო ბზით ამ ფერების გამო შეიცვალა.

გონიერი მიდგომა სჭირდება ბზის გამოყენებას, კოლხური ბზა ბუნების ცოცხალი მემატიანეა, იგი მოწმეა საქართველოს და მთლიანად კავკასიის ბუნებრივი ცვალებადობის. იგი ძეგლია. **“გამოაკელით ქართულ ბუნებას ქართული ძეგლები და თქვენ ნახავთ, ეს უმდიდრესი ბუნება რა საშინლად გაღარიბდება”**. მწერალ ლევან გოთუას ამ პატრიოტული გრძნობით აღსავსე ნათქვამს პერეფრაზირება არ სჭირდება.

მარტვილის რაიონის სოფელ ინჩხურში 2010 წელს აღმოჩენილია დინოზავრის ნაკვალევი, რომელიც უპირველესია კავკასიაში. საჭიროა მდინარე აბაშის ხეობის სოფელ ინჩხურიდან მის სათავემდე ნაკრძალად გამოცხადება, რაც ბზის კორომების დაცვისა და შენარჩუნების მყარი გარანტია იქნება.

ვაჟა მორგოშია,
საქართველოს დამსახურებული აგრონომი,
მარტვილი

გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატორის, ბატონ ბიბი ბოჯგუას მიერ შედგენილი წიგნიდან “მეგრული ხალხური პოეზია – 100 ლექსი”.

ყოროფაშე დუდიშ რცხება

ყოროფაშე დუდიშ რცხება,
ვადმაღორა, ვამიწუა,
ეთიწკელა ვაგუგალე
სიმდიდრე დო ვართი ჭკუა,
მუშ ნებაშა გილუურსი
ეთი უბედურიშ სქუა.

სქანი ჭირი ჩქიმი დუსუ

სქანი ჭირი ჩქიმი დუსუ!
სქანი ჩარცხა გურსუ ბჭუნსუ,
ვავორექი ჩქიმი ხუსუ,
ირო მაკაშიაფუნ დო
მანგარინუაფუ გურსი.
სქანი ჭირი ჩქიმი დუსუ!
სქანიცალი შხვას მინ ყუნსუ?
შურს ზვარაკო შერწირენქ დო
გოგილუა ხე დო დუსუ.

ზღვაშე თუთა მედინაფე

ზღვაშე თუთა მედინაფე,
გვალას გეურთუმუ ბუასი,
გიმე დიხაქ ვაგომიხორცქ,
ეშე ველუანჭი ცასი,
ჩქიმი საიმენდო ვარდი
ასე ალუურე შხვასი,
სახელ ვარდი მიჯოხო დო
ინა ვამკონჩასი ჯასი.

ნინა

ირ სხეულშე უჭიჭაში
[თინა ორე] კოჩიშ ტანს,
მარა იშენ თუნა უმონს,
თინა წონუანსი ხოლო შხვას.
მოწამალერ მუშ ლახვარსი –
მისით გურსი გიაშქვანსინ,
დღას მუთუნი ვაახვარუ,
გიორინუანს უჩა დღას.
ტყვიაშ ჭყოლირს წამალ ოხვარ,
დოსქიდუ დო გამწოდირთუ,
მარა ნინაში ნაჭყოლას
მუთუნ წამალ ვემუდირთუ.

სიყვარულისგან თავის დახსნა

სიყვარულისგან თავის დახსნა,
არ მომატყუო, არ მითხრა,
იმასთან არ გაგივა
სიმდიდრე და არც ჭკუა,
თავის ნებაზე დადის
ის უბედურის შვილი.

შენი ჭირი ჩემს თავს

შენი ჭირი ჩემს თავს!
შენი დაშორება (დაცილება) გულსა მწვავს.
არა ვარ ჩემ გუნებაზე (ხასიათზე),
სულ ოხვრა (ხვნეშა) მინდება და
მეტირება (გულში).
შენი ჭირი ჩემს თავს!
შენისთანა სხვას ვისა ჰყავს?
სულს ზვარაკად შეგწირავ და
შემოგავლებ ხელსა და თავს.

ზღვისკენ მთვარე დაკარგულა

ზღვისკენ მთვარე დაკარგულა,
მთაზე ამოსულა მზე.
ქვეშ მიწა არ გამოსკდა,
ზევით ვერ ავწვდი ცას,
ჩემი საიმედო ვარდი
ახლა (გვერდით) უდგას სხვას,
სახელად ვარდი მიქვია და
ის არ აბია ხეს.

ენა

ყოველ სხეულზე უმცირესია
ადამიანის ტანზე.
მაგრამ ის მაინც მეტობს,
ის გადაწონის მაინც სხვას.
თავის მოწამლულ ლახვარს –
ცისაც გულში ჩასცემს,
არასდროს არაფერი შველის,
დააყენებს შავ დღეს.
ტყვიით დაჭრილს წამალი შველის,
მორჩება და წამოდგება,
მაგრამ ენით დაჭრილს
არავითარი წამალი არ მიუდგება.

"პირველყოფილი ცოდო ქართველი ერის ისტორიისა", თუ მაღლი უკვდავებისა?

ღვთის ხატამდე ამაღლებისკენ მიმსწრაფ საზოგადოებისათვის აღნიშნული დონე იქნება საზოგადოების განვითარების III საფეხური – გაცემა გაცემისათვის. ეს ნიშნავს, როგორც იტყვიან, არა დაჭერილი თევზით ადამიანის დასაჩუქრებას, არამედ თევზის დაჭერის სწავლებას, ანუ ძირითადად სულიერი საზრდოს და შემდგომ მატერიალური საზრდოს მიცემასაც. ესაა ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების აღსრულება და ამაში სხვა ადამიანთათვის დახმარება, ანუ ღვაწლის გაღება, – ესაა საკუთარი ჭეშმარიტი **„მე"**-ს შეცნობისა და სულიერ-ზნეობრივი ამაღლების გზაზე კვანტური ნახტომი, რომელიც მრავალჯერ აღემატება პატიოსანი შრომით სარგებლის მიღების რაციონალიზმს. სწორედ ამ დონემდე უნდა ამაღლდეს ქართველი ერი, შემდგომ კაცობრიობა და იმისათვის, რომ ქართველ ერს დაეკისროს კაცობრიობის გადარჩენაში ნოვატორ-ლიდერის როლი, ნიადაგი საკმაოდ მომზადებულია. ამაზე დაბლა და მწარე დაცემა წარმოუდგენელია და არც უნდა იყოს საჭირო, რადგან უფრო ძლიერ დაცემული ვერც წამოდგება.

რადგან ქართველი ერის წიაღში დაიბადა რაციონალური აზრი, ადამიანის ღვთის ხატად გარდაქმნელი და ბედნიერი ცხოვრების წესის დამამკვიდრებელი, დროს ზუსტად ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, მაგრამ ის აუცილებლად განხორციელდება, – ეს ქართველი ერის ვალია კაცობრიობის წინაშე და ყველაზე ბედნიერი იქნება ის თაობა, ვინც ამას შესძლებს. არანაკლებ ბედნიერი იქნება ის პიროვნება, ვინც ასეთი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის სულიერ წვაში დაილევა.

უზენაესი შემოქმედი ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლეა, შედეგად ყველაფრის უსასრულო რაოდენობით მქონეა და ამიტომაცაა ყველაფრის უანგაროდ და უსასრულოდ გამცემი. როცა დავემსგავსებით ღმერთს მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, ჩვენც გვექნება ყველაფერი, რომ უანგაროთ გავცეთ, მაგრამ ყოველგვარი სიკეთის უზენაესი შემოქმედივით უსასრულოდ რაოდენობით მქონენი ვერ ვიქნებით, რადგან ერთ დროს ამოწურება უანგაროდ გასაცემი სიმდიდრე და შემდგომ, როცა არაფერი გვექნება გასაცემი, რამდენი სურვილიც არ გვქონდეს, ვერ გავცემთ. ამიტომ ღმერთმა მოგვცა ერთადერთი ამბიციის უფლება: მივიღოთ, მაგრამ გაცემით ნეტარებისთვის. ე.ი. ადამიანის განვითარების ყველაზე მაღალი საფეხური (IV საფეხური), – ესაა მიღება გაცემისათვის.

რადგანაც უზენაეს შემოქმედს ყველაფერი უსასრულო რაოდენობით აქვს, მას არაფრის მიღება არ სჭირდება, ადამიანი კი, თუ პერიოდულად არ მიიღებს ღვთიურ სიბრძნეს, როგორც აღვნიშნეთ, ამოიწურება მასში არსებული სულიერი სიბრძნის რესურსი და ვერაფერს გასცემს. ამიტომ ადამიანს სჭირდება ღმერთთან მუდმივი სულიერი კავშირი, რომ მიიღოს ღვთიური სიბრძნე, რაც საკუთარი **„ეგო"**-ს მართვას, ღვთიური თვისების (რწმენა და სიყვარული) შეძენას და უანგაროდ ღვაწლის გაღებას მოითხოვს, რაც თავის მხრივ ადამიანისგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ მისცა ღმერთმა ადამიანს არჩევანის უფლება: ან უდიდესი ძალისხმევა და ღვთის ხატად ქცევა, შედეგად ღვთის სასუფეველი და მარადიული ნეტარება, ან წუთისოფლის მიწიერი ამაოება, შემდგომ მარადიული ტანჯვა და ჯოჯოხეთი (ეს ჭეშმარიტება ბევრს არ სჯერა, მაგრამ უმეცრებისა და ურწმუნოების გამოა და მათგან გვაქვს სულიერი დაცემა და დუხჭირი ცხოვრება).

უზენაეს შემოქმედს უსაზღვროდ უყვარს თავისი უდიადესი ქმნილება – ადამიანი და მრავალ შანსს აძლევს ღვთის ხატამდე ამაღლებისათვის. ამისათვის კი აუცილებელია დაცემის სიმწრის განცდა. ამიტომ მრავალჯერ მოუწყო ღმერთმა იბერებს მძიმე განცდა: წარღვნა, დამანგრეველი მიწისძვრების გამო მიგრაციები და ენის დიფერენცირება, შედეგად ეროვნული განხეთქილება, დამპყრობელთა გაუთავებელი შემოსევები და ა.შ. მაგრამ, ჩვენი აზრით, განვითარების III საფეხურამდე ასულ საზოგადოებას არ უნდა დასჭირდეს უფრო მაღალ IV საფეხურამდე ამაღლებისათვის განვითარების III საფეხურიდან დაცემით გამოწვეული სულისშემძვრელი ტკივილის შეგრძნება; განვითარების III საფეხურამდე ამაღლებული საზოგადოება გაითვალისწინებს უზენაესთან მუდმივი კავშირის აუცილებლობას და შეძლებს ბედნიერი და ნეტარი ცხოვრების დამკვიდრებას.

ჩვენ ზემოთ შეძლებისდაგვარად ჩამოვაყალიბეთ ქართველი ერის და, საერთოდ, კაცობრიობისათვის სულიერ-ზნეობრივი ამაღლებისა და აზროვნების განვითარებისათვის აუცილებლად გასავლელი გზა – ორიენტირი.

უნდა მოვიძიოთ მიზეზი, რამ გამოიწვია იბერთა ესოდენ დაცემა.

ჩვენი აზრით, იბერიის დაცემა ასე დაიწყო: ხმელთაშუა ზღვის აუზში და კავკასიაში იბერიული დედა-ტანიდან ამოიზარდა მრავალი შტო (ეთნოსი), რომლებშიც თავდაპირველად ჩაისახა კილოკავური ენობრივი განსხვავებები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდიდა ფონეტიკურ ცვლილებებს, შედეგად ჯერ დიალექტში გადაიზარდა, ბოლოს ენებად ჩამოყალიბდნენ და ბევრმა დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა.

ხმელთაშუა ზღვის აუზში იბერიის დაშლა-დაქუცმაცების პროცესთან თანამდევი კატაკლიზმები ჩვენთვის უცნობია და ძნელია მათზე სარწმუნო აზრი გამოვთქვათ. მაგრამ ჩვენთვის ხილული ისტორიის მანძილზე ქარდ-იბერთა ერთიანობისათვის ბრძოლაში განვითარებული მოვლენების შედეგიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ მათი დაპირისპირების მიზეზებზე და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე.

იბერთა მოდგმისათვის ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა ქარდ-იბერთა დაპირისპირება, რადგან ისინი გენეტიკურად და ენობრივად ყველაზე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ვერ ვიქნებით ობიექტურნი, თუ რომელიმე მხარის მიმართ ტენდენციურობას გამოვიჩენთ. ჩვენ არა გვაქვს ისტორიული ცნობები, რომლებიც მოგვცემდა საშუალებას აბსოლუტური სიზუსტით ჩამოგვეყალიბებინა ქვემოთ წარმოდგენილი აზრი, ამას მხოლოდ მარტივი ლოგიკა გვკარნახობს და თუ ვინმე წარმოადგენს უფრო დახვეწილ, სარწმუნო აზრს, დიდი პატივისცემით მივიღებთ.

იბერების დედა ტანიდან ქარდი (აეზარდე; ამოეზარდე) ტომი ღმერთმა იმიტომ ამოზარდა, რომ იბერებს მათთან ურთიერთობაში პრობლემა შექმნოდათ, ეფიქრათ ამ პრობლემის გადაჭრაზე, ამით უფრო დიდი პრობლემა გადაეჭრათ და ამაღლებულიყვნენ. მაგრამ იმ აზროვნების დონეზე რა დონეზეც პრობლემა ჩნდება, პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია, ამიტომ საჭირო იყო აზროვნების დონის ამაღლება, ანუ მეტი სიბრძნე (სიბრძნის შეძენის აუცილებლობა უზენაესის ნება იყო და ამისთვის დაბადა პრობლემაც), რომელიც გაითვალისწინებდა ენობრივი ბარიერის გარღმავებით მოსალოდნელ საშიშროებას და კილოკავური ჩანასახის მქონე ქარდ ტომსაც შეაგნებინებდა ამ საშიშროებას, ამასთან შეუქმნიდა პირობებს (მაგ., სკოლებს) აღნიშნული დეფექტის აღმოსაფხვრელად. მაგრამ ჩვენ არ ვიცით საამისოდ იბერებს როგორი პირობები გააჩნდათ. ერთი კი ცხადია, იმხანად მათ ვერ აღმოაჩნდა საკმარისი ძალისხმევა და უნარი აზროვნების დონის ასამაღლებლად და შესაბამისი სიბრძნის გამოსავლინებლად, რომ საკუთარი ტანიდან ამოზრდილი დეფექტი განეკურნა. ალბათ, იმდროინდელ იბერთა აზროვნების დონიდან და გონების ხედვიდან არ ჩანდა ის საშიშროება, რომელიც მოსალოდნელი იყო და შემდგომ იჩინა თავი. ენობრივი ბარიერი კილოკავური განსხვავებიდან დიალექტურში გადაიზარდა და ბოლოს ქართლურ ენად ჩამოყალიბდა, ე.ი. მოსალოდნელი საშიშროება რეალობაში გადაიზარდა.

ქარდებმა, როგორც სხვა იბერიული მოდგმის ტომებთან შედარებით ყველაზე ძლიერმა განშტოებამ, თავისი სულიერი ნებით, თუ ვერაგი სპარსი აგრესორების წაქეზებით, როგორც ისტორიული წყაროებიდან ვგებულობთ, მედგარი ბრძოლა დაიწყო დამოუკიდებლობისათვის, რაც იბერიულ სახელმწიფოს დასუსტებას უქადდა. იბერები, იმის მაგივრად, რომ შეეგნოთ, მშობლიური იბერიული ენიდან კილოკავური გადახვევა ქარდებზე დამოუკიდებელი ბუნებრივი მოვლენა იყო, გამოეჩინათ სიბრძნე და მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ პრობლემა, ალბათ, აგრესიის გზას დაადგნენ: განიზრახეს მათს განვითარებაზე აეღოთ ხელი, ამით შეებოჭათ და მუდმივ მორჩილებაში ჰყოლოდათ ისინი (ცხადია, განუვითარებელი ხალხი, თვითონ არასაკმარისად განვითარებული ჰეგემონისათვის შედარებით ადვილი სამართავია). ამით იბერებმა, ფაქტიურად, უღალატეს ადრე მიღწეულ ცხოვრების წესს **(„გაცემა მიღებისათვის")** და დაეცნენ ისევ პირვანდელ დონემდე **(„მიღება ჩემთვის")**, რაც სხვის ხარჯზე ცხოვრებასაც აღარ გამორიცხავდა და, რაც უკიდურეს ველურ დონემდე დაცემას ნიშნავდა. რა თქმა უნდა, მკაცრი დისციპლინისა და ძლიერ მეფეთა ხელში ეპიზოდურ გამობრწყინებებსაც ექნებოდა ადგილი და ჰქონდა კიდეც, მაგრამ, ცხადია, მსოფლიოში პირველი და უძლიერესი ცივილიზაცია ერთ პატარა სახელმწიფომდე დამცირდა და ველურ ცხოვრების წესს დაბრუნებული იბერები ეკონომიკურადაც დასუსტებული აღმოჩნდნენ. მაგრამ ვერა და ვერ გაეხსნათ გონება, პირიქით, დაივიწყეს უძველესი **„აყვავებული კულტურა"** და სხვა ერებზე დაბლა დაეშვნენ. თუმცა, ეს ყველაფერი ღვთის ნება იყო.

ეტყობა, ღმერთს უზომოდ უყვარდა იბერები და მთლად არ გასწირა, მაგრამ უმძიმესი განსაცდელი მოუვლინა: ისე შეაბრუნა ისტორიის ჩარხი, რომ იბერიული მოდგმის, მაგრამ ადრე მისი მორჩილი ქარდები (შემდგომ ქართები) გახდა ჰეგემონი ძალა, ხოლო იბერები მათი მორჩილი (ეს როგორ მოხდა ცნობილია და წინა წერილებში რამდენიმეჯერ მაქვს ნათქვამი, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა რადგან ყველაფერი ღვთის ნება იყო). ძნელია დაბეჯითებით თქმა იმისა, როგორ ეპყრობოდნენ იბერები ქარდებს განსხვავებული მეტყველებისა, თუ აქცენტის გამო (ამას მეგრელთმოძულე **„მეცნიერები"** უკეთ წარმოიდგნენ), მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ: ალბათ, დაახლოებით ისე, როგორც დიდების საკოლმეურნეო ბაზრის ტუალეტის დირექტორი და სხვა მსგავსი თანამდებობის პირნი ავლენენ პაროდისტის ნიჭს ე.წ. მეგრელებისათვის დამახასიათებელი აქცენტის შემჩნევისას. ალბათ, იბერები არ აძლევდნენ ქარდებს საკუთარ სამეტყველო ენაზე განათლების მიღებისა და მწიგნობრობის განვითარების საშუალებას და ამდენად იჩაგრებოდნენ. ამიტომ არ ვითარდებოდა ქარდლური (შემდგომ კი ქართლური) ენა, რასაც მოწმობს იოანე პეტრიწის წუხილი ქართლური ენის გამომსახველობითი უნარის სისუსტის გამო **(იხ. იოანე პეტრიწი, შრომები II, გამოცემული ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის რედაქციით, 1937, გვ.220).**

ამის გამო განაწყენებულმა უკვე ქართებმა სამმაგად აზღვევინეს იბერებს ადრე დაშვებული შეცდომები: პირისაგან მიწისა აღგავეს იბერიული წერილობითი და მონუმენტური ძეგლები; ბოროტად გამოიყენეს ეგრის-აფხაზეთის მეფის თეოდოს II ბრძნული გადაწყვეტილება, დაშლილი იბერიის უსისხლოდ, დინასტიური გზით გაერთიანების მიზნით, ეგრის-აფხაზეთის მეფედ ქართლის უფლისწულის კურთხევა; ამის შემდეგ ქართლურმა სამეფო დინასტიამ რიონსა და ენგურს შორის ტერიტორიის გარდა, ყველგან იბერიული მოსახლეობის სრული ქართულიზაცია მოახდინა (ესეც ღვთის ნება იყო) და დარწმუნებულებმა, რომ იბერები უკვე ვერ შეძლებენ წამოდგომას, ეს პროცესი შეაჩერეს მდ. რიონის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ალბათ, წინასწარდასახული გეგმის თანახმად, რადგან მათ შეეძლოთ გაეგრძელებინათ ეს პროცესი; მას შემდეგაც არ განელებულა იბერიული ფესვების წინააღმდეგ ბრძოლა; ეთნიკური სახელწოდება იბერებს მეგრელით შეუცვალეს (იბერი —- იგერი —- ეგერი —- ეგრი —- ეგრელი —- მეგრელი), ყველაფერს, იბერიულით წოდებულს სახელი ქართულით შეუცვალეს და იბერიის არსებობის აბსოლუტურად წაშლა განიზრახეს; განსაკუთრებით გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც ლეონტი მროველის სახელით **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა"** დაიწერა და ჰაიაკებმა **„ყოვლითა ნიჭით აღავსეს"** ქართველობა; XXI საუკუნის დასაწყისში იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა ქართულის III საუკუნეში ჩასახულ დიალექტად გამოაცხადეს ტ. ფუტკარაძემ და მისმა თანამოაზრეებმა და პატრიარქიც შეცდომაში შეიყვანეს.

მართალია, დიდი ბედნიერება იქნებოდა იბერიული ტანიდან ქარდი = ქართი ტომი არ ამოზრდილიყო და პრობლემის მიზეზი არ შექმნილიყო, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს ღვთის ნება იყო და იბერთა აზროვნების ამაღლების მიზნით, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრა ე.წ. მეგრულისა და სვანურის კილოკავებად დაკანონებით, როგორც ტარიელ ფუტკარაძეს და მის თანამოაზრეებს სურთ, იქნებოდა გაუგონარი სიბრიყვე, მეცნიერისთვის კი არა, განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფთათვისაც კი, რადგან ამით უსაძირკვლო ტაძარს დავემსგავსებით და საერთოდ, ბოლო მოეღება ქართველ ერს. ხოლო წინაპრად და სიბრძნის წყაროდ ჩვენ ჰაიაკები ვერ გამოგვადგება. XXI საუკუნის დასაწყისშივე, მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს როგორ **„აღგავსეს ყოვლითა ნიჭით"** და სიკეთით დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების მპყრობელმა ჰაიაკური წარმომავლობის **„ქართველებმა"**.

ყველაზე უსუსურობა და სასაცილო, სატირალი რომ არ იყოს, ისაა, რომ მას შემდეგაც კი, რაც ჭეშმარიტებას ნათელი მოეფინა და გაირკვა სიმართლე, **„ჩვენი"** მეცნიერები ისე იქცევიან თითქოს არაფერი სმენოდეთ უკანასკნელ აღმოჩენებზე და ჯიუტად აგრძელებენ სიყალბეების დაცვას და იბერიული ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლას. სწორედ ასეთი წინადუხედაობის გამოა ველურ დონემდე, რომ დავეცით და თუ გვიშველის, მხოლოდ ღვთიური სიბრძნის გამოვლენა, მხოლოდ აზროვნების შეცვლა უფრო ზნეობრივით და ბრძნულით, ამისათვის კი უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, მაგრამ შეუძლებელი არაა.

მართალია, თავდაპირველად იბერებს მიუძღვით ბრალი ქარდ-იბერთა დაპირისპირებაში, მაგრამ ქარდებმაც გადაჭარბებით გადაუხადეს სამაგიერო და დროა გონს მოვეგოთ. ამ დაპირისპირების სამარადისოდ მოხსნის მიზნით, ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი საქმე გააკეთა უსინათლომ და მეისტორიეთაგან უმწეოდ წოდებულმა, ბრძენმა მეფემ თეოდოს II.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეგრის-აფხაზეთის მეფეს თეოდოს II და მისი დიდვაზირის – იოანე მარუშის შორსმჭვრეტელური სიბრძნით შესაძლებელი გახდა დაშლილი იბერიის უსისხლოდ, დინასტიური გზით გაერთიანება. შემდგომ იოანე პეტრიწის, იოანე მინჩხის, არსენ იყალთოელისა და სხვა ბრძენთა მეცადინეობით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საერთო სალიტერატურო ე.წ. ქართული ენის შექმნას და რუსთაველის ეპოქისათვის უკვე გვქონდა ჩამოყალიბებული კლასიკური დონის – ახალი იბერიული ენა.

მთავარია, რომ ჩვენი საერთო სალიტერატურო ენა შექმნილია სვანურის, ქართლურისა და თვით იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის ისევ კონსოლიდაციის შედეგად და, ამდენად, დღეისათვის საქართველოში ენობრივი ბარიერი მოხსნილია, მოხსნილია ის პრობლემა, რაც ქარდ-იბერთა დაპირისპირებას იწვევდა.

ამრიგად, ჩვენი საერთო სალიტერატურო ქართულად წოდებული ენა ყველა კუთხის ქართველისათვის მშობლიურია. როგორ? – იკითხავს, ალბათ, სვანურისა და ე.წ. მეგრულის არმცოდნე ქართველი, - მეგრელებს და სვანებს სხვა სამეტყველო ენა აქვთ, მათ ქართული ენის შესწავლა სკოლაში უწევთ, ჩვენ კი დედა გვასწავლის, როგორაა ქართული სალიტერატურო ენა მათთვის მშობლიურიო?

კუკური ფიფია,
"ფაზისის" ნამდვილი წევრი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყურადღება“

ბორჯი პირველი

ამასობაში თამშუქ მარღანიაც მოსულა პოეზიის იშტაზე. ორკაპიკიან, ცალხაზიან რვეულს ამოიღებს ჩესუჩას ხალათის გულისჯიბიდან და მიბნედილი ხმით კითხულობს შაირის ყაიდაზე გამართულ ლექსს ვახტანგსა და მის გოჭზე. აქაც იუმორის ფთილებია მიმობნეული, აქაც ჯანსაღი ანეკდოტური სიტუაციაა აღწერილი და სიცილ-ხარხარში ეზოში გამოტანილ სარჩო-საბადებელს მოუბრუნდება ტოლუმბაშის საგანგებოდ შეკვეცილი პურობა.

უკვე სამასი ფუთია ნალიაში ჩაყრილი.

— მეტს ვერ გაუძლებსო, — ამბობს შოთა მარღანია და დიდის ამბით კვერს უკრავენ ხუტა ხუფენია თუ იაშა აშორტია — ქანქანესა.

ოდა-სახლის მეორე სართულის ფართო აივანზე იწყებენ გარჩეული სიმინდის ტაროების დაყრას. აქ უხვადაა ჩვენებური, პრიალა კანის თუ ვარდისფერი გოგრები, ხეშეშკანიანი კვახაბერები, ხაპები, იგივე ტუტლები, ორშიმოებად რომ ახარატებენ კახელი თუ გურული მევენახენი. გაცრეცილ მუშამბაზე გაშლილია გასარჩევი ლობიოს გორაკები. ამ უკანასკნელთან დედაბრები სხედან: ხელითმოსაუბრე მარო ღურწკაიხე, ამირანის შავგვრემანი დედა მარგო და საქალეთის მამფალი თუმაშა, ოჯახის დიდდიასახლისი, ცაზე მიმქროლი მთვარის ალიკვალი, ერთადერთი დედამთილი დედამიწის ზურგზე, რძალს გადაბრუნებულ სიტყვას რომ არ აკადრებს, მომჭირნე და უხვი ერთდროულად;მორჩენილ ლობიოს აივნიდან როდი გადაუძახებს ზოგი დაუდევარივით თუმაშა ქალბატონი, არამედ, ქოთანში ახალი რომ აფართხალდება, მაშინ მიუმატებს, ქინძით გააჯერებს ბლომად, წიწაკის მთელ პარკს დაურთავს და კარგი დედის შვილი ხარ ჭიშკართან მომდგარს ნერწყვმა ენა არ წარგტაცოს.

დახვავებულია კედელთან გაუცეხავი ცოცხი. მისი დაბეჭვის დიდოსტატი მარი ჯალაღონხეა. აიღებ ხელში და ნაგავში ჩასაჩრელად დაგენანება.

ხეჭეჭური მოგვიანებით დაიკრიფება შერჩევით. გიდელ-გიდელ ჩამოეშვება იგი მიწაზე ადესასავით. დანარჩენს, მიუწვდომელი ადგილებისკენ გაპარულებს, დაბერტყავენ, ხის ურიოებით დაჩეჩქავენ როფებში და რკინის რეზერვუარებში ჩაუძახებენ.

ასეთი ცარიელი კასრები გალიდან ჩამოაქვთ არჩიკო შამუგიას და ღუდა ალფენიძეს. ეს უკანასკნელი მამაჩემის მეგობარია, აფხაზეთის საავტონომიო სამმართველოს მძღოლი. იქ ჩვენებური შოთა ქირთბაია უფროსობს და მისი წყალობით ოტობაიელებს უკვდავების წამალიც კი არ აკლიათ.

რეზერვუარებს ბურვაკის ფასად იშოვი. **„ზუბილათი“** ამოაჭრიან ნახვრეტიან მხარეს. თვეზის ნაქონარს გამოწვავენ, შეფისავენ შიგნიდან და ჭურჭელიც მზად არის. არაყს ჩვენც ვხდით, ოღონდ — კარალიოკისას. ლეღვი უკვე უშაქროდ უძლურია. აი, მსხალი და კარალიოკი ჯერ-ჯერობით ინახავს **„ცეცხლოვანი წყლისთვის“** სამყოფ ენერგიას.

მთვარიანია და თუთის ხეების სიმრავლე. ბჟოლა მეგრულში მთვარის მოსახელე როდია ქართულის მსგავსად. მას ჩვენებურად **„ჯამპის“** ეძახიან. ნორჩი ტოტებით, შიმალებით შრიალებენ ღობის გასწვრივ ჩარიგებულნი, ეზოს შუაგულში გაბარჯღულს კი ჯერეთ წალდი არ შეხებია. პერიფერიულებს, ცხადია, მაგრამ საჩრდილობელს ვინ აკადრებს გაჩხოტვას?!

ეთერ დეი დედაჩემის მსგავსად ზაფხულის პერიოდში აბრეშუმის ჭიას უვლის, თუმცა ეს ჟამი უკვე ჩავლილია. ჩვენც შევშველებივართ მშობლებს აბრეშუმის პარკის გარჩევისას. მაგიდაზე მავთულს დავამაგრებთ ხოლმე, სახელურიანს და მოაცილე მერე ზედმეტი ბუსუსები.

ჩვენს სოფელში აბრეშუმის პარკის გადამამუშავებელი დაწესებულებაცაა. ენგურისპირელი მიშიკო ფარულავა მისი სულისჩამდგმელი. იქ არკვევენ აბრეშუმის პარკის ხავერდოვანებას, ახარისხებენ წელშიგამოყვანილებს, მომრგვალებულებს, ბაკვას, წონიან მონიკელებული სასწორებით თეთრხალათიანი მანდილოსნები, გამოგიწერენ ქვითარს და სანამ სკოლაში სწავლა განახლდებოდეს, ქალები ხელს დაიმშვენებენ ბევრისშემძლე გასამრჯელოთი.

სტალინის დროინდელი ფული უკვე ამოღებულია ხმარებიდან. ახალი, ნიკიტასი, ერთობ მომცროა და ნაკლებად მყიდველუნარიანიც, მაგრამ რას გააწყობ, როგორიც ბერი, ერიც ისეთიო, თქმულა. თანაც ხრუშჩოვი აღუფრთოვანებია სამეგრელოში დანახული სიმინდის მარაგს, მის ყუათიანობას და ჭვიშტარ-ელარჯით პატივმიგებულს უბრძანებია:

— ესენი სიმინდითაც იოლას გავლენო, — და ქატოსსადარ პურის ფქვილს შემოიტანს მთელს რეგიონში. არ ფუვდება, ხმიადივით ცხვება, გინდა ზედ გადაჭყე ხუტა ხუფენიასავით.

ცოტა ხანში, როცა ნიკიტას გადააშენებენ და სქელწარბება ბრეჟნევის მარათონული გენსეკობის მრავალჟამიერი დაგუბდება ფილტვებში, უძრავ მდინარესავით, მეც მომიწევს ერთი სეზონი საპარკოში ცეცხლფარეშად მუშაობა.

აქ ბაბუა თამშუქუს გაზრდილი ენაბლუ ვახტანგი მეამხანაგება სოფლის მჭედელ მამია რატიას ავთასთან და თანაკლასელ რევდენ ზანთარაიასთან ერთად.

ქვანახშირს იშვიათი ხარისხის ჭვარტლი ახასიათებს საერთოდ. მინახავს ბაბუა თომა ზეთში არეულ იმ ნივთიერებით როგორ ღებავდა ხოლმე ხარის ტყავისგან გამოყვანილ ტოპრაკებს. ჰოდა, ამის მცოდნე მურს სახეზე მოვაფრქვევ გამოხარშულ პარკზე გაშხლართულ, პაპის ლექსის პერსონაჟს. ამ შემთხვევაში მძინარეს ჭვარტლი გეღუტუნება და უნებლიეთ, ინსტინქტურად სახეს ისრეს, რის შედეგად ღაწვები ისე შთამბეჭდავად გაგეზინთება, შენი ფერი კონგოს მკვიდრს გვარიანი შურით აღანთებს, მაგრამ ამ ანგლობას ერთი უსიამოვნებაც დაერთობა: როგორც შემდგომში ირკვევა, ვახტანგი დამშვენებულ სიფათს ზომაზე მეტად მიახოცავს პირველი ხარისხის პარკს და გასამრჯელოს მომლოდინე დედა ჯიბეზე გვარიანად გააკვრევინებს ხელს მამაჩემ მიხფეს.

გაჩხოტილი თუთის ხეები, ოდესღაც აშოტილები და ზვიადნი, უმწეო ბუჩქებივით მიმოფანტულან სოფლად. მხოლოდ ნაპო ბიძიას ეზოში გაბარჯღული შრიალებს უმაგალითო თავმომწონეობით და ასერგასი ადლის ჩრდილს მიმოისვრის ირიბი მთვარის წიაღში.

თუთის ფოთოლზე ბაბუა თომაც მოაშურებს ხოლმე ოტობაიას ურმით. მარი ჯალაღონხე სანიმუშო მეაბრეშუმეა მთელს სამურზაყანოში, ასე რომ, არაფერია გასაკვირი თუ ქალიშვილიცა და ძმისწულიც მის კვალს გაჰყოლიან.

კანში შესვლისას თუთის ფოთოლი შემოაკლდება მიმინოსებური გამოხედვის ბებიას. ჰოდა, საშოვარზე წამოსული თომა ბაბუაც მოშარიშურე ტოტებით დააკაპანებს ურემს. კოფოზე მოკალათდება, მეც გვერდით მომისვამს, მაგრამ ზოზინა კამეჩების ტემპი გეკმარისება ჭინკების სადევნელი ქარებით დატუმბულს?! და ეძიებ რაღაც გამოსავალს სიჩქარის გასაზრდელად. წვრილ ტოტს ფოთლებს და კანს გააცლი. გინდა ცოტათი შეუჩიჩხინო ხარკამეჩებს, რამდენადმე აასწრაფო მათი ძარღვების ამშლელი ზოზინიდა უსაშველო გზაც რამეფრად შეამოკლო. პირუტყვი შეიგრძნობს წკნელის წამახულ ბოლოს, ოთხკუთხა თავს გააკანტურებს პროტესტის ნიშნად, მაგრამ ჩხვლეტას ზედიზედ რომ გაუმეორებენ, ტოლის დამდებ ამხანაგს უგანებს, თხრილისკენ გააქანებს ურემს.

— ხიი, ოორე,— შოლტს უზათქუნებს ფერდზე ფეხზეწამომდგარი თომა ბაბუა,— რა ბუზანკალი შეუჩნდა ამ სამგლეს? — წუხს თავისთვის. დაშომინებული კამეჩი კვლავ მიზანტობს. ბაბუა დროდადრო მომხედავს ზედმეტი თვინიერებით გარემოსილს. ისევ მიიზლაზნებიან კამეჩები.

შუადღის ხვატისგან ციდის სისქე მტვერი დასდებია ოღროჩოღრო გზას. ღავღავებენ ძაღლები, ყივიან მამლები. გვესალმებიან შარა-შარა მხედრები თუ ქვეითი მანდილოსნები, რომლებიც თემშარაზე ძველმანი კალოშებით მიიჩქარიან. ახლები ბოხჩებით მიაქვთ, როცა სოფლის ცენტრს, ან წვეულება- ქელეხის ადგილს მიუახლოვდებიან, მერმე ჩაიცვამენ, მერმე აღიკაზმებიან საზეიმო ელფერით.

კამეჩის გავაზე საძგერებლად გამზადებული მოუსვენარი წკნელი თავისას ითხოვს მისი შემოქმედისგან. კვლავ ფოთლებში გავატარებიმ იარაღს და ხარკამეჩის კუდუსუნის ძიებაში აქეთ-იქით ვატრიალებ. ამასობაში გზას აცდენილი წკირი დიახაც რომ ბაბუა თომას ეძგერება რბილობში და ფეხზე გველნაკბენივით წამოვარდნილი კაცი, მიხვდება თუ არა აუცდენელ გასაჭირს, გადამიჭერს ზურგზე სახრეს:

— უხანე,ურდუ! ამოდი, ნუ დამაღამებინე! — მეხვეწება როდის-როდის, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულის სკივრში ყრია ოქროცურვილ მოგონებათა სახელწოდებით.

ამჟამად კი ნაპო ბიძიას ეზოში სიმინდს არჩევენ შეზარხოშებული კაცები. ხეებს ჩრდილები უმკვეთრესად დაგრძელებია. ტაროებს შემოცლილ ფუჩეჩს თხილის გადასატან ვეება ჯვალოს ტომრებში ტენიან და საბძელში მიაქანებენ. საზამთროდ ინახავენ ბოჩოლებისთვის და ზაქებისთვის.

მამაჩემს უკვე მარცხენა თვალი მოკიჟვია და მარჯვენა აქა-იქ უთამაშებს. დედა ძუძუს აწოვებს რიგით მეოთხე შვილს, ომარს. მეხუთე და მეექვსე ასულები მოგვიანებით გაჩნდებიან. მამას დიდხანს არ დასცალდება ნაბოლარა დარიკოსთან გათამაშება, ისე გაუყვება შორი ქვეყნის გზას.

დედაჩემი ჯიშიანი ქალია. ხუთი წელიწადი მასაზრდოებდა მკერდით. მორიდებით იტყვის ხოლმე:

— ოთხად გაკეცილ პირსახოცს დავიტნევდი და ვიდრე სოფლის ცენტრამდე მივაღწევდი, ზედა ტანი წყალში ამოვლებულივით მისველდებოდაო.

კლარა გელენახეს ცხოველმყოფელობა ეთერ დეის უფროს ვაჟიშვილს წაადგება განსაკუთრებით. ნიადაგ სოფლის თემშარას გამოკერებული მოსამსახურე ქალი ნაადრევად მოილოგინებს და **„თუნთის მარგვივით“** ოთარი შვიდი თვისა მოევლინება სამყაროს. მედიცინის თვალსაზრისით შვიდთვიანები სრულიად ნორმალურად აგრძელებენ სიცოცხლეს, თუკი მათ სათანადო პირობები შეექმნებათ. რვათვიანები კი აქ-იქ იღუპებიან ხოლმე, როგორც ბებია-ქალი — ბაბი მურღულია თუ საქვეყნოდ ცნობილი მეანი — მარგო ბულისკერხე ირწმუნებიან. მოკლედ, ჩემი ძუძუმტე მთელი ორი თვით ისულსწრაფებს საწუთროში შემოღწევას, ლუკმაში დროულად ჩამეზიარება და პირსახოცებსაც იხსნის გაუთავებელი სინესტისგან.

დეიდა ეთერას მიწოდებული საკვები არ ყოფნის თურმე პირმშოს და აი, აქ დედაჩემის მოჭარბებული ლაქტაცია მაშველი რგოლივით მიუსწრებს მისი უძღები მემკვიდრის მადას. სამ წელიწადზე მეტს დასტრიალებს მალხაზის ტროყია ბუნებას დედაჩემის ბარაქიანი მკერდი. ზამთრის ღამითაც კი ორჯერ დგება, მუგუზალს წამოავლებს ხელს ძაღლების მოსაგერიებლად. ისე დააპურებს პატარას, სახლეულები ვერც მოსვლას იგუმანებენ და ვეღარც — წასვლას. ასე რომ, ჩემი წილი მადლი მკვიდრად დაისადგურებს ძუძუმტე ოთარის ძარღვებში. ეს სიკეთენი მერე და მერე მრავალგზის წაადგება ჩემს დეიდაშვილს წუთისოფელთან კამათში და ახლა, ლამის ერგასი წლით გარემოცული, უნებურად ვასკვნი:

დიდმა მუჰამედმა უცილობლად იცოდა დედის რძის განსაკუთრებული თვისებების შესახებ. ამიტომაც, როგორც წესი, მუსულმანები თავიანთ შვილებს სამ წელიწადს მაინც კვებავენ რძით. ეს უებარი საშუალებაა სამყაროისეულ შხამ-სამსალათა საწინააღმდეგოდ, ვინაიდან დედის რძე სტერილურად აწვდის ჩვილს მაღალკალორიულ ნივთიერებებს.

ჩემი ძუძუმტეც, დიახაც, ამიტომ გახლავთ ჯმუხი აგებულებისა, ჩაკირული. ექვსი წლისა მამის ველოსიპედს დააქროლებს შუკა-შუკა. მართალია, ზემოდან ვერ წვდება პედალს, საამისაოდ ჯერ ფრიად პატარაა, მაგრამ მოხერხებულად შეძვრება ჩარჩოში, მარცხენათი საჭეს ჩაფრენია, მარჯვენათი — **„რამას“** და ასე, ხან პური მოაქვს მაღაზიიდან მამისთვის და ხანაც — წითელკოლოფიანი **„პრიმა“**.

რვა წლისა უკვე ოცკილოგრამიან ბლოკებს იბაგუნებს მკერდზე და სრულიად სამართლიანდ შეარქმევენ **„ბრიკეტას“**.

ცოტაც და ჩემი ძუძუმტე უფრო შორსაც გაუტევს იმ ველოსიპედით. საბარგულზე ფუთნახევრიან ტომარას შემოიგდებს და ზოგჯერ დროროთე ძაძუას წისქვილისკენ გაქროლდება, ზოგჯერ — გადაჭრილი ჩექმებით მოლაყუნე აყლაყუდა ალე ძოწენიძესთან. ამ უკანასკნელისთვის ოტობაიელებს სალაღობო სტროფები შეუქმნიათ:

ალე, ალე, დუქაქალე,
დუქანეფიშ უკახალე,
დოუტოთ კაჭა,
ქუდვომბალე.

ალე, ალე, დაუქაქანე,
დუქნების უკან,
კვანტი გამოვსდე,
წავაყირავე.

ველოსიპედი იშვიათი ტრანსპორტია ოტობაიაში. ეტლის შემოსვლა მახსოვს. ზანზალაკებიანი ცხენებით რომ შემობრძანდება იგი სოფელში, მთელი სამეზობლოს ბავშვები ავედევნებით, ლამის ფიჩორის საზღვრამდე. უკანა ლილვს შევახტებით რკინისას და ასე დავემგზავრებით რიგ-რიგობით.

მეეტლე თითქოს ვერ გვამჩნევს, კოფოზე არხეინად მოკალათებული გრძელ მათრახს უთავაზებს გაქაფებულ მერნებს, ჩვენც მოგვიწვდენს ერთორს ჩამოსახტუნებლად, თითქოს შეჯიბრში გვიწვევს, ამოწმებს ჩვენს გამძლეობას: ვნახოთ, აბა, რა ბიჭებიც ხართო.

ნაშუადღევიდან მოყოლებული გაფაციცებით ვუცდით მერმე იმ ეტლის ჩამობრუნებას, მაგრამ ამაო გამოგვადგება ლოდინი. მოგვიანებით შევიტყობთ, ნაკარღალიდან განმუხურში გადასულა და იქიდან მეგონა ჯალაღონიას ბორნით ენგურზე გაღწეული, ზუგდიდ-ქალაქს მიბრუნებია.

ამისთანა დაბოგილი რკინის ნავები ბაგირზე მოხრიალე მილითა და ორთაფირით, ოტობაიელებსაც გაგვაჩნია **„პეტრეს პარონის“** სახელწოდებით, მაგრამ მოვუბრუნდეთ ძუძუმტეს ველოსიპედს, და მერმე— თავად მთვარიანში სიმინდის გარჩევას.

ნაპო ბიძიასთვის ველოსიპედი შეუცვლელი ტრანსპორტი გახლავთ წლების მანძილზე. ეთერ დეისაც შემოისვამს ზოგჯერ საბარგულზე, თუმცა ეს უკანასკნელი ქვეითად სიარულს ამჯობინებს და აქ მას ნამდვილად ვერ გაამტყუნებთ, რამეთუ ნაფრონტალი კაცისთვის იოლი არ არის იქით-აქეთ ათი კილომეტრის მანძილზე ორი ადამიანის გამუდმებული ტარება, განსაკუთრებით ისეთი კაცისთვის, რომელიც მგზავრობის დროსაც კი ხელიდან არ აგდებს წითელკოლოფიან **„პრიმას“** და კვამლის გრაგნილების გრძელი კუდი გაფიქრებინებთ, მომცრო ორთქლმავალს ხომ არ ჩაუვლია გზისპირო.

ველოსიპედი ამირანსაც გააჩნია ჩვენს სამეზობლოში და კიდევ— შოთა მარღანიას. მამაც იყიდის ერთხელ, მაგრამ კვირისთავზე ააწაპნიან სიმთვრალეში მერხზე მიძინებულს. ვის შესჩივლებ? ერთ-ბაშად სერია-ნომრით არ აღმოაჩინო.

სამოხიოში სატვირთო მანქანაც გვყავს, რომელსაც თვალის ჩინივით უვლიან არჩიკო შამუგია და მისი უმცროსი ძმები. სულ ძარის ქვეშ შემძვრალან და ხან კარბიურატორს ჩაჰკირკიტებენ და ხანაც— რესორებს თუ **„გლუშიტელს“**.

ორიოდე წელიც არ გავა და ნაპო ბიძიაც შეიძენს მსუბუქ ავტომანქანას, წითელი ფერის **„მოსკვიჩს“**. ახლა მართლაც ამოისუნთქავს დეიდაჩემი, ოთარი ხომ გაიხარებს და გაიხარებს, ვინაიდან ველოსიპედი ამჯერად აბსოლუტურად მის განკარგულებაში გადავა. თუმცა მამაჩემისა არ იყოს, სოფლის სტადიონზე ფეხბურთის თამაშით გართულს, თვალსა და ხელს შუა ააცლიან მესერზე უპატრონოდ მიყუდებულს. მალე გაირკვევა ველოსიპედის ქურდის ვინაობა. ცრემლად დაღვრილ ოთარს ნაპო ბიძია ხმას გააკმენდინებს.

— ორღობის ფეხის ხმას ხომ არ ავყვები?! — გაცხარდება, მაგრამ მომდევნო დღეს, დუქნებისკენ წასული იმ ერთადერთ საეჭვო პიროვნებასღა არ ჩამოართმევს ხელს კლუბთან შეკრებილებში და ამით მომთავრდება ყველაფერი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენებურებს ტრანსპორტის მხრივ არა უშავთ რა, თუმცა რადგანაც სიტყვა ჩვენებურებზე ჩამოვარდნილა, ბარემ ისიც ვთქვათ, თუ როგორი შემადგენლობისაა სოფელი გვარეულობის მხრივ.

„ნეპის“ პერიოდის ოტობაიას, ცხადია, ვერ მოვუსწრებ ასაკური ბარიერის გამო, მაგრამ იმდროინდელი მშენებლობის ნამუსრევი, ახალში ორგანულად მოქცეული, აქამდე შემორჩენია სოფლის ცენტრს, რომელსაც რატომღაც მაღაზიის მაგივრად **„დუქანეფის“** ეძახიან, იგივე დუქნებს.

კედლები მონოლითურად ჩასხმული ბეტონისგან ამოუყვანიათ, რომლის უკანა მხარე წვიმას ჩამოურეცხავს და ზედ რამდენიმე დაგვარჯღული ლეღვი ჭინკასავით აცოცებულა. ეს დუქნები თავიდან ხუფენიების ყოფილა. ნაპოს ბაბუას იმდენი ფული მოუგროვებია მუთაქებში, რომ გაუქმების შემდეგ ნახევარი დღე წვავდნენ თურმე ოდის მოფარებულში, მაგრამ— ამაოდ, ცეცხლიც არ ეკიდებოდა იმ ოხერსო.

კოლორიტული გვარი რამდენიმეა ოტობაიაში, თუმცა ვიდრე ამათზე დავძრავდე სიტყვას, ბარემ ერთი საკითხიც მოვისტუმროთ: დიდი ანუ ჩვენი და პატარა, იგივე კუნთხუ ოტობაიას პრობლემა.

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

პაოლო მალდინი

დაიბადა 1968 წლის 26 ივნისს იტალიაში.

თამაშობდა სპორტკლუბ **"მილანში"**.

პაოლო მალდინის, შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთი გენებში ჰქონდა გამჯდარი. მისი მამა ჩეზარე მალდინი, რომელიც უკანდახეულ ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, **"მილანის"** კაპიტანი იყო 1963 წელს, როცა ამ შესანიშნავმა გუნდმა პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. სწრაფმა და მაღალტექნიკურმა ჩეზარე მალდინიმ ტრავმების გამო მხოლოდ 16 მატჩი ჩაატარა იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, შემდეგ კი იტალიის ახალგაზრდა ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელებს წვრთნიდა, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონაზე კი იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლდათ. ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობის დროს **"აღმოაჩინა"** მან პაოლო, რომელმაც მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი გუნდის დაცვაში. ჯერ **"მილანის"** ახალგაზრდულ სექციაში თამაშობდა, 17 წლისა კი ძირითად გუნდში მიიწვიეს. მან ბევრად გაუსწრო მამამისს, რადგან სამჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი – 1999, 1990 და 1994 წლებში. იგი უნივერსალურ ფეხბურთელად აღიარეს 1994 წელს, როცა იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალამდე მივიდა. უმძიმესი ფინალი კი იტალიელებმა ხანგრძლივი და უშედეგოთო ბრძოლის შემდეგ დაუთმეს ბრაზილიელებს, ისიც მხოლოდ მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში. იმავე წელს პაოლო მალდინი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად იქნა აღიარებული. იგი იტალიელთა კაპიტანი იყო 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც იტალიელებმა ფინალში წააგეს ფრანგებთან. სულ იტალიის ნაკრების შემადგენლობაში მან 111 მატჩი ჩაატარა, რაც მხოლოდ ერთი მატჩით ჩამორჩება რეკორდს.

სილვიო მარძოლინი

დაიბადა 1940 წლის 15 იანვარს, არგენტინაში.

თამაშობდა სპორტულ კლუბებში **"ფეროკარილ ოესტე"** და **"ბოკა ხუნიორსი"**.

ფეხბურთის მრავალი ექსპერტი, მათ შორის არგენტინის გარედაც, უეჭველად აღიარებს, რომ მარძოლინი გახლდათ თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი უძლიერესი მცველი. იგი თავდაცვის მარცხენა ფლანგზე თამაშობდა, ფიზიკურად იყო ძალზე ძლიერი, მაგრამ, ამავე დროს, გამოირჩეოდა მეტოქისათვის ბურთის ართმევის ტექნიკური არსენალის მრავალფეროვნებით. თამაშობდა უაღრესად ტექნიკურად, ყოველგვარი უხეშობისა და აგრესიის გარეშე. მის წინაშე თვით სახელგანთქმული ფორვარდებიც კი წბილდებოდნენ ხოლმე. ხშირად, როცა დაცვის ხაზს საიმედოდ დაკეტავდა, იგი საოცარი სისწრაფით, მთელი თავისი საფეხბურთო ტექნიკის გამოყენებით იწყებდა შეტევას და ლამის დაუბრკოლებლად აღწევდა მეტოქის საჯარიმო მოედნამდე. იგი სულ ცამეტი წლის იყო, როცა **"ფეროკარილ ოესტე"**-ს ნორჩ ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში ბუენოსაირესში გამართული ტურნე მოიგო. 19 წლის ასაკში მას უკვე პირველ დივიზიონში მყარად ეჭირა ადგილი გუნდში. 1960 წელს მარძოლინი **"ბოკა ხუნიორსმა"** იყიდა, რომლის შემადგენლობაშიც იგი სამჯერ გახდა არგენტინის ჩემპიონი – 1962, 1964 და 1965 წლებში. სიტყვისათვის – 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა ერთმანეთს დაერივნენ არგენტინელი და ინგლისელი ფეხბურთელები, მარძოლინი იყო ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც ღირსეულად დაიჭირა თავი და ჩხუბში არ ჩაერია. არა და, მას ერთდროულად რამდენიმე კაცის გალახვაც კი შეეძლო. საფეხბურთო კარიეროს დამთავრების შემდეგ მას კინოფილმებში იღებდნენ, რადგან გულის დაავადების გამო იძულებული გახდა ფეხბურთს ჩამოცილებოდა.

ზოლტან ციბორი

დაიბადა 1929 წლის 18 მაისს უნგრეთში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ფერენცვაროში"**, **"ჩეპელი"**, **"ჰონვედი"** (უნგრეთი), **"ბარსელონა"**, **"ესპანიოლა"** (ესპანეთი).

ზოლტან ციბორი თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე ფეხბურთელი გახლდათ 1950-იანი წლების უნგრეთის **"დიდი გუნდის"** შემადგენლობაში. მისი მთავარი სპორტული მახასიათებელი გახლდათ შესაშური საფეხბურთო ტექნიკა, თითქმის რეაქტიული სიჩქარე და უძლიერესი დარტყმა, რასაც იგი დიდი წარმატებით იყენებდა უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 43 მატჩში. უნგრეთში 1956 წელს მომხდარი სახალხო რევოლუციის შემდეგ, როცა კომუნისტებმა უდანაშაულო მშვიდობიანი უნგრელების სისხლი დაღვარეს, ზოლტან ციბორი თავის თანამემამულე შანდორ კოშიჩთან ერთად ესპანეთში გადაბარგდა. აქ მას რეკომენდაცია გაუწია დიდმა ფეხბურთელმა, მისმა თანამემამულემ, ცნობილმა ლადისლავ კუბალამ, რის შედეგადაც ციბორი კონტრაქტით იქნა მიღებული **"ბარსელონას"** შემადგენლობაში. ხუთი წლის განმავლობაში, ზოლტან ციბორს, შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში ბადალი არ ჰყავდა. მის კარიერაზე დამორგუნველად იმოქმედა **"ბარსელონას"** გამანადგურებელმა წაგებამ **"ბენფიკასთან"** 1961 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში. ამის შემდეგ ზოლტან ციბორი კიდევ მცირე ხნის განმავლობაში თამაშობდა ბარსელონას **"ესპანიოლას"** შემადგენლობაში, ხოლო სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში სადაც უნგრელ ახალგაზრდა ფეხბურთელებს წვრთნიდა და მცირე ბიზნესს მისდევდა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

* * *

– ჩაგჭრეს? – ეკითხება კონსერვატორიაში ბულბულს მამალი.

– ჩამჭრეს, ჩამჭრეს!

– მერე, სამართალია ეგ?! ყვავი მიიღეს, შენ კი ჩაგჭრეს!

– ყვავმა ინგლისურად იმღერა!

* * *

მოსამართლე განსასჯელს:

– თქვენ ამტკიცებთ, რომ ცოლი მეცხრე სართულიდან გულმავიწყობის გამო გადმოაგდეთ?

– დიახ, ბატონო. რომ გადმოვაგდე, მერე გამახსენდა, რომ ბინა გამოვიცვალეთ. ადრე პირველ სართულზე ვცხოვრობდით.

* * *

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აგიტატორი გიუებს ლექციას უკითხავს, თუ როგორი საამური ცხოვრება გვაქვს ფასების მატების გამო. გიუები თავგამოდებით უკრავენ ტაშს.

– შენ რატომ არ უკრავ ტაშს? – ეკითხება ერთ-ერთს, რომელიც თავისთვის დგას კარებთან.

– მე სანიტარი ვარ, ბატონო...

* * *

ორნი საუბრობენ კორპუსთან.

– რა ჭკვიანია, ჩვენი ახალი მეზობელი!

– რაში გამოიხატება მისი ჭკუა?

– წამლები რომ გააძვირეს, ხომ იცი!

– ეგ ვინ არ იცის.

– ჰო და, ჩვენი მეზობელი იაფიან წამლებს ყიდულობს და იმის მიხედვით ხდება ავად!

* * *

– ნახე, ერთი, რა ლამაზი ცაა ამ დილას! – ეუბნება ცოლი ქმარს.

– მაგისთანები კი შეუძლია ჩვენს მთავრობას!

სამხრეთ ოსეთი: ორპირი დასავლეთი სააკაშვილს იცავს და კადაფს ბომბავს

ორმაგი სტანდარტების მიმდევარი დასავლეთი იცავს საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილს და ბომბებს უშენს ლიბიის ლიდერ მოამარ კადაფის. ამის შესახებ ლიბიის მოვლენათა კომენტირებისას პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა განაცხადა.

მისი განცხადებით, დასავლური კოალიციის წევრი ქვეყნები ერთხმად აცხადებენ, რომ კადაფიმ ძალა გამოიყენა ოპოზიციის წინააღმდეგ და სწორედ ამის გამო მათ თავს უფლება მისცეს, დაბომბონ ლიბია. ქვეყნებმა, რომლებიც დღეს კადაფის ქმედებებს განიკითხავენ, მშვენივრად იციან, რომ ლიბიაში ბრიტანეთის, აშშ-ისა და საფრანგეთის მოქალაქეები არ ცხოვრობენ, მაგრამ შეწუხებულნი არიან თავად ლიბიელების ბედით. ჩოჩიევმა ხაზი გაუსვა, რომ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ საქართველოს აგრესიისას ეს ქვეყნები ამგვარი „შეშფოთებით" არ გამოირჩეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, საქართველო იარაღის ყველა შესაძლო სახეობით, მათ შორის, აკრძალულითაც ბომბავდა სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან ქალაქ ცხინვალს.

პატიმრების მხარდამჭერი აქცია ტრადიციული დაკავებებით დასრულდა

4 აპრილს, უზენაესი სასამართლოს შენობასთან **„წინააღმდეგობის მოძრაობის"** ორგანიზებით აქცია **„მე(ც) პატიმარი ვარ!"** გაიმართა. აქცია პოლიციასთან დაპირისპირებაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც აქციის მონაწილეებმა უზენაესი სასამართლოს შენობას კვერცხები დაუშინეს, შემდეგ კი სასამართლოს კართან გვირგვინი წარწერით – **„დავტირით სასამართლოს"** ჩამოკიდეს. ინციდენტის დროს აქციის 10 მონაწილე დააკავეს.

„დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის" წარმომადგენელ გენადი კეკელიას 25-დღიანი პატიმრობა შეეფარდა, ამავე მოძრაობის წევრ ირაკლი ციკოლიას კი – 20-დღიანი პატიმრობა. 20-დღიანი პატიმრობა შეეფარდა ექს-პრემიერ ზურაბ ნოღაიდელის ყოფილი თანაშემწის – ზვიად ხარებავას ძმას – გრიგოლ ხარებავას და **„ქართული პარტიის"** წარმომადგენელს – დავით კოჩიევს. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატ ადა მარშანიას, **„წინააღმდეგობის მოძრაობის"** წევრ შოთა გლურჯიძეს, **„ქართული პარტიის"** წევრებს – ქეთევან გოგინაშვილსა და თენგიზ ღლონტს, **„თავისუფალი დემოკრატების"** აქტივისტ გოჩა ჩხაიძესა და აქციის კიდევ ერთ მონაწილეს – მადონა გოგუას 400-400 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრათ.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა **„წინააღმდეგობის მოძრაობამ"**, რომელიც მიიჩნევს, რომ **„მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა-დაპატიმრება – ეს არის ხელისუფლების გამოწვევა, რომელიც მათ მიიღეს". „არ იქნება უკანდახევა, ბრძოლა გაგრძელდება გამარჯვებამდე!"** – ნათქვამია განცხადებაში.

აქციის მონაწილეთა დაკავების ფაქტი დაგმო **„ქართულმა პარტიამაც"**, რომელიც დაკავებულთა სასწრაფო და უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს. **„ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს, რომ სააკაშვილის რეჟიმს უკანონო პატიმრების მხარდამჭერი აქციები განსაკუთრებით აღიზიანებს და მისი მონაწილეების მიმართ რეპრესიებს ახორციელებს"**, – ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

ლევან ალექსიძე: „საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის შეტანისას დაუშვა შეცდომა"

საერთაშორისო სამართლის ცნობილი ექსპერტი ლევან ალექსიძე ახმიანებს აზრს, რომ საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის შეტანისას დაუშვა შეცდომა.

მას მიაჩნია, რომ ამ სახის სარჩელით ქართულ მხარეს თავდაპირველად რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტისთვის ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის უნდა მიემართა, რომელიც, ასევე, ჰააგაში მდებარეობს.

„რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კონვენციის 22-ე მუხლში ნათქვამია, რომ კონფლიქტი პირდაპირი მოლაპარაკებებით ან ამავე კომიტეტის საშუალებით უნდა მოწესრიგდეს. ჩვენ ბრალს სწორედ იმაში გვდებენ, რომ ამ 20 წლის განმავლობაში ერთხელაც არ გვიჩივლია ამ კომიტეტში", – განაცხადა ლევან ალექსიძემ.

მისივე თქმით, მოულოდნელი არ იყო სასამართლოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ რუსეთი არის დავის მხარე. **„დიდი ხანია, რაც საერთაშორისო სასამართლომ რუსეთი მხარედ აღიარა, ევროკავშირი და ევროსაბჭოც აცხადებენ, რომ რუსეთი ამ დავაში არის მხარე. მაგრამ აქ მთავარი იურიდიული მხარეა – ჩვენ თავიდანვე შეცდომა დავუშვით, როცა ამ სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ"**, – განაცხადა ლევან ალექსიძემ.

ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ გუშინდელ სხდომაზე 10 ხმით 6-ის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ რუსეთისადმი საქართველოს სარჩელი მის იურისდიქციაში არ შედის. სასამართლომ იმავე სხდომაზე 12 ხმით 4-ის წინააღმდეგ უარყო რუსეთის შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც, რუსული მხარე რუსეთსა და საქართველოს შორის დავის არარსებობას ამტკიცებდა.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა შაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27